№ 21 | გაზაფხული/ზაფხული 2023 | 5₾

NARGIS

GEORGIA

SS trends 2023

EXCLUSIVE

მარიონ კოტიარი

უილემ დეფო

თაკო ნაცვლიშვილი

LIVIN' HER LIFE

Massimo Dutti

index

HIGH END INTERIORS

NARGIS

მთავარი რედაქტორი თაკო ჩხეიძე | **Editor-in-Chief** TAKO CHKHEIDZE

აღმასრულებელი დირექტორი ნინო დიასამიძე | **Executive Director** NINO DIASAMIDZE

აღმასრულებელი რედაქტორი სოფიო დვალიშვილი | **Executive Editor** SOPIO DVALISHVILI

მოდის რედაქტორი დათა ალექსეევი | **Fashion Editor** DATA ALEKSEEV

ნომერზე მუშაობდნენ

ირინა ბელანი / IRINA BELAN / მინახანიმ სალიმოვა / MINAKHANIM SALIMOVA / ტატიანა როზენშტაინი / TATIANA ROSENSTEIN

თარგმანი რუსულიდან ნინიშა ჩლაიძე | **Translation from Russian** NINISHA CHLAIDZE

თარგმანი ინგლისურიდან კობა ჯანიაშვილი | **Translation from English** KOBA JANIASHVILI

სტილი ნინო ლურსმანაშვილი | **Style** NINO LURSMANASHVILI

გუნდი

დიზაინი

ნინო ჭინჭარაული | NINO CHINCHARAULI

ფოტო

შოთა გოთოშია / SHOTA GOTOSHIA
სალი დუნდუა / SALI DUNDUA
ადამ კაც საინდინგი / ADAM KATZ SINDING
გიორგი პაპიძე / GIORGI PAPIDZE

ავტორები

Starring: TAKO NATSVLISHVILI
Photo: SHOTA GOTOSHIA
Style: DATA ALEKSEEV
Apparel: MASSIMO DUTTI
MUA: KRISTI VEKUA
Hair: BESARIONNI
Stylist Assistant: NINA SHEKILADZE
Photostudio GEODAYLIGHT

გარეკანი

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს NARGIS–ის საკუთრებას.
ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება რედაქციის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

გამოცემის სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ჟურნალი NARGIS–ი არ იღებს პასუხისმგებლობას სარეკლამო ტექსტების შინაარსზე.

რეკლამა ჟურნალში: 577 22 25 00

facebook.com/NargisGeorgia instagram.com/nargis - georgia

აკვალაინი
AQUALINE
მზად ხარ
ზაფხულისთვის?
წყალი როგორც ინსპირაცია
საცურაო აუზების და სპა სივრცის
პროექტირება/მშენებლობა
საცურაო აუზების და სპა სივრცის
მოვლა/დასუფთავების სერვისი
საცურაო აუზების და სპა სივრცის
დანადგარები, ქიმიკატები, აქსესუარები
www.aqualine.ge

როცა გაქვს მოტივაცია, მოძებნო და აკეთო საყვარელი საქმე...

photo SHOTA GOTOSHIA, style DATA ALEKSEEV, apparel MANGO

ამბობენ, რომ გაზაფხული ყველაზე მეტად ჰგავს ქალს. მე ამ მოსაზრებას ცოტა შევცვლიდი და ვიტყოდი, რომ ყველა სეზონში ქალის სხვადასხვა ხასიათს ვხედავ, ყველაზე მეტად კი ის მომწონს, როდესაც ეს ხასიათი არსებობს, მტკიცეა და, რაც მთავარია, ყველა გარემოში მზადაა გამოსავლენად. ძალიან მომწონს ისიც, როდესაც ვხედავ, როგორ ვლინდება ქალის სხვადასხვა უნარი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში. და მნიშვნელობა არ აქვს, სად-მთავარია, საკუთარი შესაძლებლობები ზუსტად დავინახოთ და ყოველთვის გვქონდეს მოტივაცია, მოვძებნოთ და ვაკეთოთ საყვარელი საქმე.

მიხარია, რომ დღევანდელ საქართველოში გვყავს ქალები, რომლებიც ახერხებენ, იყვნენ კარგი მშობლები, არაჩვეულებრივად გამოიყურებოდნენ და, ამავე დროს, მარტივ და რთულ საქმეებსაც წარმატებით უმკლავდებოდნენ

ქალები და მათი პატარა და დიდი საქმეები – „ნარგისის“ ახალ, გაზაფხული–ზაფხულის ნომერში დიდ ყურადღებას სწორედ ამ თემას ვუთმობთ, გაგაცნობთ ქალბატონებს, რომლებიც ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან, თუმცა ყველა მათგანს ერთი მიზანი ამოძრავებს – იპოვოს და აკეთოს საკუთარი საქმე.

დამეთანხმებით, თანამედროვე აჩქარებულ სამყაროში ყველა სულიერ სიმშვიდეს ეძებს. ბალანსისა და ჰარმონიის გადაკვეთის წერტილი არც თუ ადვილი საპოვნელია, მაგრამ ამ წერტილამდე მისვლა შესაძლებელია. მიხარია, რომ დღევანდელ საქართველოში გვყავს ქალები, რომლებიც ახერხებენ, იყვნენ კარგი მშობლები, არაჩვეულებრივად გამოიყურებოდნენ და, ამავე დროს, მარტივ და რთულ საქმეებსაც წარმატებით უმკლავდებოდნენ. ეს თავდაჯერებასა და დამოუკიდებლობის შეგრძნებას გვმატებს და შეგვახსენებს, როგორი ტკბილია მცირე გამარჯვების გრძნობაც კი.

როცა ზაფხულიც დადგება და „ნარგისით“ ხელში არდადეგებს მოიწყობთ, გახსოვდეთ, რომ მუდამ არსებობს მთავარი მიზეზი, რის გამოც ღირს საინტერესო ამბების წამოწყება, გარისკვა და შედეგისთვის ბრძოლა.

სასიამოვნო და საინტერესო საკითხავს, რა თქმა უნდა, ჩვენი ჟურნალი არასდროს მოგაკლებთ და, რაც მთავარია, ყოველთვის ქალების გვერდით იქნება...

თაკო ჩხეიძე
მთავარი რედაქტორი

HERE COMES THE SUN

გაზაფხული - ზაფხულის ცხელ და მზიან მსუბუქი რუჭჭი, ღია ფერის სამოსი და ტრენდული აქსესუარები საუკეთესო სინთეზია



1.
MAISON MICHEL

სანაპიროს სეზონის განუყოფელი აქსესუარი

2.
CHLOÉ

3.
BOTTEGA VENETA

4.
CAROLINA HERERA

ჰაეროვანი ქსოვილი და სიჯრელე – ზაფხულის საღამოებისთვის

5.
MAGDA BUTRYM

6.
GUCCHI

7.
CHLOÉ

8.
KIKO MILANO

მინიმალისტური make up-ის must have პროდუქტი

9.
ASSOULINE

ვარდისფერი ქვლაქის ძარმი და დაუვინყარი მოგონებები ჩემი მოგზაურობიდან

10.
KARLA COLLETTO

ზღვის სეზონის მთავარი არჩევანი



11.
SOPHIE BUHAI

12.
LOEWE

13.
L'OCCITANE

"ლ'ოქსიტანის" ვარდის სუნამო, ზაფხულის ცხელ დღეებს განსაკუთრებულს ხდის

HTTPS://WWW.FACEBOOK.COM/CLICKEVENTSTBILISI
HTTPS://WWW.INSTAGRAM.COM/CLICKEVENTSTBILISI
#3; +995 599 11 68 11 / +995 599 25 84 45



SHOP THE LOOK

ვიქტორია ბექჰემმა ბოლო სეზონების განმავლობაში თავისი ბრენდით საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. კოლექცია, რომელიც დიზაინერმა პარიზის მოდის კვირეულზე წარადგინა, ფუნქციური სამოსით, მრავალფეროვანი დეტალებითა და მინიმალისტური ხელწერით იყო გამორჩეული. ეს ლუქი გაზაფხულს განსაკუთრებულად უხდება - ჩალისფერი ლაბადის და კლისე ქვედაბოლოს კომბინაცია სეზონის მთავარი ტრენდია.

VICTORIA BECKHAM FALL-2023

Season's MUST-HAVE

GUCCI

small Horsebit 1955 shoulder bag

Gucci-ს ჩანთა small Horsebit 1955 shoulder bag გაზაფხულის Must-have ატრიბუტია. აღნიშნული მოდელი იტალიური ბრენდის კლასიკაა და დროს უძლებს. ყველაფერთან ერთად ეს ჩანთა პრაქტიკული და მოსახერხებელიცაა.

SHOP THE LOOK

SAINT LAURENT-ი დახვეწილობასთან, ძლიერ ხასიათსა და ელეგანტურ დიდებულებასთან ასოცირდება. გასაკვირი არ არის, რომ ენტონი ვაკარელოს ბოლო კოლექციამ მოდის კრიტიკოსების დადებითი შეფასება დაიმსახურა. მასიური მხრების მქონე სამოსი, ვიწრო სილუეტები და ვინტაჟური აქსესუარები SAINT LAURENT-ის ახალი კოლექციის მთავარი ხელწერა გახდა.

SAINT LAURENT FALL-2023

Season's MUST-HAVE

SAINT LAURENT

Nuit crêpe satin sandals

ზაფხული ის პერიოდია, როცა მოდურობასთან ერთად კომფორტის შეგრძნება ყველაზე მნიშვნელოვანია. ნებისმიერ სეზონზე არსებობს ფეხსაცმლის მთავარი და ექსკლუზიური ტრენდი, თუმცა ღია მოდელი საზაფხულო გარდერობში ყველა დროის Must-Have–ია. სწორედ ასეთია SAINT LAURENT–ის ფეხსაცმელი Nuit crêpe satin sandals, რომელიც მინიმალისტური ვიზუალით და დახვეწილობით გამოირჩევა.

ASPINAL OF LONDON

RAFFIA MOOD

MAM

1.

2. YSL

3. ISABEL MARANT

KHAITE

4. CHANEL

ASPINAL OF LONDON

5. VALENTINO GARAVANI

ARAFERI UHDEBA MZIAN DRETEBS ISE, ROGORC BUNEBRIVI FEREBIS KALITRA DA RAFIIS AKSESUAREBI. TANAMEDROVE EPOKIS ERT-ERTI GAMORCHEULI DIZAINERI, ROMLIS XEDVAC YVELAZE AXLOSAA ZAFXULIS ESTETIKASTAN, ROMANTIKULI GANWYOBASA DA NOSTALGIURI MOMENTEBTAN - SAKMUSIA.

6. SIMONETTA RAVIZZA

7. AQUAZZURA

8. CULT GAIA

JACQUEMUS

9. JACQUEMUS

10. LOEWE

11. OSCAR DE LA RENTA

დიზაინერის კოლექციები ფრანგულ გაფხულს მოგვაგონებს, სადაც ელეგანტურობისა და კომფორტულობის ბალანსი ოქროს სიზუსტით არის დაცული. სნორად ფერებით მდიდარი ჭილოფის აქსესუარებით დატვირთული და მსუბუქი აქცენტების მქონე სამოსია ამ სეზონზე ტრენდული.

არაფერი უხდება მზიან დღეებს ისე, როგორც ბუნებრივი ფერების პალიტრა და რაფიის აქსესუარები

ჟაკმუსის მსგავსად არაერთი მოდის სახლი გვთავაზობს მიმართულებას, რომელიც ყოველდღიურ ჩაცმულობას სანაპიროს სტილის შტრიხებით ამდიდრებს.

UNDER THE SUN

სხვა რა, თუ არა ჩალის აქსესუარები, დიდი ზომის სათვალეები და ელეგანტური საცურაო კოსტიუმები?! წელს მკვეთრი ფერების პალიტრა და მთლიანი ფორმის საცურაო კოსტიუმები განსაკუთრებით აქტუალურია.

1. ZIMMERMAN
2. ERES
3. MISSONI
4. CHLOÉ
5. AMI PARIS

6. SYDNEY EVAN
7. PRADA
8. PUCCI
9. TOTEME
10. LOEWE
11. SAINT LAURENT
12. CELINE
13. JIMMY CHOO
14. CHLOÉ
15. STELLA MCCARTNEY
16. HUNZA G
17. ALAÏA
18. DIOR

COLOUR CODED

1.
TORY BURCH

2.
SWAROVSKI



PACO RABANNE

3.
JENNIFER BEHR

VICTORIA BACHAM

4.
GUCCI

5.
VALENTINO GARAVANI

6.
WANDLER

7.
GUCCI

8.
DIOR

9.
BALENCIAGA

VALENTINO

სხვადასხვა ფერის ერთმანეთთან სწორად შეხამებით განწყობის ამაღლება ნებისმიერ სეზონზეა შესაძლებელი, თუმცა ზაფხულში მრავალფეროვნება განსაკუთრებით სასიამოვნოა. შეარჩიეთ სასურველი ტონები ფერთა პალიტრიდან, დაიმუხტეთ დადებითი ემოციებით და იგრძენით ზაფხულის დაუვიწყარი მომენტები!

OEWE

11.
KHAITE

10.
JWANDERSON

12.
FERRAGAMO

13.
PATOU

მთავარი აქცენტები
მსოფლიოს მოდის კვირეულებიდან

ნაკლები შოუ და მეტი ტანსაცმელი, სტილი და ინდივიდუალიზმი - მოდის სახლებმა სწორედ ამ მოტივებზე დაყრდნობით ახლახან შემოდგომა–ზამთრის კოლექციები წარმოადგინეს

თითქოს მსოფლიო მოდამ ტრენდად ქცეული ქაოსიდან იდუმალ სიმშვიდეში გადაინაცვლა, სადაც წინა პლანზე დახვეწილი სილუეტი, სამოსის აგებულება და შინაარსი გამოვიდა. ჩვენებებზე კი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი სიურრეალისტური ისტორიები და სანახაობრივი პერფორმანსი აღარ არის. სტილი ინდივიდუალიზმის სარკეა, ამ სარკეში ჩახედვისას კი უმნიშვნელოვანესი ქვეტექსტების ამოკითხვაა შესაძლებელი.

სტილის თანდაყოლილი შეგრძნება – არჩევანია. პროგრესი კი არის იქ, სადაც კლასიკური მიმართულება და თანამედროვე ელემენტები ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. არქეტიპის მოდერნიზება დიდი და საპასუხისმგებლო საქმეა. დღეს ხომ ყველაზე ცნობილი მოდის სახლების კრეატიული დირექტორები ახალგაზრდა დიზაინერები არიან, რომლებიც მოდის ამინდს ქმნიან – პროგნოზი კი ცვალებადი. როდესაც ჰარმონია ირღვევა, რთულია განსაზღვრო, რომელი მათგანის კოლექცია დარჩება დიდხანს ჩვენს ცნობიერებაში. უამრავი მოდის სახლის წარმატებული ჩვენებები გვინახავს პოდიუმზე, ე.წ. Must-Have ატრიბუტებით და ახლად შექმნილი სტილიზებული მიმართულებებით გაჯერებული, რომლებმაც მალევე ამოწურეს თავი.
დიახ, ეს არის ქაოსი, როდესაც ზედმიწევნით ზუსტად შესრულებული დავალება, იმაზე მეტ გავლენას ახდენს ბრენდზე, ვიდრე საჭიროა.

აქ იწყება კრიზისი – როგორც ფინანსური, ისე შემოქმედებითიც. რა გასაკვირია, რომ ამ დროს საზოგადოება უკომპრომისოა. მყიდველებს ჰბეზრდებათ არჩევანი, რომელიც არც თუ ისე შორეულ წარსულში თავადვე გააკეთეს. სწორედ ამ კრიზისზე საუბრობდნენ გასული სეზონების განმავლობაში. იყო ფიასკო და იყო ტრიუმფი პოდიუმზე... ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვს – ქარიშხლის შემდეგ ცაზე ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე ცისარტყელა, გამოიდარებს...
დღეს, ისე როგორც არასდროს, დიდი ყურადღება ეთმობა ბრენდის დნმ–ს, ჯგუფებს, რომლებიც მათ ირჩევენ და ინდივიდუალურ სტილს, რომელიც პროგრესირებადი, ეკლექტიკური და გამორჩეულია ტექნიკური მახასიათებლებით.
ნაკლები შოუ და მეტი ტანსაცმელი, სტილი და ინდივიდუალიზმი – მოდის სახლებმა სწორედ ამ მოტივებზე დაყრდნობით ახლახან შემოდგომა–ზამთრის კოლექციები წარმოადგინეს. მოდის კრიტიკოსების აზრით, აღნიშნული სეზონი ერთ–ერთი ყველაზე მშვიდი და, ამავდროულად, ძლიერი იყო.

VICTORIA BECKHAM FALL 2023

ALEXANDER MCQUEEN FALL 2023

BALENCIAGA FALL 2023

BALMAIN FALL 2023

CHANEL FALL 2023
HERMÈS FALL 2023
CHLOÉ FALL 2023
LOEWE FALL 2023
DRIES VAN NOTEN FALL 2023
MIU MIU FALL

PACO RABANNE FALL 2023

STELLA MCCARTNEY FALL 2023

ROKH FALL 2023

VALENTINO FALL 2023

SCHIAPARELLI FALL 2023

VERSACE FALL 2023

ვერსაჩე პერსპექტივაში

ტექსტი ირინა ბელანი **ფოტო** პრესმასალა

„კიდევ ერთი თაფლობის თვე“ - ასე უწოდა პრესამ პრინცესა დაიანასა და პრინც ჩარლზის (ბრიტანეთის დღევანდელი მეფე კარლ III) საზაფხულო მოგზაურობას 1991 წელს, რომელიც მათი ქორწინების გადარჩენის ნარუმატებელი მცდელობა აღმოჩნდა. ჩარლზმა ლედი კამილასთან (დღევანდელი დედოფალი-კონსორტი) განაახლა სასიყვარულო ურთიერთობა, ხოლო შეურაცხყოფილმა ლედი დიმ არაერთი მსუბუქი რომანი გააბა. ეს შურისძიება იყო თუ რაიმე უფრო სერიოზული, რთული სათქმელია, თუმცა პორტრეტი, რომელიც მისმა პირადმა ფოტოგრაფმა პატრიკ დემარშელიერმ გადაიღო, ნამდვილ სენსაციად იქცა. პარიზში პრინცესასს დაღუპვიდან 3 თვის შემდეგ, 1997 წელს ამ ფოტომ HARPER'S BAZAAR-ის ნოემბრის გამოცემის ყდა დაამშვენა. ფოტოზე ლედი დი ჭანი ვერსაჩეს მიერ პერსონალურად მისთვის შეკერილ და ხელით მოქარგულ აბრეშუმის ყინულისფერ კაბაშია გამოწყობილი.

2015 წელს ეს ლეგენდარული კაბა კალიფორნიის აუქციონზე რეკორდულ თანხად, 200 ათას დოლარად გაიყიდა (საწყისი ფასი 30 000 დოლარი იყო), დღეს კი წარმოდგენილია გამოფენაზე GIANNI VERSACE RETROSPECTIVE, რომელიც დიდი ხელოვანის დაბადების დღეზე, მისი მკვლელობიდან მეოთხედი საუკუნის თავზე, გრონინგერის მუზეუმში გაიხსნა. ლედი დიმ ვერსაჩეს სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ერთი თვე იცხოვრა.

გამოფენის გახსნაზე ჭანი ვერსაჩეს მეგობრები და კოლეგები შეიკრიბნენ: პიარასისტენტი დორის ბრიუგერი, მხატვარი ბრუნო ჭიარეზი, კოლექციონერები - ფრანკო ჭაკასი და როსელა კატაპანო.

გამოფენა ტარდება გრონინგერის მუზეუმში 2022 წლის დეკემ-ბრიდან - 2023 წლის მაისამდე



როგორ შეხვდით პირველად ჭანი ვერსაჩეს?
ფრანკო ჭაკასი: 1984 წელს ჩვენმა საერთო მეგობარმა მას ჩემ შესახებ უამბო. მაშინ 32 წლის ვიყავი. ვერსაჩეს თავის პირად სტუდიაში, ნოვარაში შევხვდი. როდესაც მასთან პირისპირ აღმოვჩნდი, მივხვდი, რომ გენიოსის წინაშე ვიდექი. ძალიან ხელგაშლილი და ღია იყო მეგობრების მიმართ და მისგან ბევრი რამ ვისწავლე, მაგალითად, ქალების გაგება. ჭანი მათ „წაკითხვას“ ძალიან კარგად ახერხებდა. მან იცოდა, რომ ქალს ძალიან უნდა, იყოს სექსუალური. სწორედ ეს ქმნის უზარმაზარ განსხვავებას არმანისა და ვერსაჩეს შორის: პირველი აცმევდა ცოლებს, ხოლო მეორე – საყვარლებს.

დორის ბრიუგერი: ჭანი 1985 წელს გავიცანი. 1989 წელს კი, როდესაც ბერლინის კედელი დაეცა, მან პიარის ხელმძღვანელობა შემომთავაზა თავის კომპანიაში – გერმანიაში, შვეიცარიასა და ავსტრიაში. ვუთხარი, რომ ამ საქმის არაფერი გამეგებოდა, თუმცა იგი საპირისპიროს მიმტკიცებდა. მოსაფიქრებლად დრო ვითხოვე და ექვსი თვის შემდეგ დავურეკე. ვუთხარი, რომ ამ პროექტს ხელს მოვკიდებდი, თუ კი ჩემთან თანამშრომლობა ისევ სურდა.

ბრუნო ჭანეზი: 1984 წელს მასთან რიგით დიზაინერად დავიწყე მუშაობა. ძალიან მომთხოვნი, თუმცა კეთილი, ღია და სტერეოტიპებისგან თავისუფალი იყო. და კიდევ – ცნობისმოყვარე. ჭანი თვითონ ხსნიდა ატელიეს კარს დილით და თვითონვე კეტავდა გვიან ღამით. ძალიან მაკლია. მოდის სამყაროში მუშაობა მასთან ერთად დავიწყე და მისი გარდაცვალების შემდეგ დავასრულე.

რა გაკავშირებდათ მასთან მეგობრობის გარდა?
ფრანკო ჭაკასი: ჭანი ჩემგან ყიდულობდა 20-იანი წლების ვინტაჟურ ქსოვილს, მეტალის ელვებს – და არა პლასტმასის, როგორებსაც ახლა აწარმოებენ. მაშინაც კი ყიდულობდა, როცა ამ რაოდენობის მასალა არ სჭირდებოდა. სურდა, რომ ასეთი ქსოვილი მხოლოდ თვითონ ჰქონოდა. ჩემგან ყიდულობდა წიგნებსაც. თუკი ვერსაჩეს რომელიმე ილუსტრაცია მოეწონებოდა, აუცილებლად მაშინვე ამოხევდა გვერდს და კედელზე ამაგრებდა. რამდენიმე წლის წინ მისმა არქივარიუსმა დამირეკა და მკითხა, რა ვიცოდი დაკარგული გვერდების შესახებ ან ვინ ამოხია ფურცლები. ვუპასუხე, რომ თავად ჭანიმ.

თუკი ვერსაჩეს რომელიმე ილუსტრაცია მოეწონებოდა, აუცილებლად მაშინვე ამოხევდა გვერდს და კედელზე ამაგრებდა

ძალიან მომთხოვნი, თუმცა ამავდროულად კეთილი, ღია და სტერეოტიპებისგან თავისუფალი იყო

დორის ბრიუგერი: ერთხელ ჯანიმ მითხრა, რომ სამოსის შექმნისას ისეთ ქალს წარმოიდგენს ხოლმე, როგორიც მე ვარ. ძალიან გამიკვირდა და ეჭვი შემეპარა, არ დავიჯერე. მან დამიდასტურა: „დიახ, ეს ასეა. შენში ბევრი რამაა, ბევრი სხვადასხვა ქალი...“ ერთდროულად ამაყიც ვიყავი და დარცხვენილიც.

როგორი დამოკიდებულება გაქვთ ვერსაჩეს სამოსის მიმართ?
ფრანკო ჯაკასი: ვერსაჩეს სამოსს მილანში, ჩემს მაღაზიაში ვყიდი, მომხმარებლები კი კოლექციონერები არიან მთელი მსოფლიოდან. კაბას, რომელიც განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს, ძალიან ძვირად ვაფასებ, 50–100 ათას ევრომდე. ძალიან იშვიათი ნამუშევრებიც მაქვს, რომლებიც თითო ეგზემპლარია, რადგან მათი შექმნა ძალიან ძვირი დაჯდა. ჩემთანაა, აგრეთვე,

განსაკუთრებით მოქმნონს კაბები Warhol-ის კოლექციიდან მერილინ მონროს გამოსახულებით და, ასევე, მისი შავი კოლექცია Bandage

მთლიანად მოქარგული ორმეტრიანი შალი, რომლის შექმნისას შთაგონების წყარო სონია დელონი იყო, თუმცა თავად კაბა არ მაქვს. განსაკუთრებით მომწონს კაბები Warhol-ის კოლექციიდან მერილინ მონროს გამოსახულებით და, ასევე, მისი შავი კოლექცია Bandage.

დორის ბრიუგერი: ჩვენი ნაცნობობის დასაწყისში ჯანი გასაოცრად ლამაზ, კლასიკურ კოსტიუმებს კერავდა სრულყოფილი თარგებით, რაც დედისგან ისწავლა. შემდეგ იგი შეიცვალა. მისი შემოქმედების ყველა პერიოდი მომწონს. იცვლებოდა დრო და, მასთან ერთად, ვერსაჩეც. ყოველ წელს ახალი იდეები იბადებოდა. აი ახლა მიკეთია ქინძისთავი მისი საკულტო კოლექციიდან Bandage, ძალიან ლამაზი და პროვოკაციული.

ასახავს თუ არა ეს გამოფენა ვერსაჩეს სულს?
დორის ბრიუგერი: დიახ, კურატორებმა – სასკია ლაბნაუმ და კარლ ფონ დერ აჰემ ძალიან კარგად იმუშავეს. ვერსაჩესადმი მიძღვნილი გამოფენებიდან პირველი არ მომეწონა, ხოლო ეს ბოლო გამოფენა საინტერესოა, საუკეთესოც კი. შესაძლოა იმიტომ, რომ თავად მუზეუმი და ვერსაჩე ასე უხდებიან ერთმანეთს. ვფიქრობ, მას დიდი წარმატება ელის.

პირველი გამოფენა ჩატარდა ბერლინში 2018 წლის 30 იანვრიდან - 14 აპრილამდე; ბოლო - ზინგენში 2021 წლის 19 სექტემბრიდან - 21 სექტემბრამდე

რა იგრძენით, როდესაც მისი გარდაცვალების შესახებ გაიგეთ?
დორის ბრუგერი: ათი წელი ერთად ვმუშაობდით და ძალიან ახლობლები ვიყავით. ერთად გავმართეთ ორი ჩვენება. ხშირად ვიყავი მასთან სახლში, მილანში. ხელსაც კი ვაწერდი მის მაგივრად. რა თქმა უნდა, ეს დიდი შოკი იყო ჩემთვის. ერთ კვირაში ინდოეთში წავედი, მთაში, სადაც გონს მოსვლას ვცდილობდი. იმ დღეს ჩემი პიროვნების ათი პროცენტი მოკვდა.

მან იცოდა, რომ ქალს ძალიან უნდა, იყოს სექსუალური. სწორედ ეს ქმნის უზარმაზარ განსხვავებას არმანისა და ვერსაჩეს შორის: პირველი აცმევდა ცოლებს, ხოლო მეორე - საყვარლებს

როსელა კეტაპანო: გამოფენა, რომელიც მის ცხოვრებას, ნიჭსა და შემოქმედებას ეძღვნება, ნამდვილ დღესასწაულად იქცა. ჩვენ ყველა ერთად ვზრუნავთ, რომ მისი სახელი და საქმიანობა უკვდავვყოთ.

ჩვენს გენდერულად ნეიტრალურ დროში ვერსაჩე კვლავ აქტუალურია?
დორის ბრუგერი: ჯერ კიდევ იმ დროს იგი იმდენად თავისუფალი იყო, რომ ყველაფერს მოიცავდა.

ვფიქრობ, ახლა ძალიან შეზღუდულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. გერმანიაში ადამიანებს თავისუფლად თვითგამოხატვა უჭირთ: მათ იმდენად სურთ, უნაკლოები იყვნენ, რომ მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ მოიქცნენ სწორად, რა თქვან და რა ჩაიცვან. ვთვლი, რომ ეს უნდა შევწყვიტოთ და მეტად ადამიანურები გავხდეთ. ვფიქრობ, მალე დავუბრუნდებით იმას, რაც ადრე იყო. ჯანი რომ ცოცხალი იყოს, იმავეს იტყოდა.

მოდის „მაღალი მომენტები“ გაყინულ პარიზში



Haute Couture

2023 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციების მიმოხილვა

Valentino

ეჭვგარეშეა, რომ „ვალენტინომ“ მაღალი მოდის ცნებას ის განმარტება შეუცვალა, რომელიც ჯერ კიდევ პიერპაოლო პიჩოლის ლექსიკონში შევიდა და იგი სოციალურ პრობლემებზე საუბრისა და აქტივიზმის საშუალებად აქცია. სწორედ მისი მეშვეობით გახდა მოდა ბევრად მეტი, ვიდრე, უბრალოდ, ტანისამოსის შექმნა.

„ვალენტინოს“ მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია მაღალი მოდის დემოკრატიზაციის პროცესში. როდესაც პიერპაოლო პიჩოლი მოდის სახლის შემოქმედებითი დირექტორი გახდა, მან მიზნად დაისახა ბრენდის ოტ კუტიურ მემკვიდრეობის განვითარება და ისეთი კოლექციების შექმნა, რომელიც სოციალურ პრობლემებს შეეხებოდა.

ამ სეზონზე ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა იყო შოუ Le Club Couture, 2023 წლის გაზაფხული-ზაფხულის ჩვენება, რომელიც კლუბში გაიმართა. შოუს მთავარი გზავნილია – „იყავით თავისუფლები“, ისეთები, როგორებიც თავად გსურთ, რომ იყოთ! ჩვენებამ ბატონი ვალენტინოს 80-იანი წლების დიზაინის მოგონებები აღძრა – აშკარაა, რომ მაღალი მოდის ძირითადი სტანდარტები დიდი სიფრთხილით ისევ შემონახულია. „ჩვენებაზე სიბნელიდან გამოანათა კაშკაშა ფერებმა (უაღრესად ცნობილი ჩვენება Pink PP ღამის ხალათებით, ქურთუკებით, კოლჰოტებით), პარიზული სექსუალური შავი გამჭვირვალე კაბები ქვედა თეთრეულით და სხეულის სტრატეგიული გაშიშვლების უამრავი ვარიანტი“ (სარა მოუერი)... ნაკეცებიანი მანჟეტები და ბაფთები კიდევ ერთხელ იქცა „ვალენტინოს“ მაღალი მოდის სავიზიტო ბარათად, ხოლო „ინტერგენდერული ინკლუზიურობის“ მიდგომა, რომელიც პიერპაოლო პიჩოლის შემოქმედებითი ფილოსოფიის სინონიმად იქცა, კაშკაშა ფერების და ვერცხლისფერი ნაქარგობით შემკულ მამაკაცის კოსტიუმებში აისახა.

Alexandre Vauthier



როგორაა შესაძლებელი ხელოვნური ბეწვის შეტანა გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის შექმნისას მაღალ მოდაში? ვოტიესთვის ყველაფერი მნიშვნელოვანია, როდესაც მომხმარებელი სპონტანურად ცვლის თავის გადაწყვეტილებას ან სურვილების სიას... შესაძლოა, წელიწადის ყველაზე ცხელ სეზონზე ადამიანი ნებისმიერ ადგილას მოხვდეს, თბილი რივიერიდან – ჩრდილოეთ პოლუსამდე. რა თქმა უნდა, ხელოვნური ბეწვის გამოყენებამ მაყურებელს შეკითხვები გაუჩინა, მაგრამ დიზაინერმა განმარტა, რომ ეს იყო მისი პრაგმატული პასუხი მომხმარებლების მოთხოვნილებებზე (მათთვის, ვინც, მაგალითად, სამხრეთ ევროპის ნაცვლად უფრო ცივ ადგილებში წასვლას აპირებს) – სამოსი საფირმო მარკით Vauthier სხეულს სითბოს დაბალ ტემპერატურაზეც უნარჩუნებს. მიუხედავად ამისა, დიზაინერს ყოველთვის სჯეროდა, რომ მოდა უნდა დარჩეს „თანამედროვე და მომავალზე ორიენტირებული“ (თინა ისააკ-გოიზე, „ვოგი“). „ჩვენ ვცხოვრობთ გზაჯვარედინზე, რაც მშფოთვარე დროს განაპირობებს. ამიტომ ამ კოლექციით ნამდვილად მინდოდა მეთამაშა და რაღაც ძალიან ძლიერი მეჩვენებინა რადიკალური ფერებით“, – აღნიშნა ალექსანდრემ კულისებში წინასწარი ჩვენების დროს. და ეს მართლაც გამოუვიდა, იმიტომ რომ კაშკაშა ვარდისფრის ტონები ხავერდის შავ კაბებზე და ნეონის ფერთა შხეფები კიდევ ერთხელ მოექცა ყურადღების ცენტრში. შეკვეთით დამზადებული პიჯაკები „მეტისმეტად თამამი არშიებით“, ფირუზისფერი რემინისცენციით გრეის ჯონსის მიმართ პატივისცემის ნიშნად, კაპიუშონიდან კარგად მორგებულ ჩექმებამდე, ამ სეზონში მოდის პოდიუმს კვლავ დაუბრუნდა. მთლიანობაში სამოსის შექმნის ოსტატებმა კიდევ ერთხელ გააცოცხლეს მოდის დედაქალაქი მშვიდობიანი რევოლუციით, რომლის სახელწოდებაა „მაღალი მოდა“.

Chanel

„შანელის“ იმ ჩვენების ფარგლებში, რომელსაც დიდხანს ელოდნენ და რომელმაც ყველა გააკვირვა თავისი შთამბეჭდავი დეკორაციებით, ამჯერად პოდიუმზე კონცეპტუალური მუყაოს აქლემი (Camel) გამოიტანეს. შემოქმედებითი დირექტორის შთაგონების საფუძველში არსებული დაუცხრომელი ცნობისმოყვარეობის მიუხედავად სარა მოუერი ჟურნალ „ვოგიდან“ ვარაუდობს, რა დიალოგი უნდა გამართულიყო ვირჯინია ვიარსა და მხატვარ ქსავიერ ვეიჰანს შორის, რათა მას ეს იდეა მოსვლოდა „პარიზში გაბრიელ შანელის ბინის დათვალიერებისას, როდესაც მისი ყურადღება მიიპყრო ცხოველებმა, რომლებსაც კოკო აგროვებდა“. რაც შეეხება კოლექციას, ეს იყო „შანელის“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კოლექცია, რაც კი ოდესმე შექმნილა, ვიარდის „ნამდვილი ქალების თანამედროვე გარდერობის“ დიზაინის მიმართულების გათვალისწინებით – კოკოს ძველი კეთილშობილი კლასიკა, იუმორის მაქსიმალური დოზით შემკული, „ახალგაზრდული“, როგორც სარა მოუერმა აღწერა. „შანელის“ მედაფდაფეების, ანუ საცირკო მანეჟზე სანახაობის დამდგმელთა ერთგვარ მხიარულ აღლუმზე“ წარმოდგენილი იყო „კლოშიანი“ კოსტიუმების თანამედროვე ადაპტაცია პეპელა-ბაფთებით, უცნაური ქუდებითა და „შანელის“ საფირმო, წვეტიანი შავი ფეხსაცმელებით.
კოლექცია, რომელსაც მოჰყვა „იისფერი მოკლემკლავება ტვიდის ქურთუკი თეთრი ტყავის გრძელ ხელთათმანებსა და სხეულზე მჭიდროდ მომდგარ გრძელ კოპლებიან კაბებთან ერთად“, ყოველდღიური გარდერობის შემადგენელი ნაწილიდან საღამოს მშვენიერ გამოსასვლელ სამოსად გადაიქცა.

სწორედ „ფენდის“ მაღალი მოდის ჩვენებისთვის ცდილობდა კიმ ჯონსი ქალის ღვთაებრივი თეთრეულის შექმნას. კოლექციაში ნაკლები დოზით გამოიყენეს ვერცხლისფერი, სამაგიეროდ იყო კაშკაშა, კრემისფერი და აკვამარინის ტონები უთხელეს ქსოვილებსა და მეტალის დეტალებთან კომბინაციაში. მიუხედავად ამისა, ჯონსს არ დავიწყებია ფუტურიზმთან „გარიგების დადება“ ბეწვით შექმნილი დეტალების მინიმალური დოზით გამოყენებით (რაც უკვე დიდი ხანია, სრულად უნდა ყოფილიყო გამორიცხული). როგორც ემილი ალგარი ჟურნალ Grazia-დან აღნიშნავს, „ფენდის“ 2023 წლის გაზაფხული-ზაფხულის მაღალი მოდის ჩვენებაზე წარმოდგენილი იყო „დახვეწილი დეტალები – ნატიფი მაქმანი, მძივებით უხვად მოქარგული ადგილები, მსუბუქი ტიული და თხელი ბზინები, რომლებიც მთლიანობაში გაბედული კონცეფციის მსუბუქ ანტითეზას წარმოაჩენდნენ“.

Fendi



Dior

ფემინისტური მოდის იტალიელმა ლეგენდამ მარია გრაცია კიურიმ (Maria Grazia Chiuri) შეთხზა მკერავის ამბავი, რომელიც ჯაზის ეპოქის კაბარეთი და სამოქალაქო უფლებების აქტივისტის გრანდიოზული ხატ-სიმბოლოებითაა შთაგონებული, რომ აღარაფერი ვთქვათ „დიორის“ დიდი ხნის კლიენტზე – ჟოზეფინ ბეიკერზე. სინიორა კიურიმ „სანახაობა დადგა მიკალეინ თომასის (Mickalene Thomas) დაკვეთით შექმნილი პორტრეტების გალერეით, რომელშიც წარმოდგენილია მე-20 საუკუნის ჰოლივუდის ასეთივე ნოვატორი შავკანიანი და ორი შერეული რასის მსახიობებისა და მოდელების ახალი პანთეონი, ჟოზეფინ ბეიკერით ცენტრში“ (სარა მოუერი).
მიუხედავად ამისა, ბეიკერის ყველაზე დასამახსოვრებელი გამოსახულებების გამოყენების ნაცვლად მარია გრაციამ ექსკლუზიური წყაროები და ნაკლებად ცნობილი ფოტოსურათები შეისწავლა არქივებიდან (მაგალითად, ბეიკერის ფოტოები, სადაც იგი ყოველდღიურ კოსტიუმებში ან იმ უნიფორმებშია გამოწყობილი, ომის დროს რომ ეცვა) და თანამედროვე ეპოქაში ჯოზეფინ ბეიკერის ისტორიის ილუსტრირების მიზნით უფრო ღრმა მიდგომა გამოიყენა. „ამ კოლექციის ხაზი 20-იანი წლების მსგავსია. ის უფრო სუფთად, ნაკლები მოცულობით და უკეთ ასახავს ჩემს დამოკიდებულებას“, – განაცხადა ფრანგული სახლის შემოქმედებითმა დირექტორმა. ეს ყველაფერი ინდივიდუალური კერვის პროცესში შექმნილ სრულყოფილ თარგებში აისახა: „დიორის“ ორბორტიან მინიმალისტურ ნაცრისფერ კაბა-კოსტიუმებში სმოკინგებით და თხელი შავი სილუეტებით, „ხავერდის ნაქარგ, პლატფორმიან, ტერფზე შესაკრავ სანდლებთან“ კომბინაციაში, რაც გაბაფხულის უდავო ჰიტი იქნება.

ძირითადი ნოტები იყო დოლჩე ვიტას („ტკბილი ცხოვრება“) და ოპტიმიზმის ზეციური გადაკვეთა, სავსე „ჯელატერიის“ (იტ. სანაყინე) ყველა ელფერით. მქრქალი ვარდისფერი, ყინულოვანი ლურჯი, „ზღვის ქაფის მწვანე ტონები, პომადის წითელი ტონები“ , ბაფთით დამშვენებული სახელოების დეტალები, „თეთრი ტიულის დეკორატიული ნივთები“ (ალისა თომასი); ყველაზე თვალწარმტაც ელემენტებს შორის იყო შიფონის ფართო ბუფები და ვარდის ფორმის მქონე სამშვენისები. იტალიელმა დიზაინერმა, რომელმაც იმაზე უფრო ფართო კოლექცია წარმოადგინა, ვიდრე ოდესმე გამოუტანია პოდიუმზე, ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, თავის ნამუშევრებს შორის „ფრთხილი“ დეკოლტესთვისაც დაეთმო ადგილი, რომელიც ყურადღების მისაქცევად აშიშვლებდა ფეხებს და ტანს ან მხრებს და მისი ბარბის თოჯინების მეოცნებე სილუეტებს დახვეწილად ეხამებოდა. უფრო მეტიც, ჭაღის მაგვარი საყურეები ერთგვარად კრისტიან ლაკრუას ნოსტალგიურ ემოციებს აღძრავდა – ეს ის დეტალია, რომელსაც ვერასოდეს შეეწინააღმდეგები.

Giambattista Valli

ვალის მოდის ოცნებებით სავსე ჩვენებები ყოველ სეზონზე უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მისი თერაპიული ეფექტის გათვალისწინებით, განსაკუთრებით პოსტპანდემიურ პერიოდში. ალისა თომასმა ჟურნალ „გრაციადან“ სრულყოფილად გააანალიზა კოლექცია: „რაც უფრო დიდია კაბა, მით უფრო დიდია ოცნება“(„The Bigger the Dress, the Bigger the Dream“), რაშიც შეუძლებელია არ დაეთანხმო. კოლექცია ორიოდე სიტყვით რომ აღვწეროთ, ეს იქნებოდა კინემატოგრაფიული ბარბის დაბრუნება, განსაკუთრებით 1940-იანი წლების ბევერლი ჰილზის სასტუმროდან. პოდიუმიდან აღებული

Elie Saab

„ეს იყო წვეულებების, ლამაზი ზეიმებისა და მზის ჩასვლის ფერების დრო“, – თქვა ზუჰაირ მურადმა თავისი მაღალი მოდის კოლექციის ჩვენების შემდეგ და თან აღნიშნა, რომ სწორედ 1970–იანი წლების ფრანგული რივიერის „მშვენიერი ეპოქის“ (Belle Epoque) დიდების დღეებმა მოახდინა გავლენა კოლექციის მიღმა არსებულ შეგრძნებაზე. კერძოდ, ეს არის გლამურული მინიშნება ფრანგული ელიტის ცხოვრების სტილზე, რომელიც რომანტიკული და ეროტიკული ფორმით მხიარულად იყო გადმოცემული, ადვილად იგრძნობოდა შიფონის, ტიულის და დრაპირებული ტრიკოტაჟის მსუბუქი ქსოვილების მეშვეობით, რომელთაც მძივებიანი ფოჩები და „მაკრამეს მარგალიტით გაწყობილი ინტერპრეტაციები ამშვენებდა“ (თინა ისაკ–გოიზე).

Zuhair Murad

ფრანგული რივიერის საამური ნიავი, რა თქმა უნდა, თვალსაჩინო იყო ხმელთაშუა ზღვისთვის დამახასიათებელ მიმზიდველ ლურჯ, ყვითელ და ლაიმის ელფერების მძივებიან მოსართავებში, რომლებმაც პოდიუმი აავსო. აქსესუარების სახით კი დიზაინერმა კურორტით შთაგონებული თავის სამშვენისები წარმოადგინა. ამის მიუხედავად ზუჰაირ მურადის საპატარძლო კაბის ჩვენების ის მომენტი, რომელსაც მოუთმენლად ელოდნენ, კრისტალების ან ბზინების გარეშე დადგა. მათ ნაცვლად წარმოდგენილი იყო მცირე რაოდენობით მაკრამეს ნაქარგები დიდი ზომის ტიულის თავის სამშვენისი აქსესუარით, რომელმაც ჩვენება სასიამოვნო დამაგვირგვინებელი აკორდით დაასრულა.

2023 წლის გაზაფხული–ზაფხულის კოლექციისთვის „სააბმა წარმოიდგინა, რომ თითოეული ნივთი მარადიული მზისგან კურთხეულ მიწაზე განთიადის ოქროს აურაში იყო განბანილი. მისი ნამუშევრები, როგორც ჩანს, ისეთ წარმოსახვით ადგილზე სახლობენ, სადაც ფუფუნება და სიდიადე სუფევს“, – აღწერს ტიციანა კარდინი ამერიკული „ვოგიდან“. ბოლო კოლექციის ყველა კაბას წარმოუდგენელი ნაქარგები, აპლიკაციები და ყველა სახის მორთულობები ამშვენებდა. „ზღვის ტალღის, ნაზი ვარდის და ლაჟვარდის ფერების ტონებში შექმნილი დახვეწილი, მჭიდროდ მომდგარი სირინოზის კაბები უხვად იყო შემკული კრისტალებითა და მარგალიტებით. ტანზე მომდგარ გულის ფორმის კორსაჟებსა და კორსეტებზე, ტალღოვანი მოსასხამების შლეიფებსა და მდიდრულ პელერინებზე და გლუვი აბრეშუმისგან შეკერილ ოპერის ქურთუკებზე აზიური სახეებით შთაგონებული აბსტრაქტული მოტივები ერთმანეთს ენაცვლებოდა“ (კარდინი, „ვოგი“).



Balmain

2022 წლის სექტემბერში თავისი უახლესი მოდის კოლექციის წარდგენისას ოლივიე რუსტინგი, როგორც ჩანს, უკვე აღარ ყოყმანობდა მაღალი მოდის რეალურ მნიშვნელობაზე. „ამ ზაფხულს ყველამ ვიხილეთ კლიმატის ცვლილება. ყველამ ვნახეთ ხანძრები მთელ მსოფლიოში. და სექტემბერში ახალი ჩვენებით დაბრუნება და იმაზე ფიქრი, ჩვენი შარვალი მაღალწელიანი იქნება თუ დაბალწელიანი, ცოტა უაზროდ მეჩვენება“, – განაცხადა დიზაინერმა ჩვენების დროს კულისებში. ქაღალდის, ბანანისა და წნელისგან დამზადებული ქსოვილების გამოყენებით შექმნილ მაღალი მოდის ნამუშევრებს თუ დავაკვირდებით, ადვილად შეგვიძლია დავადგინოთ, თუ რამდენად ყოვლისმომცველად საუბრობს საკუთარ თავზე კოლექცია თავისი მიწიერი ფერთა პალიტრით; უდავოა, რომ ეკოლოგიური კრიზისის პრობლემა და მსოფლიოს მომავალზე ფიქრით გამოწვეული დიდი მღელვარება, როგორც ჩანს, ქვეცნობიერად იყო ფესვგადგმული ოლივიეს წარმოსახვაში. „კოლექცია, რომელიც ღია ცის ქვეშ გამართულ პოდიუმზე გამოიტანეს, არ იყო მაინცდამაინც მნიშვნელოვანი, თუმცა მთავარი ელემენტები იყო პრინტებზე და ასტრონომიული კონსტრუქციის მქონე აქსესუარებში მოცემული ტრანსკულტურული და წინააღმდეგობრივი ალუზიები რენესანსის ეპოქაზე“ (ლუკ ლეიჩი, „ვოგი“).

Schiaparelli

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მოდის ჩვენებების შედეგები ონლაინ სივრცეში არც ისე აქტიურ გამოხმაურებას იწვევს, დენიელ როზბერიმ „სკიაპარელის“ მოდის სახლიდან წარმატებით მოახერხა ინტერნეტის დაპყრობა დიდი კატის შესახებ პოლემიკით, კაილი ჯენერის ლომის თავიანი კაბით გამოჩენისას მან სოციალური ქსელები შეძრა. საინტერესოა, თემა იყო – „ვის რა აცვია“, თუ ეს იყო დადგმული კოსტიუმირებული სანახაობა, რომელსაც იმ დროისთვის ციფრულ მედიაში ყველაზე დიდი ყურადღება უნდა მიეპყრო. ანალოგიურად, ჩვენებაზე ნაომი კემპბელმა ყველა და ყველაფერი დაჩრდილა პრიალა შავი ქურთუკით, მხარზე 3–განზომილებიანი მგლის თავით, რასაც შალომ ჰარლოუს თოვლის ლეოპარდის „ღრიალა“ კაბა მოჰყვა. ჭორების თანახმად, როზბერის შთაგონება დანტეს მე–14 საუკუნის პოემა „ჯოჯოხეთი: ლომი, ლეოპარდი და მგელი“ გახდა“ (სარა მოუერი, „ვოგი“). აი, ყველაფერი ასე მარტივადაა. იმის მიუხედავად, რომ შოკისმომგვრელმა ნამუშევრებმა ჩვენების სტუმრებს შეკითხვები გაუჩინა, ვფიქრობთ, კოლექციის დანარჩენი ნაწილი, სამწუხაროდ, სათანადოდ არ შეფასდა. უნაკლო კონსტრუქციის მქონე ნამუშევრებმა, რომლებიც „სკიაპარელის“ დნმ–ს შეესაბამებოდა – არაჩვეულებრივად მორთული და კარგად მომდგარი კოსტიუმებიდან დაწყებული, შესანიშნავად სტრუქტურირებული ბუსტჰალტერებით, კორსეტებით და კაბებით დამთავრებული, ეფექტურ აქსესუარებთან კომბინაციაში – პარიზის მაღალი მოდის სცენაზე ელზა სკიაპარელის კლასიკური არსი წარმოაჩინა.

საუკუნე და უფვრო მეტი

ბრენდების უმეტესობა ოცნებობს ასწლოვან ისტორიაზე, თუმცა ეს პრივილეგია მხოლოდ რამდენიმეს აქვს. ხელოვანმა ლე მინმა შთაგონება მოდის იმ 6 სახლში პოვა, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი საუკუნოვანი მემკვიდრეობით იამაყონ. მხატვარმა მათი ისტორიის დეტალები ფერადი ილუსტრაციების სერიის მეშვეობით გვიამბო.

ილუსტრაცია LE MINH @MINH_M3

MINH_M3
LANVIN
MINH_M3
BALENCIAGA

MINH_M3
MINH_M3
PRADA
LOEWE

FROM LILY WITH LOVE

WEEKEND

MaxMara

WEEKEND MAX MARA TBILISI / ADR. 50 CHAVCHAVADZE AVENUE, TBILISI GEORGIA

თაკო ნაცვლიშვილი

საკუთარ ბრენდს ქმნის და პაუზის შემდეგ ჰოდიუმზე ბრუნდება

ეკომეგობრული ბრენდი, უამრავი გეგმა და პაუზის შემდეგ აქტიური დაბრუნება სამოდელო სფეროში - ქართველი მოდელი თაკო ნაცვლიშვილი უკვე წლებია მოდის საერთაშორისო ასპარეზზე გამოდის. ჰოდიუმზე მისი გამოჩენა ყოველთვის შთამბეჭდავია. მსოფლიოს წამყვანი დიზაინერების პრესტიჟული ჩვენებების მონაწილე 24 წლის ქართველი მოდელის ცხოვრება ზღაპრულს ჰგავს. მისი კარიერული აღმასვლა საკმაოდ პატარა ასაკში დაიწყო. მოდის ექსპერტებმა თაკო ნაცვლიშვილს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს. სამოდელო სფეროს ახალგაზრდა ვარსკვლავის გარეგნობა ყველა დროის სილამაზის სტანდარტის სინთეზია. სილამაზის გენეტიკური კოდი მას დედისგან ერგო, ყველაზე კონკურენტულ გზაზე წარმატებული კარიერისთვის კი მხოლოდ მოდელის პარამეტრები საკმარისი არ აღმოჩნდა, თაკომ აღიარება წლების წინ დამოუკიდებლად მოიპოვა დაუღალავი შრომითა და სწორი ნაბიჯებით, დღეს კი უკვე საკუთარი ბრენდიც აქვს და მის განვითარებაზე ზრუნავს.

ვიყენებთ გადამუშავებულ ქსოვილებსაც, ძველი ნაჯრები "რესაიქლინგ პროგრამებში" გარდება, შემდეგ ძაფების დონემდე იშლება და ახლიდან იქმნება ქსოვილები

თაკო, როდის და როგორ გაგიჩნდათ საკუთარი ბრენდის შექმნის იდეა?

იდეა ერთი წლის წინ გამიჩნდა, თუმცა ბრენდი 5 თვის წინ შეიქმნა. ზოგადად, ყოველთვის მომწონდა ქალის გამორჩეული თეთრეული, ვფიქრობ, რომ ეს არის ერთადერთი რამ, რაშიც თანხის გადახდა არასდროს დამენანება. მილანში უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ გადავწყვიტე, თეორიული ცოდნა პრაქტიკაში გამომეყენებინა და ერთ დღეს ასე შეიქმნა ჩემი ბრენდი – „შეიდიში“. სახელწოდებაზე ბევრი არ მიფიქრია. უბრალოდ, მინდოდა, ქართული იდენტობა ჰქონოდა და საბოლოოდ მივაგენი. „შეიდიში“ ძველი სპარსული სიტყვაა და ქალის და მამაკაცის თეთრეულს ნიშნავს.

როგორ ხდება ქსოვილების შერჩევა და რა განმასხვავებელი ნიშანი აქვს თქვენს ბრენდს?

ვიდრე უშუალოდ ბრენდზე დავიწყებ საუბარს, გეტყვით იმას, რომ სულ ჩართული ვარ ეკომეგობრულ თემებში. უნივერსიტეტში სწავლის დროს გავდიოდი კურსს „მოდის მდგრადი განვითარება“, რომელმაც ძალიან დამაინტერესა. ჩემი თვალით ვნახე, რამდენად ვაზიანებთ გარემოს ისე, რომ ვერც კი ვაცნობიერებთ. შემდეგ უკვე, როდესაც საქართველოში ჩამოვედი, „ფაბერმა“ მდგრადი განვითარების ელჩობა შემომთავაზა, რაზეც დავთანხმდი და ერთი წელი ვითანამშრომლეთ. მილანში უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, როდესაც ბრენდზე ფიქრი დავიწყე, პირველივე დღიდან მინდოდა, ეკომეგობრული ყოფილიყო. ჩემი ბრენდის შემთხვევაში ნარჩენ ქსოვილებს ვიყენებთ მოდის სახლებიდან, ჩვენი პარტნიორია LVMH-ის პლატფორმა Nona Source – ეს არის „ლუი ვიტონის“ და „მოე ჰენესის“ ჰოლდინგი, რომელიც ძალიან ბევრ ბრენდს აერთიანებს, მათ შორის, „დიორს“, „ლოევეს“ და ა.შ.

ჩემთვის მნიშვნელოვანია, როდესაც დიზაინერი თავიდან ბოლომდე ჩართულია ბრენდის საქმიანობაში

დიდი ზომები ყოველთვის პრობლემაა და ჩვენ ისეთი ზომები შევქმენით, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს

ადრე თუ ბრენდები მორჩენილ ქსოვილებს ყრიდნენ და ამით გარემოს აბინძურებდნენ, დღეს უკვე შეიქმნა პლატფორმა, სადაც გამოუყენებელ ქსოვილებს ყიდიან და ჩვენ ზუსტად ამ ე.წ. „ნაგვიდან“ ვქმნით ახალ პროდუქციას; ვიყენებთ, ასევე, გადამუშავებულ ქსოვილებს, ძველი ნაჭრები „რესაიქლინგ პროგრამებში“ ბარდება, შემდეგ ძაფების დონემდე იშლება და ახლიდან იქმნება ქსოვილები. ჩვენი ბრენდის პროდუქციას ადგილობრივ ბაზარზე ვაწარმოებთ, ხელნაკეთია და იქიდან გამომდინარე, რომ ცნობილი მოდის სახლების ქსოვილებს ვიყენებთ, ხარისხი ძალიან მაღალია, 100% აბრეშუმი და ბამბა.

სად არის შესაძლებელი თაკო ნაცვლიშვილის ბრენდის პროდუქციის შეძენა?
გვაქვს ჩვენი ვებსაიტი, სადაც საერთაშორისო მასშტაბით შესაძლებელია „შეიდიშის“ შეძენა, საქართველოში კი კონცეპტუალურ მაღაზიებში – More IS love, IERI და, ასევე, „ბაიერსთანაც“ ვთანამშრომლობთ.

როგორ იქმნება „შეიდიშის“ ესკიზები?
ბრენდის დიზაინში და ესკიზების შექმნაში ჩემი მეგობარია ჩართული, რომელიც პარიზში სწავლობდა. მე აქტიურად ვმუშაობ ტრენდების მიმართულებით, როგორი უნდა იყოს ფერი და სილუეტი. დიდი ზომები ყოველთვის პრობლემაა და ჩვენ ისეთი ზომები შევქმენით, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს. ვისაც განსაკუთრებულად დიდი ზომები სჭირდება, მათთვის პერსონალურად ვქმნით ქვედა თეთრეულს. ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ წელს პირველად მიგვიწვიეს ქალის საცვლების საერთაშორისო გამოფენაზე ანუ პირველად გავიდა ჩვენი ბრენდი „თრეიდ“ შოუზე, სადაც „შეიდიშის“ პროდუქცია მთავარ სექციაში გამოიფინა.

როგორია თქვენი ბრენდის კამპანია და გეგმები?
კლასიკურ სილამაზეს წარმოვადგენ, ამიტომ ფოტოებს არ ვამუშავებ, რაც დღეს ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს. ბრენდის სწორად ჩამოყალიბებაში ის დეტალები მინდოდა სრულად გამეთვალისწინებინა, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნებოდა მრავალფეროვანი და ყველა ზომის ქალზე გათვლილი პროდუქციის შესაქმნელად. ბრენდის კამპანიაში გვყავს ისეთი მოდელები, რომლებმაც „შეიდიში“ სტრიებზეც მოირგეს. ჩვენთვის პრიორიტეტულია დაუმუშავებელი ფოტოები, ამით გვსურს, საზოგადოებას ვაჩვენოთ, რომ რაც უფრო ბუნებრივები არიან და არ მალავენ საკუთარ თავს, ქალები მით უფრო ბედნიერები არიან. ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ყველა ქალი ლამაზია. რაც შეეხება ბრენდის გეგმებს, სურვილი გვაქვს, მდგრადი მოდის განვითარების მიმართულებით სხვადასხვა გამოფენაში მივიღოთ მონაწილეობა. ამ მხრივ აქტიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ბრიტანეთში. გვინდა, ჩვენი პროდუქცია შოურუმებზე გავიტანოთ და ბევრი ბაიერი დავაინტერესოთ.

როდის გადაწყვიტეთ, რომ მოდელობა უნდა ყოფილიყო თქვენი ცხოვრების მთავარი საქმე?
მთელი ბავშვობა ვუყურებდი დედაჩემს, რომელიც მოდელი იყო. მე კი იმ პერიოდში სწავლაზე ორიენტირებული ბავშვი და კარგი მოსწავლე ვიყავი, დავდიოდი ჩოგბურთზე და უცხოეთში წასვლას ჩოგბურთის მიმართულებით ვგეგმავდი. კარგად მახსოვს, როდესაც დედაჩემმა სამოდელო სააგენტო გახსნა, პირველად მივედი გარემოს სანახავად და მაშინ მივხვდი, რომ ძალიან მომეწონა ეს პროფესია. ერთი დეტალი მახსენდება: კასტინგი ტარდებოდა რომელსაც ამერიკული „ნექსთ მოდელ ლუქის“ მენეჯმენტის სკაუტი ესწრებოდა. მაშინ 14 წლის ვიყავი და ჩოგბურთიდან დედას შევუარე სამსახურში. მან კასტინგზე შესვლა შემომთავაზა და ფოტოები გადამიღო, შემდეგ, როდესაც კონტრაქტს შეეხო საკითხი, მშობლების ვინაობა გამომკითხა... ნინოს სახე ახლაც თვალწინ მიდგას, როცა უპასუხა, დედა მე ვარო. ასე დაიწყო ჩემი დამოუკიდებელი ნაბიჯები სამოდელო ინდუსტრიაში. პარიზი, მილანი... შემდეგ 4 თვე მარტო ვიცხოვრე ჰონკონგში. ეს იყო დასაწყისი და კარგი გამოცდილება.

მოდის ინდუსტრიაში საკმაოდ მკაცრი წესები მოქმედებს, რომლებსაც ფეხი უნდა აუწყო, რადგან საერთაშორისო ბაზარზე ამ მხრივ დიდი კონკურენციაა

თუ შეგიძლიათ, წლების შემდეგ გაიხსენოთ ის პირველი მოდური მომენტი, რომელმაც მიგახვედრათ, რომ ზუსტად იქ ხართ, სადაც უნდა იყოთ?
ზუსტად არ მახსოვს წელი, ალბათ, 2015 ან 2016 წლის მაღალი მოდის ჩვენების დროს პარიზში. კასტინგზე რიკარდო ტიშმ დამიბარა, რომელიც მაშინ „ჟივანშის“ კრეატიული დირექტორი იყო. როდესაც მოდის სახლში მივედი, ექსკლუზივი არ გამოვიდა და ეს იყო ჩემი პირველი დიდი იმედგაცრუება, თუმცა ზუსტად ერთ კვირაში „ვერსაჩემ“, „დიორმა“ და „არმანიმ“ დამამტკიცეს ჩვენებებზე და მაშინ მივხვდი, რომ ზუსტად იქ ვიყავი, სადაც უნდა ვყოფილიყავი.

რამდენად მტკივნეული იყო უარყოფა და ის ფიასკო, რომელიც იმ პერიოდში განიცადეთ?
მოდელის პროფესია ძალიან საინტერესოა, ჩვეულებრივი მოქალაქეებისგან იმით განვსხვავდები, რომ მუდამ ყურადღების ცენტრში ვარ. ძალიან რთულია ყოველდღიურად, მუდმივ რეჟიმში – არ აქვს მნიშვნელობა, გაქვს თუ არა განწყობა, კარგად გრძნობ თავს თუ შეუძლოდ ხარ – სულ ფორმაში იყო, არადა ჩვენს პროფესიაში ეს აუცილებელია. შორიდან ძალიან ლამაზად ჩანს, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ეს ყველაფერი ურთულეს ნაბიჯებსა და წესებთან არის დაკავშირებული. ამ სფეროში თუ აქტიური არ ხარ, ჩვენებებზე ხშირად არ გამოდიხარ და ფოტოსესიებში არ მონაწილეობ, აქტუალობას კარგავ და ფიასკოს განიცდი. მოდის ინდუსტრიაში საკმაოდ მკაცრი წესები მოქმედებს, რომლებსაც ფეხი უნდა აუწყო, რადგან საერთაშორისო ბაზარზე ამ მხრივ დიდი კონკურენციაა.

შორიდან ძალიან ლამაზად ჩანს, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ეს ყველაფერი ურთულეს ნაბიჯებსა და წესებთან არის დაკავშირებული

თავიდან ძალიან რთული იყო იმ უარყოფის გააზრება, რაც ჩემს კარიერულ წარმატებას მოჰყვა, თუმცა დრომ და გამოცდილებამ მასწავლა, რომ არ არსებობს ნამდვილი წარმატება უარყოფის გარეშე.

„არმანისთან“ თქვენს თანამშრომლობასა და ურთიერთობაზე მოგვიყევით...
„არმანისთან“ თანამშრომლობა ძალიან საინტერესო იყო, 5 ჩვენებაში მივიღე მონაწილეობა და ერთობლივი 2 დიდი გადაღება გვქონდა. ჩემთვის ყველაზე მეტად დასაფასებელია ამ დიზაინერის საქმიანობა, რადგან დაწყებული კასტინგიდან, ყველაფერში პირადადაა ჩართული. გადაწყვეტილებებს ყოველთვის თავად იღებს. მახსოვს, როდესაც არმანის ოთახში შემიყვანეს, 90 წლის დიზაინერი იჯდა და ესკიზებს ხატავდა. ჩემთვის მნიშვნელოვანია, როდესაც დიზაინერი თავიდან ბოლომდე ჩართულია ბრენდის საქმიანობაში. არმანიმ ეპოქა შექმნა.

სამოდელო სფეროს ახალგაზრდა ვარსკვლავის გარეგნობა ყველა დროის სილამაზის სტანდარტის სინთეზია

საკმაოდ პოპულარულ ბრენდებთან თანამშრომლობდით: რა სირთულეები გქონიათ და რა სარგებელი მიგიღიათ? რა სხვაობა არსებობს სხვადასხვა თაობის დიზაინერებს შორის?
ყველა დიზაინერი განსხვავებულია, გადაღებების სეტი კი – ძალიან თანამედროვე. ზოგი თვითონ აკეთებს სკეტჩებს, ზოგი პირდაპირ ჩვენებაზე მოდის. ძნელია შედარება და ანალოგის პოვნა. ჩემთვის მათთან მუშაობა დიდი გამოცდილება და პროფესიული ზრდის ტოლფასია.

თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი ჩვენება ან კამპანია რომელი იყო?
ალბათ, „დიორის“ და „ვერსაჩეს“ ჩვენებები. „ვერსაჩეს“ ჩვენებაზე ყოველთვის ტოპმოდელები გამოდიან და ერთი ახალი მოდელი მონაწილეობს – ამ ჩვენებაზე ახალი მე ვიყავი. „დიორის“ ჩვენებაზე მოხვედრა ძალიან რთული იყო. დღესაც 90–იანი წლების სტილის ეპოქაში არიან და ამ ყველაფერს შოუს ელემენტებით ინარჩუნებენ. „დიორის“ კრეატიული დირექტორი რაფ სიმონსი იყო – ვეცადე და გამომივიდა, რომ რაფ სიმონსის „დიორის“ ჩვენებაზე გამოვსულიყავი.

თაკო ნაცვლიშვილის ტრიუმფი...
ცხოვრებაში ყოველთვის არის იღბლიანი და წარუმატებელი მომენტები. როდესაც რომელიმე ბრენდი არჩევანს შენზე აკეთებს, ავტომატურად საზოგადოების განხილვის საგანი ხდები.
ამაზე უკეთეს კარიერულ დასაწყისს, რაც მე მქონდა, ალბათ, ვერასდროს ვინატრებდი. არაერთხელ წარვადგინე წამყვანი დიზაინერების კოლექციები. საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლოა ეს ნაბიჯები, თუმცა ჩემს შემთხვევაში პოპულარობის ფაქტორმა დიდი როლი შეასრულა, რომ ტრიუმფის გზით წავსულიყავი. ჩვენს სფეროში კონკურენცია საკმაოდ დიდია, მოდის ინდუსტრიაში მთავარია, არ ჩამორჩე დროს, შეინარჩუნო ინდივიდუალიზმი და სწორ დროს სწორ ადგილას აღმოჩნდე.

დამწყებ მოდელებს ვურჩევდი, რომ ის, რაც დღეს ოცნებად ეჩვენებათ, აუცილებლად აქციონ რეალობად, იშრომონ და ბევრი იმუშაონ საკუთარ თავზე იმისთვის, რომ ერთ დღეს მსოფლიოში ნამყვან პოდიუმებზე გამოვიდნენ

მოდის ინდუსტრიაში მთავარია, არ ჩამორჩე დროს, შეინარჩუნო ინდივიდუალიზმი და სწორ დროს სწორ ადგილას აღმოჩნდე

ახალი სტანდარტები მკვიდრდება, მოდა ცვალებადია – თქვენთვის რა არის დასამახსოვრებელი?
დიზაინერებმა რაც არ უნდა შექმნან, არაფერი აღარ გაგვაოცებს, დღეისათვის ბევრი „ფეიკ“ პროდუქცია იქმნება. მოდა ყოველთვის იქნება აქტუალური, თუმცა არჩევანის საშუალება თუ მექნებოდა, ძველ ეპოქას ავირჩევდი და იმ პერიოდში ვიქნებოდი მოდელი.

რას ურჩევდით დამწყებ მოდელებს?
ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, დამწყებ მოდელებს ვურჩევდი, რომ ის, რაც დღეს ოცნებად ეჩვენებათ, აუცილებლად აქციონ რეალობად, იშრომონ და ბევრი იმუშაონ საკუთარ თავზე იმისთვის, რომ ერთ დღეს მსოფლიოში წამყვან პოდიუმებზე გამოვიდნენ. არ გაუცრუოთ იმედი უარმა და არ ჩაიქნიონ ხელი სამომავლო კარიერაზე.
ეს არის პროფესია, რომელსაც მიზანდასახული და უპრეტენზიო ადამიანები უყვარს. რაც გულით გინდათ, ის აუცილებლად გამოგივათ.

როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?
სამოდელო კუთხით ბევრი გეგმა მაქვს, ახალ სააგენტოსთან ვიწყებ თანამშრომლობას, სულ მალე ლონდონში მივფრინავ. ჩემი მთავარი მიზანია, რომ პოდიუმს ახლებურად დავუბრუნდე. ვრცელი საუბარი მქონდა ჩემს აგენტებთან, რთულია, როცა უკვე იყავი „ფეისი“ და ახლა თავიდან უნდა წარმოაჩინო თავი, როგორც „ნიუ ფეისმა“. ასეთ დროს თავის დამკვიდრება ადვილი არ არის იმ რეჟიმში, სულ რომ აქტუალური იყო. ამიტომ სტილის შეცვლით ვცდილობ, ახლებურად დავანახვო ჩემი თავი. საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ, გავხდი, ვვარჯიშობ და მინდა, რომ ისევ მივიდე კასტინგებზე. ამ ეტაპზე კომერციულ გადაღებებზე ვმუშაობ. გარკვეული პერიოდი გადაღლილი ვიყავი და დროებით პაუზა მჭირდებოდა.

LIVIN' HER LIFE

PHOTO: SHOTA GOTOSHIA **STYLE:** DATA ALEKSEEV

Starring TAKO NATSVLISHVILI
Apparel MASSIMO DUTTI
Mua KRISTI VEKUA
Hair BESARIONNI
Styling Assistant NINA SHEKILADZE
Photostudio GEODAYLIGHT

„უბრალოდ, მოდას ვიყენებ, როგორც საბაბს პოლიტიკაზე საუბრისთვის. მოდის დიზაინერობა მაძლევს ხმას, რაც ნამდვილად კარგია...“

ჩუმად წარმოთქმული ქარიშხალი

ვივიენ ვესტვუდი

„ვივიენი ბოლო მომენტამდე აგრძელებდა იმ საქმის კეთებას, რომელიც უყვარდა: ქმნიდა დიზაინს, მუშაობდა თავის ხელოვნებაზე, წერდა წიგნს და სამყაროს უკეთესობისკენ ცვლიდა. ვივიენ ვესტვუდმა საოცარი ცხოვრება განვლო. მან თავისი ინოვაციურობით და ესთეტიკით ბოლო 60 წლის განმავლობაში უზარმაზარი გავლენა მოახდინა მოდის სამყაროზე და ეს გავლენა მომავალშიც გაგრძელდება...“

დამოუკიდებლისა და განსხვავებულის, ესთეტისა და აქტივისტის უნიკალური ნაზავი - ასეთი იყო ვივიენ ვესტვუდი, ჩუმად წარმოთქმული ქარიშხალი, განმაიარაღებელი თავისი პირდაპირობით და უბრალოებით. ანარქისტმა ღია ნარინჯისფერი თმით და წითელი პომადით ბრიტანეთი ნამდვილად შეცვალა. იგი ერთადერთი დიზაინერი იყო მოდის ისტორიაში, რომელმაც მოდით გაილაშქრა კორუფციისა და გლობალური უსამართლობის წინააღმდეგ. ვივიენ ვესტვუდმა მთავარი როლი ითამაშა პანკის გაჩენაში, დაიპყრო მაღალი მოდა და გლობალური იმპერია ააგო. მან გამოიგონა ახალი რომანტიკოსები, ნაომი კემბელი პოდიუმზე საგზაო კონუსით გამოიყვანა და დედოფალს ქვედა საცვლების გარეშე შეხვდა. ვესტვუდისთვის მოდა იარაღი იყო. რა თქმა უნდა, იგი ფიქრობდა, რომ ტანსაცმელი ადამიანებს სექსუალურს ხდის, მაგრამ მის მთავარ დანიშნულებად სულ სხვა რამე მიაჩნდა: ყველაფრის შერყევა, კონფორმიზმის განადგურება და უკეთესი სამყაროს შექმნა.

ვივიენ ისაბელ სუაირი 1941 წელს დაიბადა დერბიშირის ერთ-ერთ სოფელში, ქარხნის მუშისა და ბამბის მქსოველის ოჯახში. მშობლებს ძალიან უკვირდათ მისი მიჯაჭვულობა კითხვაზე და ერთხელ ფულიც კი მისცეს, რათა ბიბლიოთეკის აბონემენტი გაენადგურებინა. ვივიენი პატარაობიდანვე შესაშური თავდაჯერებულობით გამოირჩეოდა, სჯეროდა, რომ განსაკუთრებული ოსტატი იყო. როგორც მოგვიანებით თავად აღიარა, 5 წლის ასაკში უკვე შეეძლო ფეხსაცმელი შეეკერა. იგი მოზარდობისას ოჯახთან ერთად ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მოგვიანებით დაწყებითი სკოლის მასწავლებლის კვალიფიკაციაც მიიღო. 22 წლის ასაკში ვივიენი ქარხნის სიმპათიურ თანამშრომელზე, დერეკ ვესტვუდზე დაქორწინდა. წყვილს ერთ წელში ვაჟი, ბენჯამინი შეეძინა.

„იყო წუდი, ნიშნავს, იყო კარგი, იყო კარგი კი – უბრალოდ, მოსაწყენია"



სრულიად მოულოდნელად, შემთხვევითმა შეხვედრამ ვივიენის ცხოვრებაში ყველაფერი შეცვალა. მისმა ძმამ, გორდონმა ჰაროუში, თავის ბინაში 19 წლის მეგობარი, ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტი მიიყვანა. ბიჭი წითელი თმით და პუდრით დაფარული სახით, მალკოლმ მაკლარენი თვითგამოცხადებული გენიოსი და პანკის ნათლია იყო. ასე დაიწყო ბრიტანეთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედებითი პარტნიორობა. ვივიენი ამ დროს პირველ ქმართან უკვე აღარ ცხოვრობდა. ის და მაკლარენი კლაფამში მდებარე პატარა ბინაში გადავიდნენ, შვილი შეეძინათ და კულტურული რევოლუცია წამოიწყეს, რომელმაც შეძრა და ცოტა შეაშინა კიდეც მსოფლიო.

ის ექსცენტრიკულმა ბებიამ აღზარდა, რომელიც ცხოვრობდა დევიზით: „იყო ცუდი, ნიშნავს, იყო კარგი, იყო კარგი კი – უბრალოდ, მოსაწყენია". იმის მიუხედავად, რომ მაკლარენი მუდმივად ამცირებდა ყველას და, პირველ რიგში, საკუთარ ცოლს, მან ვივიენში სრულიად ახალი ადამიანი გააღვიძა. მისი მეშვეობით გაიცნო მუშათა კლასის შვილმა მუსიკა, ხელოვნება და საბოლოოდ გარდაიქმნა. ისინი გაერთიანდნენ ორმხრივი სურვილით ჰიპების მოძრაობა პანკით შეეცვალათ. ვესტვუდმა და მაკლარენმა, იმ ფაქტით გაბრაზებულებმა, რომ ვიეტნამის ომზე პასუხისმგებელი მთავრობები ჯერ კიდევ ძალაუფლებას ფლობდნენ, შექმნეს სტილი და დამოკიდებულება, რომელიც ანარქიასთან ასოცირდება, რამაც ადგილობრივი ხელისუფლებაც ძალიან შეაშინა.

ვესტვუდის კარიერა მოდის სფეროში უნიკალური იყო, ნაწილობრივ – ხანგრძლივობის გამოც, მაგრამ, ძირითადად, მისი გავლენის ხანგრძლივობის გამო. 70-იანი წლების დასაწყისის ლონდონში ახალგაზრდა ვივიენმა მოკრძალებული ბრიტანული საზოგადოების პროვოცირება მოახდინა ბუტიკით, რომლის თავზე უზარმაზარი ვარდისფერი ასოებით ეწერა აკრძალული სიტყვა: SEX. მათმა პროდუქციამ – BDSM სამოსმა, დახეულმა მაისურებმა, რეზინის კაბებმა ექსცენტრიკული წარწერებით და დიზაინით – ლონდონი მოიცვა.

უფრო მოგვიანებით იყო ხმაურიანი ჯგუფი Sex Pistols და მათი კიდევ უფრო ხმაურიანი იმიჯი, რომელსაც სწორედ წყვილი ქმნიდა საკულტო მაისურებით და ხმაურიანი პრინტებით. სწორედ ამ ბენდთან ერთად, ვივიენისა და მალკოლმის ერთობლივი ძალისხმევით, დაიბადა ახალი სუბკულტურა, რომელსაც პანკ-როკი ეწოდა.

70-იანი წლების დასაწყისის ლონდონში ახალგაზრდა ვივიენმა მოკრძალებული ბრიტანული საზოგადოების პროვოცირება მოახდინა ბუტიკით, რომლის თავზე უზარმაზარი ვარდისფერი ასოებით ეწერა აკრძალული სიტყვა: SEX

1981 წელს ვესტვუდმა და მაკლარენმა პოდიუმზე პირველად წარადგინეს საკუთარი ნამუშევრები, კოლექცია სახელწოდებით Pirates, რომელიც ახალი სიტყვა იყო მოდის სფეროში. ამასთან, გამოიკვეთა ვივიენის ინტერესი ისტორიული კოსტიუმებისა და კორსეტების მიმართ. ამის შემდეგ ვესტვუდმა დამოუკიდებლად განაგრძო მუშაობა და 1985 წელს საკუთარ კარიერაში გარდამტეხი კოლექცია Mini-Crini შექმნა. ექსცენტრიკულობების ამ გრძელმა სიამ „ლონდონის ანდერგრაუნდის" ყურადღება მიიპყრო და ვივიენი პანკის დედოფლად იქცა.

ვივიენისა და მალკოლმის ერთობლივი ძალისხმევით, დაიბადა ახალი სუბკულტურა, რომელსაც პანკ-როკი ეწოდა

„ჩემი პრიორიტეტია კლიმატის ცვლილება და არა მოდა“, - განუცხადა მან ჟურნალ THE GUARDIAN-ს 2014 წელს

1980-იან წლებში ვივიენ ვესტვუდის სტილი თავდაყირა დადგა. დიზაინერმა კარი მიუხურა პანკ მოძრაობას და მთლიანად ხელოვნებისა და მოდის ისტორიის შესწავლაზე გადაერთო თავისი კოლექციების დახვეწის მიზნით.
ამ პერიოდში დიზაინერს შთაგონებას საშუალო კლასის სტილი აძლევდა. 1987-1988 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონზე Harris Tweed-ის კოლექციამ მთელ თაობაზე მოახდინა გავლენა. 2011 წელს ჟურნალ The Independent-თან ინტერვიუში ვივიენი განმარტავს, თუ რა გახდა ცნობილი კოლექციის ინსპირაცია. ამ ნამუშევრების შექმნა მას პატარა გოგონამ შთააგონა, რომელიც მატარებელში ნახა: „იგი 14 წელზე მეტის არ იქნებოდა, ჰქონდა მოკლე ნაწნავი, „ჰარის ტვიდის“ ქურთუკი ეცვა და ჩანთაში ბალეტის ფეხსაცმელები ეწყო. გოგონა მშვიდად და ღირსეულად გამოიყურებოდა“.
1993 წელს ვივიენი თავისზე 25 წლით უმცროს ანდრეას კრონტალერზე დაქორწინდა, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე არ დაშორებია. დიზაინერი ანდრეასს 1980-იანი წლების დასაწყისში შეხვდა, როცა ვენის ხელოვნების უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა. კრონტალერი მისი სტუდენტი იყო, დღეს კი ვივიენის ყველა კოლექციის შეუცვლელი თანაავტორია. პანკის დედოფალმა მის პატივსაცემად ლეიბლი Vivienne Westwood-ი ლეიბლ Andreas Kronthaler for Vivienne Westwood-ად გადააკეთა.
90-იან წლებში ვივიენ ვესტვუდმა

მამაკაცის პირველი კოლექცია შექმნა. მისი 1993-1994 წლების შემოდგომა-ზამთრის ჩვენება კი სამუდამოდ დარჩა მაყურებლის მეხსიერებაში 12 სმ-იან ქუსლებზე შემდგარი ნაომი კემპბელის ცნობილი დაცემით. ბოლოს, 1995 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციისთვის, სახელწოდებით „ეროტიკული ზონები“, მან სუპერმოდელი ქეით მოსი წარადგინა, რომელიც მარია ანტუანეტას განასახიერებდა - „დედოფალი“ მოშიშვლებული მკერდით პოდიუმზე ნაყინს მიირთმევდა.
2000-იანი წლებიდან ვივიენ

კლასიკად ქცეული ბრენდების ახალ კოლექციებს მოდის კრიტიკოსების დადებითი გამოხმაურება მოჰყვა

ვესტვუდი გარემოს დაცვის საკითხებით დაინტერესდა და გულმხურვალე ადვოკატიც გახდა. „ჩემი პრიორიტეტია კლიმატის ცვლილება და არა მოდა“, - განუცხადა მან ჟურნალ The Guardian-ს 2014 წელს. მიუხედავად ასაკისა, ვესტვუდი მუდმივად მონაწილეობდა ახალგაზრდა ექიმების საპროტესტო აქციებში, რომლებიც შრომის პირობების გაუმჯობესებას მოითხოვდნენ, ტანკით მივიდა პრემიერ-მინისტრის სახლთან და პეტიცია შეადგინა გენმოდიფიცირებული პროდუქტების წინააღმდეგ. პარალელურად მან ათობით შემოქმედებითი პროექტის რეალიზება შეძლო: შექმნა კოსტიუმები ოპერისა და თეატრისთვის და ავიაციის თანამშრომლების უნიფორმების დიზაინი, გამოუშვა კოლექციები სხვადასხვა ეკოლოგიური პროექტის მხარდასაჭერად.
გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვივიენი უარს ამბობდა ინტერვიუზე, თუ საუბარს მოდაზე სთხოვდნენ და არა - გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. „პროგნოზების თანახმად, დღეს პლანეტაზე ტემპერატურა ხუთი გრადუსით მოიმატებს. მე მაქვს რუკა, რომელზეც აღნიშნულია, დედამიწის რომელი უბნები გაუდაბურდება. უბრალოდ, გასაოცარია, რომ

ის ყოველთვის ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა და სამყარომ საბოლოოდ შეძლო მისი გაგება. გაუმარჯოს პანკის მარადიულ დედოფალს!

მთავრობის წარმომადგენლებმა ამის შესახებ არაფერი იციან და არანაირ ზომებს არ იღებენ. ეს უბრალოდ, კრიმინალია, დანაშაულია!“
არქტიკული ყინულის დნობით შეძრულმა ვივიენმა ფონდი Climate Revolution დააარსა, რომლის საიტზეც დაწვრილებითი დღიური განათავსა. ვივიენ ვესტვუდის შემოქმედება გამოფენილია მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმებში, დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელიზაბეთ II-მ 1992 წელს იგი ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დააჯილდოვა. ის, რაც ოდესღაც აჯანყებად ითვლებოდა,

ახლა გაგებულია, როგორც ხელოვნება, რაც ოდესღაც ექსტრავაგანტულობა და ექსცენტრიკულობა იყო, ახლა გენიოსობად და ნიჭიერებად არის აღიარებული.
უდავოა, რომ ვივიენ ვესტვუდმა - ბრიტანული მოდის ნარინჯისფერთმიანმა დედოფალმა - დროისა და ტენდენციების მიუხედავად შეძლო, მოდის შესახებ თავისი ხედვა დაემკვიდრებინა, ამასთან, ბოლომდე საკუთარი პოლიტიკური მრწამსის ერთგული დარჩა... ნონკონფორმისტი, აქტივისტი, ინდივიდუალისტი ვივიენ ვესტვუდი 50 წელზე მეტი ხნის განმავლობაში განაგრძობდა მოდის შთაგონებას და ფორმირებას. ის ყოველთვის ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა და სამყარომ საბოლოოდ შეძლო მისი გაგება. გაუმარჯოს პანკის მარადიულ დედოფალს!

ფუფუნების ელვარება

BVLGARI

„ბულგარი“ რომში ახალ საიუველირო საათებს წარმოადგენს

ტექსტი ნიგარ ნაგაროვა **ფოტო** პრესმასალა

რომი ფუფუნებითა და შთამბეჭდავი არქიტექტურით გამოირჩევა. კოლოსეუმის კლასიკური სვეტებით დაწყებული, პანთეონის მონუმენტურობით დამთავრებული, ეს ქალაქი ფუფუნებით, სილამაზითა და გრანდიოზული შენობა-ნაგებობებით არის სავსე. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რომი მრავალი მიზეზის გამო ითვლება ფუფუნების დედაქალაქად. მისი, როგორც ძალაუფლებისა და გავლენის ცენტრის, ხანგრძლივი ისტორია იმ ფუფუნების საგნებში აისახა, რომლებსაც აქ საუკუნეების განმავლობაში ამზადებდნენ და საექსპორტოდაც გაჰქონდათ. მსოფლიოს ყველაზე ცნობილი დიზაინერები სწორედ აქ მოღვაწეობენ. დახვეწილობისა და ფუფუნების ეს კომბინაცია ქალაქს იდეალურ დანიშნულების ადგილად აქცევს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც საუკეთესო, უმაღლესი ხარისხის გამოცდილების მიღებას ცდილობენ. ამას ყველაზე საკულტო, სამკაულებისა და საათების ნამდვილ რომაულ ბრენდთან - „ბულგარისთან“ მივყავართ.

საბერძნეთში, ვერცხლის ოსტატებისა და იუველირების ოჯახში 1957 წელს დაბადებული სოტირიო ბულგარი 24 წლის ასაკში რომში გადავიდა. იგი ნოვატორი ბიზნესმენი იყო წარმატების უნიკალური ხედვით, რომელმაც თავისი ოჯახის ხელობა გამოიყენა და 1884 წელს „ბულგარის“ საკულტო ბრენდი შექმნა. კომპანიის ზრდასთან ერთად ბულგარი ბიზნესის სფეროში ცნობილი გახდა თავისი გამჭრიახობით და ინოვაციური მიდგომით. იგი მარკეტინგის ოსტატი იყო და ბრენდს გლამურისა და ფუფუნების გრძნობას სძენდა. თავის ვაჟებთან, ჯორჯოსა და კონსტანტინოსთან ერთად მან იტალიური საიუველირო დიზაინის უნიკალური სტილი შეიმუშავა თამამი ხაზებით, კაშკაშა ფერებითა და მკაფიო სიმბოლიზმით. მათ მაღალი სტანდარტებით გაითქვეს სახელი, რადგან ხარისხზე, ოსტატობასა და ინოვაციებზე იყვნენ ორიენტირებულები. სოტირიო ბულგარიმ ბიზნესის ყველა ასპექტი მოიცვა და შეძლო, შეექმნა წარმატებული და სტაბილური კომპანია, რომელშიც მისი მემკვიდრეობა დღემდეა შემონახული.

„ბულგარის“ კოლექციები, ერთ-ერთი ყველაზე მდიდრული საიუველირო ნაკეთობები, თავის დიზაინს რომის არქიტექტურას უნდა უმადლოდეს. ქალაქის დიდებული ისტორია და კულტურა საუკუნეების განმავლობაში იყო „ბულგარის“ შთაგონება, როგორც იტალიური მაღალი მოდისა და ელეგანტურობის მთავარი სიმბოლო. შემთხვევითი არ არის მისი უნიკალური წამყვანი მაღაზიის მდებარეობაც ცნობილ „ვია კონდოტიზე“ (Via Condotti), ლეგენდარული Antico Caffe Greco-ს გასწვრივ, რომელიც კულტურული მნიშვნელობის მქონე ადგილია. ამ კაფეს, სხვა ცნობილ ადამიანებთან ერთად, რეგულარულად სტუმრობდნენ ლორდ ბაირონი, ჰანს კრისტიან ანდერსენი, ჰენრი ჯეიმსი, რიჰარდ ვაგნერი, მარკ ტვენი, ცნობილი მსახიობები და მხატვრები, მნიშვნელოვანი პოლიტიკოსები და წარჩინებული ადამიანები მთელი მსოფლიოდან.

„ბულგარის“ ბუტიკი იტალიური ფუფუნების ნამდვილი საგანძურია – ქალაქის ელეგანტური დახვეწილობის საკულტო სიმბოლო. ბუტიკის შიგნით მომხმარებელს, როგორც წესი, სამკაულების, საათებისა და აქსესუარების თვალისმომჭრელი კოლექცია ელის. თითოეული ნივთი დეტალებისადმი განსაკუთრებული ყურადღებით არის დამზადებული, თუმცა ამჯერად ეს ადგილი მშვენიერ საჩვენებელ სივრცედ გადაკეთდა საიუველირო საათების ახალი კოლექციის კერძო ჩვენებისთვის, რომელიც საკულტო გველის სიმბოლოს 75 წლის იუბილეს ეძღვნება.
ბუტიკი ახლა ნამდვილ შოურუმს მოგაგონებდათ თავისი მდიდრული დეკორით და თვალწარმტაცი ვიტრინით. „ბულგარის“ ქალთა საათების კოლექციას ძვირად ღირებული საათების კონცეფცია ახალ დონეზე აჰყავს. თითოეული ნაკეთობა დახვეწილი და უმაღლესი ხარისხისაა. ყოველი მათგანი ძალზე შთამბეჭდავია. მაღალი საიუველირო ხელოვნების ახალი კოლექციის თვალიერება მნახველს დიდ სიამოვნებას ჰგვრის. Bulgari's Divas' Dream-ის მდიდრული კოლექცია იტალიური ყოფის სილამაზესა და სიხარულს აცოცხლებს თავისი ხასხასა ფერებით, ხოლო Divas' Dream Mosaica–ს კოლექცია ლურჯი და ვარდისფერი



საფირონების შთამბეჭდავ შეხამებას წარმოადგენს – ეს არის ფერების და ბრწყინვალების თვალისმომჭრელი სანახაობა, რომელიც რომის ოქროს ხანის სულს გადმოსცემს. „ალეგრას“ კოლექცია ტურმალინის, ციტრინის, როდოლიტისა და პერიდოტის ძვირფასი ქვებით ფერების თამამ და ამაღელვებელ კომბინაციას ქმნის და სიხარულს და ბზინვარებას ანიჭებს მსოფლიოს.

შემდეგ არის ლეგენდარული „სერპენტი“ – ჩემი პირადი ფავორიტი და რომაელი იუველირის საკულტო ნაკეთობა. 1948 წელს შექმნილი თავისი პირველი გველებიდან დაწყებული, „ბულგარი“ განუწყვეტლივ ავითარებდა კონცეფციას სტილიზებული გეომეტრიის მქონე საათებისა და რთული ტექნიკის სამაჯურების შესაქმნელად. 2022 წელს თავისი ყველაზე პატარა მრგვალი მექანიკური მექანიზმის, BVL 100–ის წარდგენის შემდეგ, ამავე წელს გველის მომხიბვლელმა ტრანსფორმაციამ მრავალი დიდებული შესაძლებლობა გამოავლინა – Serpenti Tubogas Infinity–ს კოლექცია „ბულგარის“ მკაფიოდ გამოხატულ იტალიურ ტალანტს და ოსტატობას უსვამს ხაზს.
ეს ტექნიკა უსასრულო შემოქმედებით თავისუფლებას გვპირდება და ინტიმურ კავშირს აღნიშნავს Serpenti–სა და მას შორის, ვინც მას ატარებს. Serpenti Tubogas Infinity–ს კოლექციის საათის პირველად გაკეთება ამაღელვებელი გამოცდილებაა. თქვენს მაჯაზე შეიგრძნობთ ხელოვნების ნიმუშს ოსტატურად დამუშავებული გველით, რომლის თავი ბრილიანტით არის შემკული.

„სერპენტის“ კოლექცია – მარადიული კლასიკაა და საკულტო დიზაინის ყოველი ვარიაცია საიუველირო დიზაინის საზღვრებს მუდმივად აფართოებს.

აღტაცების ტალღამ მომიცვა, როდესაც რთული დეტალები და გასაოცარი ოსტატობა ვიხილე. იმის ცოდნა, რომ მე ვიყავი იმ მცირერიცხოვან პრივილეგირებულთა შორის, რომლებიც ახალი კოლექციის კერძო ჩვენებას ესწრებოდნენ, სიხარულისა და სიამაყის გრძნობით მავსებდა. ეს მართლაც უნიკალური გამოცდილება იყო, რომელიც არასოდეს დამავიწყდება.

დროის ბრწყინვალება

1884 წელს დაარსებული „ბულგარის“ ბრენდი დიდი ხნის განმავლობაში საიუველირო სფეროში ლიდერი იყო თავისი დახვეწილი ოსტატობის და ინოვაციური დიზაინის, თამამი ფერებისა და გაბედული სტილის გამო. რომში არსებული საკუთარი ფესვებიდან დაწყებული, ჩვენს დროში მთელ მსოფლიოში მისი ხელმისაწვდომობით დამთავრებული, ბრენდმა თავი დაიმკვიდრა, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე საკულტო კომპანიამ, როგორც იუველირმა და როგორც საათების მწარმოებელმა.

„ბულგარიმ“ თავისი პირველი საათი ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გამოუშვა და ცხადია, რომ მაშინ ის ძვირფასი ქვებით გაწყობილი საათი იყო და არა – საიუველირო ნაკეთობა, რომელიც დროსაც აჩვენებდა. დღეისათვის „ბულგარის“ ქალის საათები ელეგანტურობის სინონიმს წარმოადგენს. ბრენდი სტილის ფართო არჩევანს გვთავაზობს, რომელიც ნებისმიერ გემოვნებას დააკმაყოფილებს. ყოველი ახალი კოლექციის ნიმუში წინაზე უფრო განსაცვიფრებელია. რასაც არ უნდა ეძებდეთ, ყოველდღიურად სატარებლად დახვეწილ საათს თუ გლამურულ ნივთს განსაკუთრებული შემთხვევისთვის, კოლექციაში ყველაფერს ნახავთ. „ბულგარის“ საათის ფუფუნებას არაფერი შეედრება. ეს რომაული ბრენდი თავისი უზადო ოსტატობით არის ცნობილი და გამონაკლისი არც ქალებისთვის შექმნილი საათების ბოლო კოლექციაა. მისი ჩვენება რომში, Via Condotti-ზე, ლეგენდარულ ბუტიკში გაიმართა. მასში წარმოდგენილია საათები ელეგანტური ოქროს ჯაჭვებით, კლასიკური ტყავის თასმებითა და ბრილიანტის დახვეწილი დეტალებით, ოსტატურად შემუშავებული უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად. ბრენდმა ახალი ხედვა დანერგა და, ამავე დროს, მისთვის დამახასიათებელი მთავარი შტრიხების ერთგული დარჩა. „ბულგარი“ საკულტოდ ქცეული დიზაინის უნიკალური კოდით კიდევ ერთხელ აცოცხლებს იმ ნამუშევრებს, რომლებიც დროის ზემოქმედებას არ ექვემდებარება.

დოლჩე ვიტა (იტ. ტკბილი ცხოვრება) ცხოვრების მხიარული იტალიური წესის განსახიერებაა, ხოლო „ბულგარი“ ამ მომენტების მარადისობაში აღბეჭდვის დიდოსტატია თავისი Divas' Dream-ის კოლექციით, რომელიც ხალისიანი სილაღისა და ფუფუნების განსახიერებას წარმოადგენს. ფურცლები, რომლებიც გინკგოს ხის ფოთოლს მოგაგონებთ, ერთმანეთის საპირისპირო ასპექტების – ქვების სიმყარისა და გაშლილი ფურცლების სიფაქიზის ერთიანობის სიმბოლოა. ძვირფასი ქვების: ტოპაზების, ტანზანიტების, ამეთვისტოების, ტურმალინების, ლალებისა და ბრილიანტების სიმრავლე საათს ბრწყინვალე ფერებით ამშვენებს და მის განსაკუთრებულ ღირებულებას უსვამს ხაზს. ეს განსაცვიფრებელი დეტალები იდეალურად შერჩეულ თასმაზეა მოთავსებული, ერთმანეთს ერწყმის და ნატიფ და ელეგანტურ დიზაინს ქმნის, რომელიც „ბულგარის“ ბრენდისთვის არის დამახასიათებელი.

Divas'Dreams–ის კოლექციის სილამაზეს პოლირებული ვარდისფერი ოქროს ფურცლები და ბრილიანტების ბრწყინვა ქმნის. პირველი მოდელი ლურჯ ფერებშია შესრულებული, ხოლო მეორე – მოვარდისფრო–იისფერ ტონებში. მესამე მოდელზე რვა მუქი წითელი ლალია წარმოდგენილი – ის ფერი, რომელიც აღმოსავლურ კულტურაში წარმატებასა და იღბალთან ასოცირდება ჩინური ახალი წლის აღნიშვნის დროს.

„ბულგარიმ“ (Allegra) არის ძვირფასი, თავისუფალი სამკაული, რომელსაც „ბულგარი“ ფერებისა და ფორმების მკვეთრი, მოულოდნელი შერწყმის გამოყენებით აცოცხლებს. ხალისიანი ფერებით ელვარებენ ტურმალინები, ციტრინები, როდოლიტები და პერიდოტები ვარდისფერი ან ყვითელი საფირონების თანხლებით. ეს თვალწარმტაცი კოლექცია პირველად 2022 წლის ზაფხულში გამოვიდა და დღესაც აგრძელებს ადამიანთა მოხიბვლას თავისი სიცოცხლით სავსე სულით.

„ბულგარი“ თავის საიუველირო და საათების დამზადების ოსტატობას Divas's Dream Mosaica–ს კოლექციის ორი დახვეწილი მოდელით აჩვენებს. მთლიანი ზომის ციფერბლატზე წარმოდგენილია მარაოს ფორმის ნახჭი, რომელიც კარაკალის თერმების შემამკობელ მოზაიკას მოგვაგონებს და პოლირებული ოქროს ზოლით არის მოარშიებული. საფირონის დახვეწილი დეტალი ღია ვარდისფრიდან ხასხასა მოვარდისფრო–იისფერში გადადის ვარდისფერი ოქროსგან დამზადებულ პირველ ვერსიაში, რომელსაც ალიგატორის მეწამული ტყავის სამაჯური აქვს; ლაჟვარდისფრიდან ღრმა ლურჯში გადადის თეთრი ოქროსგან შექმნილ მეორე ვერსიაში, რომელსაც თვალისმომჭრელი ბრილიანტებით მოჭედილი ჯაჭვებისგან შეკრული სამაჯური აქვს. ორივე საათი აღჭურვილია ნატიფად დეკორირებული თვითმომართვადი მექანიკური მექანიზმით, რომელიც „ბულგარის“ საათების მწარმოებლის მიერაა დამზადებული შვეიცარიაში. ეს ნატიფი საიუველირო საათები „ბულგარის“, როგორც ჭეშმარიტად „დროის რომაელი იუველირის“, წარმომავლობას მოგვაგონებს.

„ბულგარის“ „სერპენტის“ (Serpenti) საათები ქალის საათების ერთ–ერთი ყველაზე საკულტო და მდიდრული კოლექციაა, რაც კი ოდესმე შექმნილა. თითოეული ნამუშევრის უნიკალური დიზაინი და დამზადების ოსტატობა მას მოდის მოყვარული ნებისმიერი ქალისთვის აუცილებელ ატრიბუტად აქცევს. ძალის გამომხატველი ეს სიმბოლური არსება Serpenti Tubogas Infinity–სთან ერთად ხელახლა იბადება ბრწყინვალე სახით. სამაჯურის ძვირფასი ქვების რთული დიზაინის მქონე სამაგრი და მოდულური კონსტრუქცია, ამ სახის პირველი ნიმუში, ინდივიდუალური ფორმებისა და ზომების მიხედვით არის შექმნილი, გაპრიალებულია, ძვირფასი ქვებითაა გაწყობილი და ბოლოს ტიტანის ბაზაზეა ჩამოსხმული. ეს რთული პროცესი „ბულგარის“ ხელოსნების ოსტატობასა და გამოცდილებას ადასტურებს. ახალი საათის ორი ვერსიაა ხელმისაწვდომი: ერთი და ორმაგი სამაჯურებით. ორივე მოდელი შექმნილია იმისთვის, რომ მეორე კანის ფუნქცია შეასრულოს.

საკულტო Tubogas-ით შთაგონებული Serpenti Seduttori 2019 წელს დაიბადა. ეს მისტიკური ცხოველი აბსოლუტური ცდუნებისა და ქალურობის შეგრძნებას აღძრავს თავისი მოხრილი თამამი კორპუსითა და ექვსკუთხა სამაჯურით, რომელიც მდორედ არის ინტეგრირებული, როგორც მეორე კანი, რაც 1960-იანი წლების „საიდუმლო“ Serpenti-ს პირველ საათს მიაგებს პატივს. ამ წლის კოლექციის უახლესი დამატება, რა თქმა უნდა, მრავალი წლის განმავლობაში იქნება ცნობილი და გარეგნობაში გლამურის შტრიხის შეტანის იდეალურ გზას გვთავაზობს. ორივე მოდელს აქვს მუქი შავი გალაქული ციფერბლატი: პირველი ფოლადისგანაა დამზადებული, მეორე კი – ვარდისფერი ოქროსგან. თითოეული მათგანის ზედა ნაწილში განთავსებულია ვარდისფერი რუბელიტის გვირგვინი, რომელიც რომაელი იუველირის სიმბოლოს წარმოადგენს.



ფერადი, გეომეტრიული, ამაყი იტალიური სულით სავსე და ყოველთვის ძვირფასი – „ბულგარის“ შემოქმედებითი ენა დახვეწას აგრძელებს და მისი ძველი ნამუშევრები ამის შესანიშნავ დასტურს წარმოადგენს. იმის მიუხედავად, სრულყოფილ საჩუქარს ეძებთ თუ რაიმე ღირსშესანიშნავი მოვლენის გალამაზება გსურთ, დროის მიღმა მდგარი ეს მარადიული აქსესუარები აუცილებლად მოახდენს დაუვიწყარ შთაბეჭდილებას. დეტალების მიმართ ზედმიწევნითი ყურადღებით და საუკეთესო მასალების გამოყენებით შექმნილი „ბულგარის“ აქსესუარი იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე, უბრალოდ, პრაქტიკული დანიშნულების საათი. ისინი იმ ინვესტიციას წარმოადგენენ, რომელსაც მომავალი თაობები დააფასებენ. დაე, ამ თვალწარმტაცი საათებით თქვენმა სტილმა საკუთარ თავზე თავად ისაუბროს და ყოველი დღე განუმეორებელი გახადოს.



ილუსტრაციები ასუმან ოზთურქი

ცნობილი ადამიანები, რომლებიც საზღვრებს არღვევენ და ნამდვილ ცეცხლს ანთებენ... თვენთვის თავი მოვუყარეთ F'ROW-ს საუკეთესო ნიმუშებს 2023 წლის გაზაფხული-ზაფხულის მაღალი მოდის ჩვენებიდან: დოჯა ქეთის „ჰოჰოხეთურმა“ ლუქმა და ლეონი ჰენის BLING BLING ბიუსტჰალტერმა მოდა ახალ სიმაღლეზე აიყვანა.



მოდის სტილისტი

მაშო ნასყიდაშვილი

მაშო ნასყიდაშვილი მოდის სტილისტია საქართველოდან, რომელსაც პროფესიული განათლება FASHION STYLING-ის სფეროში საზღვარგარეთ აქვს მიღებული. მაშოს მიაჩნია, რომ მოდის სფეროში არის რაღაცები, რასაც ვერ ისწავლი. იგი მნიშვნელოვან აქცენტებს აკეთებს ავთენტიკურ ხასიათსა და ხედვაზე, რომელიც უფრო მეტად ნიჭია, ვიდრე შეძენილი ცოდნა. მილანში HFFA FASHION STYLING-ის კურსების წარმატებით დასრულების შემდეგ მაშომ ისეთ ჟურნალებთან იმუშავა, როგორიცაა: VOGUE, PUMP MAGAZINE, ITALIAN REVE და ა.შ. მოდის სტილისტისთვის იტალიაში მიღებული გამოცდილება ინსპირაციის მთავარი წყაროა, საიდანაც იწყება მოდის ინდუსტრიის მიმართ მისი ინტერესი და ავთენტიკური ხელწერით გამორჩეული მისი არაერთი წარმატებული პროექტიც.
მაშო „ნარგისის“ მკითხველს სეზონის მიმდინარე ტრენდებსა და მოდის კვირეულის გამორჩეულ ჩვენებებზე ესაუბრება, ასევე, გვიზიარებს რეკომენდაციებს ჩაცმის სტილის შესახებ.

აქ მოდა და ცხოვრების სტილი
განსაკუთრებით მრავალფეროვანი, სახასიათო
და ეკლექტიკურია

> იგი მნიშვნელოვან აქცენტებს აკეთებს ავთენტიკურ ხასიათსა და ხედვაზე, რომელიც უფრო მეტად ნიჭია, ვიდრე შეძენილი ცოდნა

მაშო, როგორ შეაფასებდით მოდის კვირეულის ბოლო სეზონებს?
2023 წლის მოდის კვირეული მრავალფეროვანი და გამორჩეული იყო. ნათლად დავინახეთ ცვლილებები მოდის ინდუსტრიაში. შესამჩნევი იყო ელეგანტური და კომფორტული სტილი, რომლის დანაკლისსაც თითქოს განვიცდიდით ბოლო წლების განმავლობაში.

ამ სეზონიდან გამოვყოფდი LOEWE-ს ჩვენებას, რომელმაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ვფიქრობ, სწორად იყო შერჩეული ადგილი, სადაც დიზაინერმა ჩანაფიქრი ბრწყინვალედ განახორციელა. ჩემთვის მოდის დედაქალაქი მილანია. აქ მოდა და ცხოვრების სტილი განსაკუთრებით მრავალფეროვანი, სახასიათო და ეკლექტიკურია.

რომელია თქვენი საყვარელი მოდის ბრენდი?
ჩემი ფავორიტი ბრენდია THE ROW, რადგანაც ყველაზე ახლოს არის ჩემს სტილთან. მომწონს „ოვერსაიზ“ მიმართულება მოდაში, მინიმალისტური დეტალები, პასტელური ფერები და დიდი ზომის აქსესუარები.

ჭილის აქსესუარები ზაფხულის კლასიკური ტრენდია განიერ, დიდი ზომის თეთრ შარვალთან და კიმონოსთან კომბინაციაში

მოდა და კინო...
ფილმების ყურება დიდ სიამოვნებას მანიჭებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოდას ეხება. ვფიქრობ, რომ ვიზუალური თხრობის მანერით მოდის სხვადასხვა ეპოქაში მოგზაურობა ან დოკუმენტური კადრები ნებისმიერი მოდის მოყვარულისთვის შთაგონების პირველი წყაროა. საყვარელი ფილმებიდან გამოვყოფდი Dior and I–ს და The September Issue–ს, რომელიც Vogue–ის საიუბილეო ნომერზე მოგვითხრობს და ნათლად წარმოაჩენს იმ ძალისხმევას და ენთუზიაზმს, რომელიც თითოეული ნომრის გამოშვებას სჭირდება.

როგორი სტილია ამ სეზონზე ტრენდული?
ვეთანხმები მოსაზრებას, რომ დღეს ყველაფერი მოდაშია. გააჩნია, რა სტილი იქნება ჩვენთვის ორგანული. ამ სეზონზე 2000–იანი წლების დეტალები ერთ–ერთი უახლესი ტრენდია: დაბალწელიანი შარვლები, კლასიკური ლაბადები, მასიური მზის სათვალე და, ასევე, ჯინსის სრული ლუქი „ლოფერებთან“ ერთად.

რაც შეეხება პლაჟის მოდას, ზაფხულთან და ლაჟვარდოვან სანაპიროსთან ჩემთვის ყველაზე მეტად თეთრი ფერი ასოცირდება. ჭილის აქსესუარები ზაფხულის კლასიკური ტრენდია განიერ, დიდი ზომის თეთრ შარვალთან და კიმონოსთან კომბინაციაში.

ამ სეზონზე 2000-იანი წლების დეტალები ერთ-ერთი უახლესი ტრენდია

3 Styling რჩევა „ნარგისის“ მკითხველს:
მიმართეთ ექსპერიმენტებს ჩაცმულობაში;
იპოვეთ საკუთარი სტილი და ინდივიდუალიზმი გამოხატეთ;
გარდერობის დიდი ნაწილი შეავსეთ სამოსით, რომელიც დროს უძლებს – აქტუალური ნივთების დამატება ყოველთვის შესაძლებელია.

ელეგანტური სტილის თანამედროვე ინტერპრეტაციები



ალექს რივიერი

მოდა ბრუნავს... ძველი ეპოქიდან ჩვენთვის საყვარელი ტრენდები ბრუნდება და მოდის კვირეულების კვალდაკვალ სამოსის მრავალფეროვან ვარიაციებს ვხედავთ.

ერთი რამ ცხადია: კლასიკად ქცეული ტრენდები და ელეგანტური სტილი დროს ყოველთვის უძლებს და აქტუალობას ნებისმიერ სეზონზე ინარჩუნებს.

ალექს რივიერი მინიმალისტური სტილის ნამდვილი სიმბოლოა, რომელიც მუდმივად იქცევს ყურადღებას ჩაცმის განსაკუთრებული მანერით, დახვეწილი იერით და ეთნიკური შტრიხებით.

ალექსი ბარსელონაში დაიბადა. ამჟამად იგი მსოფლიოში ერთ–ერთი ყველაზე გავლენიანი ახალგაზრდა მოდის კონსულტანტი და ციფრული ინფლუენსერია.

მოდა არ არის მხოლოდ ინდუსტრია, ეს არის ცხოვრების სტილი, რომელიც ინდივიდუალურ ხასიათს, სამყაროს მიმართ დამოკიდებულებას გამოხატავს

როგორც თავად აღნიშნავს, მისი მთავარი ვნება სრულყოფილებისკენ სწრაფვა და დეტალებზე ორიენტირებულობაა, რაც მის ჩაცმულობაზეც აისახება. „სამოსი, რომელიც დროს უძლებს“ – მისი მთავარი არჩევანია. ალექს რივიერისთვის მოდა არ არის მხოლოდ ინდუსტრია, ეს არის ცხოვრების სტილი, რომელიც ინდივიდუალურ ხასიათს, სამყაროს მიმართ დამოკიდებულებას გამოხატავს.

ალექსი ხშირად ნატურალურ ფერებს ირჩევს. ვერ ვიტყვით, რომ მისი სტილი ბოლო დროის ყველაზე მოთხოვნად მიმართულებას, სკანდინავიურს უკავშირდება, თუმცა მახვილი თვალით და გამორჩეული ოსტატობით ყოველთვის ახერხებს, მინიმალისტურ ჩაცმულობას ელეგანტური ელფერი შესძინოს ისეთი დეტალებით, როგორიცაა: მასიური სამკაული, ცხოველური პრინტი ან ჩალის აქსესუარები.

მარტივ სამოსთან შეხამებული ძვირფასი საათი და ელეგანტური შავი კაბა მისთვის დამახასიათებელი ხელწერაა. ვინტაჟურ ესთეტიკას იგი დეტალებში ასახავს. სწორედ ამიტომ, ალექს რივიერის სტილი ყოველთვის შესამჩნევია მსოფლიო მოდის კვირეულებზე, რადგან გამორჩეულად საინტერესოა, გამოიყურებოდე ელეგანტურად ისე, რომ სტილში თანამედროვე ინტერპრეტაციები იკითხებოდეს.



> კლასიკად ქცეული ტრენდები და ელეგანტური სტილი დროს ყოველთვის უძლებს

A journey with Tako

LATE MORNING COFFEE

MANGO

PHOTO: SHOTA GOTOSHIA STYLE: DATA ALEKSEEV

Starring TAKO CHKHEIDZE
Apparel MANGO
Mua TEKO SHENKEN
Hair GEORGE ELLISDZE
Styling Assistant NINA SHEKILADZE
Location CHICOS TBILISI

https://www.facebook.com/GeomodelsAgency

GEOMODELS
studio

BEAUTY



03.

SAFFU-NAVVY

SUMMER GLOW

არაფერი უსდება გაფხულს ისე, როგორც ბუნებრიობა და ბზინვარება. ნატურალური ფერის ჩრდილები თვალებზე და ჭილაითერის ინტერპრეტაციები ამ სეზონზე კვლავ აქტუალურია. დაიმახსოვრეთ სილამაზის რუტინის მთავარი წესი: გამოიყენეთ მზისგან დამცავი საცხი მსუბუქი შეფერილობით, BEAUTY ლუქი კი ჭაეროვანი ტექსტურის მბზინავი ტუჩსაცხით დაასრულეთ.

1

1. DARPHIN, CAUDALIE, KIKO MILANO
2. BYREDO, CELINE, CHRISTIAN DIOR, JO MALONE, MAISON FRANCIS KURDJIAN
3. FENTY BEAUTY, ICONIC LONDON, LAURA MERCIER, YSL

2

SEASONAL SCENTS

სუნამოების კოლექცია სამოსის მსგავსად სეზონურ სიახლეებს საჭიროებს. მთავარი წესი: სუნამო გაზაფხული-გაფხულის სეზონზე ხილის ნოტებით, ყვავილების და ციტრუსის სურნელით უნდა იყოს გაჯერებული. ყველაზე ტრენდული პარფიუმის ინგრედიენტთა ჩამონათვალი კი ასეთია: ნუში, ფიორთოხალი, ზღვის მარილი, სანდლის ხე, ვარდი.

RED LIPSTICK

წითელ ტუჩსაცხს შეუძლია სრული რაცმულობა რადიკალურად შეცვალოს. ეს ფერი ელეგანტურობის, ძალაუფლებისა და შარმის სიმბოლოა. აირჩიეთ კაბა, რომელიც მთავარ აქცენტს სახეზე გადაიტანს, წითელი პომადა კი ფერუმარილთან და სახის ილუმინატორთან კომბინაციაში დაუვიწყარ ეფექტს მოახდენს.

3



ELEGANT & BLOOMING

გაზაფხული ყვავილობასთან, სინაზესა და სიმსუბუქესთან ასოცირდება. თუ გსურთ, ჭაეროვან სეზონზე განსაკუთრებულად გამოიყურებოდეთ, გამოიყენეთ ფერადი ჩრდილების კომბინაციები ნეიტრალური ფერის ტუჩსაცხთან ერთად. ბუნებრივი ეფექტისთვის გირჩევთ, ტონალურის ნაცვლად არჩევანი მსუყე ტექსტურის დამატენიანებელ კრემზე შეარჩიოთ, შემდეგ კი გადაინაწილოთ ე.წ. ბრონზერი და თვალის ფერადი ჩრდილები თეთრ ფანქართან ერთად.

1

NO-MAKEUP MAKE UP NAILS

ფრანგული მანიკიური მუდმივ ფასეულობებს განეკუთვნება. ამ წლის მთავარი ტრენდი სწორედ ბუნებრიობაა. მსუბუქი და ელეგანტური იერისთვის სასურველი ტონი შეარჩიეთ.

2

1. TOM FORD, ANASTASIA BEVERLY HILLS, EMBRYOLISSE
2. DIOR, L'OXYGÉNÉ
3. LA MER, ACQUA DI PARMA

3

BEACH WALK VIBES

გაფხული სწორედ ის დროა, როდესაც სტილში პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს ყველაზე დიდი ყურადღება ენიჭება. სანაპიროზე წელს განსაკუთრებით აქტუალური ვინტაჟური და ფუნქციური ოქროსფერი სამკაულები იქნება. არ დაგავიწყდეთ სახის დატენიანება და, რა თქმა უნდა, თმის სპრეი სასიამოვნო და დასამახსოვრებელი სურნელისთვის.

ლიკა ქორქია

სილამაზეზე, თავის მოვლის რუტინასა და ბალანსზე

ლიკა ქორქია ერთ-ერთი გამორჩეული სახეა ქართულ მედიასივრცეში. როგორც თავად აღნიშნავს, მის ცხოვრებაში ფიზიკური და სულიერი ჰარმონიის ბალანსი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სწორედ ის იქნება დღეს გიდი სილამაზის სამყაროში და „ნარგისს“ თავის მოვლის საიდუმლოებებსა და გამოცდილ მეთოდებს გაუზიარებს.

ინტერვიუ დათა ალექსეევი **ფოტო** სალი დუნდუა

როგორია თქვენი დღის დასაწყისი და სილამაზის რუტინა?
ადრე ვიძინებ, შესაბამისად, ჩემი დილაც ადრე იწყება. ახალი დღის შეგრძნება უდიდესი მოტივაციაა იმისა, რომ ბედნიერი ვიყო. დილის რუტინა მარტივია: იწყება შხაპით, შემდეგ ყავა, ჩაი ან წყალი – გააჩნია, რას მთხოვს ორგანიზმი. ორგანიზმს ვუსმენ, იმდენი რამ ვასწავლე, რომ უკვე სწორ სურვილებს და სიგნალებს მიგზავნის. ამ ნახევარ საათში ვასწრებ მსუბუქ საუზმეს, კანის მოვლას და ფიქრს, რომ დღე ზედმიწევნით სწორად დავგეგმო. სახის მოვლის რუტინაში, ძირითადად, რომელიმე ბრენდის ერთი ხაზის, ერთ ბაზაზე დამზადებულ პროდუქტებს ვიყენებ. მზისგან დამცავი საცხის გარეშე სახლიდან არ გავდივარ. სახის დამატენიანებელ პროდუქტებში ამ ეტაპზე არჩევანი La Mer-ზე შევაჩერე და ძალიან კმაყოფილი ვარ.

რამდენად მნიშვნელოვანია კანის მოვლა თქვენთვის?
პირველად, როდესაც ვიგრძენი, რომ სხვადასხვა პროდუქტის საჭიროება დადგა დღის წესრიგში, დერმატოლოგთან მივედი. მან ზედმიწევნით კარგად ამიხსნა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კანის მოვლის სწორი რუტინა, რაც საერთოდ არ ნიშნავს თავის მოვლის ბევრი საშუალების გამოყენებას. გარეგნული მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია შინაგანთან, შესაბამისად, ეს არის ის ჯაჭვი, რომელიც არ უნდა გაწყვიტოთ – სწორი კვება, სტაბილური ძილი და მშვიდი ნერვული სისტემა ნაკლებ სტრესსა და დადებით ემოციებთან ერთად ყველაზე მეტად ანათებს თქვენში.

რაიმე პროცედურებს თუ მიმართავთ?
საკუთარ სხეულზე ექსპერიმენტების მომხრე არ ვარ, ამ საკითხში მთავარია სიფრთხილე, ცოდნა და გამოცდილება. ერთადერთი, რასაც მუდმივად მივმართავ, კუნთის ტონუსის

> ძილი, ვარჯიში, სწორი კვება, წყალი, დაბალანსებული ნერვული სისტემა, პოზიტიური განწყობა - ეს ის საკვანძო საკითხებია, რომლებიც თქვენს ორგანიზმს ასაზრდოებს

აღდგენაა, იგივე ჰიდრადერმია, როდესაც ჩვენს სახეზე მოდუნებული კუნთები მიკროდენების საშუალებით პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდება. ეს უნიკალური მეთოდი ჩემთვის ერთადერთი და უალტერნატივოა სახის მოვლის რუტინის ნაწილში.

ფიზიკური და სულიერი ჰარმონიის ბალანსზე რას იტყვით?
დროის სწორი მენეჯმენტი ჩემთვის მთავარ მიზნად იქცა – აქ თითქოს საკუთარ თავს ვაჯობე. მაქვს ჩემი საყვარელი საქმე, რომლიდანაც ნებისმიერ გამოწვევას პოზიტიურ ენერგიად გარდავქმნი. ვარჯიში მეხმარება, ვიყო კიდევ უფრო ბედნიერი. სწორი კვება მაცოცხლებს. ოჯახი და მეგობრები ის დიდი ძალაა, რომლის გარეშეც ცხოვრება წარმოუდგენელია. ჰარმონია საკუთარ თავთან და ბალანსი გარშემო მყოფებთან ის მდგომარეობაა, როდესაც ვანათებ.

როგორ მაკიაჟს ანიჭებთ უპირატესობას?
მაკიაჟის კეთება ტელევიზიაში ვისწავლე. მახსოვს, რაც უფრო ბევრი იყო ჩრდილი, თვალი მით უფრო მომწონდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა – პირიქით, კონტურები მაქსიმალურად გავაფერმკრთალე. თითოეულ პროდუქტს ძალიან დიდი დაკვირვებით ვირჩევ. როგორც თავის მოვლის საშუალებები, ისე დეკორატიული კოსმეტიკაც – ყველაფერი ერთი ბრენდის მაქვს. ამ შემთხვევაში ბაზა, ტექსტურა და არომატი აბსოლუტურ თანხვედრაშია ერთმანეთთან.

ესენია: Tom Ford-ის ჯადოსნური სხივის შემცველი ჰაილაითერი, თვალის ჩრდილების უნაზესი ბაზა, რომლის ტექსტურაც ჩემთვის უნიკალურია; სახის მსუბუქი დამფარავი საშუალება, ტუში ბუნებრივად ხშირი წამწამებისთვის და ტუჩსაცხი, რომელზეც ყველაზე ხშირად მეკითხებიან. ეს დეკორატიული კოსმეტიკა ჩემი ხელჩანთის განუყოფელი ნაწილია.

როგორი იქნება თქვენი რჩევები სილამაზის შესახებ?
მართალია ჩვენი ცხოვრება სავსეა გამოწვევებით, მაგრამ უნდა გვახსოვდეს – ბუნებრივ სილამაზეს ვერაფრით შევცვლით და იმას, რასაც დავკარგავთ, ვერასდროს დავიბრუნებთ.
ძილი, ვარჯიში, სწორი კვება, წყალი, დაბალანსებული ნერვული სისტემა, პოზიტიური განწყობა – ეს ის საკვანძო საკითხებია, რომლებიც თქვენს ორგანიზმს ასაზრდოებს. არასწორი კვება, ალკოჰოლი, თამბაქო და სტრესი კი ის მავნე ფაქტორებია, რომლებიც თქვენს ჯანმრთელობასა და გარეგნულ იერზე ნეგატიურად აისახება.
მთავარია ხალისი და ის შინაგანი ნაპერწკალი, რომელსაც ყოველთვის უნდა გრძნობდეთ გულში და ხედავდეთ სარკეში.

1. TOM FORD - თვალის ჩრდილების პალიტრა

1. LA MER - თვალის ჩრდილების პალიტრა



მართალია ჩვენი ცხოვრება სავსეა გამოწვევებით, მაგრამ უნდა გვახსოვდეს - ბუნებრივ სილამაზეს ვერაფრით შევცვლით და იმას, რასაც დავკარგავთ, ვერასდროს დავიბრუნებთ

PURPLE RAYS

PHOTO: SALI DUNDUA STYLE: DATA ALEKSEEV

Model SESILI VEZDENI (GEOMODELS AGENCY)
Mua TEKO SHENKEN
Hair BESARIONNI
Assistant NINIA PAPIDZE

არსებობს სტანდარტი, რომელიც ყველა სეზონს ესადაგება

სახის კანის სწორი მოვლა

გაზაფხული-ზაფხულის სეზონზე სალომე კასრაძის რჩევები

წელიწადის ამ დროს, გაზაფხულზე, ხშირია ორგანიზმის გამოფიტვა და დასუსტება. ეს შეიძლება აისახოს კანზეც. იმისათვის, რომ არასასიამოვნო სიურპრიზები თავიდან ავიცილოთ ან, თუ ეს მაინც მოხდება, დავიცვათ და გავაჯანსაღოთ სხეულის უდიდესი ორგანო (ანუ კანი), სულ რამდენიმე დეტალი უნდა გავითვალისწინოთ. როგორი უნდა იყოს სახის კანის მოვლის რუტინა გაზაფხული-ზაფხულის სეზონზე? ამ საკითხზე ბიუთი ბლოგერი სალომე კასრაძე გვესაუბრება.

ინტერვიუ სოფიო დვალიშვილი **ფოტო** სალი დუნდუა

თუ გვინდა, რომ ჩვენი კანი ჩვენს ასაკს შეესაბამებოდეს, ამ სამი საფეხურის დაცვა საკმარისია

ალომე, რას ნიშნავს გაზაფხულზე სახის კანის სწორი მოვლა?
არსებობს სტანდარტი, რომელიც ყველა სეზონს ესადაგება: ეს არის სახის დაბანა, დატენიანება და მზისგან დაცვა. თუ გვინდა, რომ ჩვენი კანი ჩვენს ასაკს შეესაბამებოდეს, ამ სამი საფეხურის დაცვა აუცილებელია. ასე შევამცირებთ კანის ნაადრევი დაბერების რისკს, გამოშრობას, ნაოჭებს და ა. შ. რაც შეეხება სეზონურ მოვლას, ამ საბაზო რუტინის გარდა მას კანის ტიპის მიხედვით უნდა მივუდგეთ. უფრო მეტიც, ქალების შემთხვევაში ჩვენი კანი არათუ სეზონების, არამედ მენსტრუალური ციკლის მიხედვითაც შეიძლება შეიცვალოს, ანუ თვეში რამდენჯერმე. მაგალითად, ციკლის წინ ცხიმიანობა გაიზარდოს, გამონაყარი გაჩნდეს, ციკლის დროს უეცრად გამოიკვეთოს ნაოჭები და ა. შ. ხშირად სეზონური გამოვლინებები – მაგალითად, გაზაფხულის დადგომისას თმის ცვენა, კანის სიმშრალე – მხოლოდ დროებითია და სანერვიულო არაფერია. მე ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე საგრძნობლად მცვივა თმა, მაგრამ ვისწავლე, რომ ყურადღება არ მივაქციო, ხილის და ბოსტნეულის სახით ბევრი ვიტამინი მივიღო... დროის გასვლასთან ერთად შემთხვევით აღმოვაჩენ ხოლმე, რომ თმის ცვენა შეჩერდა და ვხვდები, რომ ყველაფერი კალაპოტს დაუბრუნდა. თუ მსგავსი პრობლემები 4–5 თვეზე მეტ ხანს გრძელდება, საჭიროა

მთავარი საზრუნავი, როცა კანის მოვლაზე ვსაუბრობთ, მისი დატენიანებაა

სპეციალისტთან ვიზიტი.
რაც შეეხება კანის სიმშრალეს, მხოლოდ ერთ პროდუქტს დავასახელებ – ეს არის თეთრი პეტროლიუმი, ანუ ვაზელინი, ოღონდ ყოველგვარი დანამატების გარეშე. საქართველოში, სამწუხაროდ, ასეთი სახით არ იყიდება და „ამაზონიდან“ მიწევს გამოწერა. ეს უნივერსალური პროდუქტი ნებისმიერი ტიპის კანს ნებისმიერ სეზონზე უხდება. მთავარი საზრუნავი, როცა კანის მოვლაზე ვსაუბრობთ, მისი დატენიანებაა, ამისთვის კი ვაზელინი საუკეთესოა.

როგორ უნდა ვკვებოთ კანი ამ პერიოდში?
ყველა ადამიანის კანი ინდივიდუალურია. რაც უფრო ადრეული ასაკიდან ჩამოვაყალიბებთ საკუთარ ზემოთ ნახსენებ რუტინას, მით უფრო მალე შევისწავლით ჩვენს კანს და მივხვდებით, როდის რა გვჭირდება.

რა პროცედურები უნდა ჩავიტაროთ ამ პერიოდში, რომ კანის სიმშრალე ავიცილოთ თავიდან და რა სიხშირით?
კანის მოვლა ყოველ დილა–საღამოს აუცილებელია. დილით, თუ ნორმალური და მშრალი კანი გვაქვს, მხოლოდ გრილი წყლით ჩამობანა და შემდეგ მზისგან დამცავი კრემის წასმა საკმარისია. თუ მაკიაჟს ვიკეთებთ, საღამოს აუცილებელია მისი მოშორება. მე უპირატესობას ვანიჭებ მაკიაჟის მოსაშორებელ ზეთს ან ბალმს, რომელიც მის კვალს საერთოდ აქრობს. შემდეგ დასაბანი გელით ვიბან სახეს და ბოლოს დამატენიანებელს ვისვამ. თუ ცხიმიანი ან ნორმალური კანი გვაქვს, მაგრამ ხანდახან ღია კომედონები (ე. წ. შავი წერტილები) და ცოტა გამონაყარიც გვაწუხებს, დილის რუტინაში სალიცილის მჟავას შემცველი დასაბანი გელი იდეალურია. ასევე, რეტინოიდები. გაზაფხულზე გამომშრალ კანს აუცილებლად სჭირდება კარგი დატენიანება. ამ დროს ჩემი საყვარელი ინგრედიენტია ჰიალურონის მჟავა. დღეს ჰიალურონის მჟავას შემცველობით ბევრი კარგი პროდუქტია ხელმისაწვდომი. განსაკუთრებით შრატები მიყვარს.





უნდა გვახსოვდეს, რომ არც დილის და არც ღამის რუტინა არ უნდა გამოვტოვოთ! შედეგს მუდმივი მოვლის რეჟიმი მოგვცემს

რომელი პროდუქტები უნდა მივიღოთ იმისთვის, რომ კანი არ გამოიფიტოს?
მე არანაირ საკვებ დანამატს არ ვიღებ. ვცდილობ, ყოველდღიურ რაციონში ჩავრთო ხილი, ბოსტნეული და, ზოგადად, დაბალანსებულად ვიკვებო. ასევე, 1–2 ლიტრი წყალი დღეში და კვირაში სამი დღე ვარჯიში ან უბრალოდ სეირნობა. არა – სიგარეტს! არა – ალკოჰოლს! ასევე, არასდროს ვყიდულობ ტკბილ გაზიან სასმელებს. ლიმონათი მიყვარს, მაგრამ ძალიან იშვიათად ვსვამ.

შეშუპებული თვალები და შავი წრეები მათ გარშემო საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა, როგორ ვებრძოლოთ?
გააჩნია, როგორ შავ წრეებზე ვსაუბრობთ. ხშირად ისინი გენეტიკურია და ვერ გავაქრობთ. ისეთმა ინგრედიენტებმა, როგორიცაა კოფეინი ან ალფა არბუტინი, შეიძლება შავი წრეები ოდნავ შეამციროს, თუმცა მათი დაფარვის ერთადერთი საშუალება ჩემთვის კონსილერია.

როგორ უნდა მოვუაროთ ტუჩებს გაზაფხული–ზაფხულის სეზონზე?
ვაზელინით. ტუჩებს ყველაზე დიდხანს ატენიანებს.

ხელების მოვლაზე რას გვეტყვით? როგორ დავიცვათ ისინი ადრე დაბერებისგან?
ალბათ, ყველამ ვიცით ან გვსმენია მაინც, რომ კანს ისე არაფერი აბერებს, როგორც გარუჯვა. სოლარიუმზე აღარაფერს ვამბობ. მზის ქვეშ დიდხანს გაჩერება, რაც არ უნდა SPF 50–ით დავიცვათ კანი, მაინც არასასურველია. ნაადრევი დაბერების ერთ–ერთი მიზეზი სწორედ ესაა. მზისგან დამცავი კრემის გამოყენება სახეზე წელიწადის ნებისმიერ სეზონზე აუცილებელია. ტანი ცივ სეზონზე ტანსაცმლითაა დაცული, მაგრამ ხელები არ იფარება. ზამთარში ხელთათმანები შეგვიძლია ჩავიცვათ, ზაფხულში კი მზისგან დამცავი საცხი გამოვიყენოთ. ამასთან ერთად, კარგი იქნება, თუ ხელის კრემს ყოველი დაბანის შემდეგ წავისვამთ.

რამდენად რეკომენდებულია სახის მასაჟი სახლის პირობებში?
ადრე სახის მასაჟებს ვიკეთებდი, მაგრამ ჩემი დერმატოლოგის რჩევით, აღარ ვიკეთებ. ნებისმიერი მექანიკური ჩარევა სახის კანზე აკნეს გაჩენის საფრთხეს ქმნის.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, რა ძირითად რჩევას მისცემდით ქალებს თავის მოვლასთან დაკავშირებით?
სახის კანის მოვლის დროს less is more – ანუ რაც უფრო ნაკლებად შევაწუხებთ ჩვენს კანს სხვადასხვა პროდუქტით, მით უფრო ავირიდებთ პრობლემებს. დასაბანი საშუალება, დამატენიანებელი და მზისგან დამცავი აუცილებელია. დანარჩენ პროდუქტებსა თუ პროცედურებს საჭიროებიდან გამომდინარე უნდა მივმართოთ.

NARGIS

FASHION, ART AND BEAUTY



www.nargismagazine.ge





Willem Dafoe

ვილუნი დასავლეთის ვარსკვლავი

უმოწყალო ბოროტმოქმედი ნორმან ოსბორნი, კეთილშობილი სერჟანტი გორდონ ელეისი, ტრაგიკული გენიოსი პიერ პაოლო პაზოლინი, საშიში განგსტერი ბობი პერუ... „ოსკარის“ ოთხგზის ნომინანტმა საკუთარი რამდენიმე ათეულწლიანი კარიერის განმავლობაში მრავალი განსხვავებული პერსონაჟი განასახიერა - გენიოსები, ბოროტმოქმედები, ჩვეულებრივი ადამიანები...
აუდიტორიას და კრიტიკოსებს განსაკუთრებულად უყვართ მისი სამსახიობო ოსტატობა; იგი ეკრანზე ცხოვრობდა, კვდებოდა და კვლავ და კვლავ ცოცხლდებოდა... მხოლოდ მაქს შრეკის როლის შესრულებისთვის ფილმში „ვამპირის აჩრდილი“ 18 ნომინაციაზე წარადგინეს, რომელთაგანაც 8 ჯილდო მიიღო. ცოტა ხნის წინ უილიამ დეფომ ახალი როლის მორგება სცადა - ტეხასელი აზარტული მოთამაშის, ჰო კრიბენსის პერსონაჟის განსახიერებით ფილმში „დოლარისთვის მკვდარი“, რომლის სცენარის ავტორი და რეჟისორი უოლტერ ჰილია.

ინტერვიუ ტატიანა როზენშტაინი **ფოტო** პრესმასალა

მყავს ჩემი საყვარელი რეჟისორები, რომლებსაც ყოველთვის მივყვები, იმის მიუხედავად, თუ როგორია ფილმის ბიუჯეტი და მაყურებელთა შეფასებები...

ბოროტმოქმედს თამაშობთ... როგორ შეიძლება, ვინმემ ასეთ პერსონაჟს თანაუგრძნოს?
ჩემი პერსონაჟი, ჯო კრიბენსი არც ისე ბოროტია. იმის მიუხედავად, რომ ის ბევრ ცუდ რამეს ჩადის, მაინც აქვს თავისი მორალი. ჯოს აქვს თავისი ღირებულებები და მკაცრად იცავს მათ. მან იცის, თუ რა სურს და თავის სიტყვას ყოველთვის ასრულებს. საკუთარ თავზე ილუზიები არ აქვს, აღიარებს თავის სუსტ და ძლიერ მხარეებს, თუმცა ჯოს გმირი მე არ შემიქმნია, ეს უოლტერმა გააკეთა. ის საუცხოო სცენარისტია და გასაოცარ პერსონაჟებს ქმნის. ყველაფერი, რასაც მაყურებელი ეკრანზე ხედავს, სცენარის მიხედვით დეტალურად არის გაწერილი, თუმცა პერსონაჟის „ტყავში შესვლის“ პროცესს ყველა მსახიობი გადის.

ეს პროცესი თქვენს შემთხვევაში როგორ წარიმართა?
ეს ალბათ იმით იწყება, რომ გარკვეულ სცენას ვთამაშობ, ჩემს თავს რაღაც კონკრეტულ სიტუაციაში წარმოვიდგენ, თუმცა საკუთარ გამოცდილებას ვეყრდნობი. ჩემი სამუშაო იმაში მდგომარეობს, რომ განსხვავებულ გარემოებებზე რეაქცია მქონდეს. ვფიქრობ, რომ მსახიობისთვის მნიშვნელოვანია ორი უმთავრესი თვისება: მოქნილი გონება და თავდადება. რაც შეეხება ჩემს გმირს – ჯო კრიბენსს: ცხენზე ჯირითი ვიცოდი, თუმცა ჩემი უნარების განმტკიცება დამჭირდა. იარაღიდან სროლაც ვიცოდი, თუმცა მე თვითონ იარაღი არ მაქვს და ზოგიერთი ამერიკელისგან განსხვავებით ვფიქრობ, რომ არც მჭირდება. იარაღი მხოლოდ მონადირეებს სჭირდებათ. რაც შეეხება რეალურ როლს, მოსამზადებლად ბევრი არ მიშრომია.

უოლტერ ჰილი - ამერიკელი კინორეჟისორი. გადაღებული აქვს ისეთი ფილმები, როგორიცაა: „მძღოლი“, „საშხრეთის კომფორტი“, „48 საათი“ და მისი გაგრძელება - „კიდევ ერთი 48 საათი“, „წყეულნი ქუჩები“ და „წითელი წყალება“

კლასიკური ვესტერნის ჟანრის ფილმები 1950-იან წლებში ჰოლივუდში ყველაზე პოპულარული იყო. რატომ შეაჩერეთ თქვენი არჩევანი ამ ჟანრზე?
ამერიკელები ე. წ. ველური დასავლეთის ფილმებზე გაიზარდნენ. მიყვარს ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი პოეზია: ცხენებზე ამხედრებული მაგარი ბიჭები უდაბნოს თვალუწვდენელ სივრცეებში დაქრიან. იმის მიუხედავად, რომ ისინი უხეშები არიან და მკაცრი ცხოვრება აქვთ, მათში არის ერთგვარი კეთილშობილება, ღირსების გრძნობა. ისინი ყოველთვის ასრულებენ საკუთარ სიტყვას. თუ ეს ყველაფერი ადამიანს ნოსტალგიურ გრძნობებს არ აღუძრავს, მაშინ არ ვიცი, ამის გაკეთება სხვას რას შეუძლია. ვესტერნი ამერიკული კულტურული მემკვიდრეობაა, ამერიკული ოცნების სიმბოლო, რომელმაც ადამიანების ცნობიერებაში ჩამოაყალიბა იმის მტკიცე რწმენა, რომ ცხოვრებაში აბსოლუტურად ყველას აქვს შანსი.

ადრეც გითამაშიათ უოლტერ ჰილის ფილმში...
კი, 40 წლის წინ, „ცეცხლოვან ქუჩებში“...
ეს ჰოლივუდში ჩემი პირველი ყველაზე დიდი როლი იყო. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ წლების განმავლობაში დიდად არ შევცვლილვართ, თუ არ ჩავთვლით, რომ ცოტათი დავბერდით. მე ვიტყოდი, რომ მისი ვესტერნის ჟანრი ბევრად განსხვავებულია. უოლტერმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ამ ჟანრის ტრადიციულად დამკვიდრებული საზღვრები, წაშალა განსხვავება კარგ ბიჭსა და ცუდ ბიჭს შორის. ჩვენი პერსონაჟები სუსტები და ჰუმანურები არიან. ეს თანამედროვე ვესტერნია და ჩვენ უკვე აღარ ვართ კოვბოები.



„...მიყვარს ხელოვნება. ჩემთვის ის მარადიულობასთან მიახლოების საშუალებაა. ხატვა იგივეა, რაც მედიტაცია...“

ეს უკანასკნელი ვან გოგს ეკითხებოდა: „რატომ ხატავთ?“ - და ვან გოგი პასუხობდა: „რათა ფიქრი შევწყვიტო“

ჩემი ვიზუალიზაციის უნარს დავეყრდენი, უბრალოდ, წარმოვიდგენდი ხოლმე სცენას და მასზე ჩემი პერსონაჟის რეაქციას. ვფიქრობ, ამ მეთოდის გამოყენებით უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლება, ვიდრე ყოველდღე რეპეტიციებზე სიარულით.

შემოქმედებითი ადამიანი ყოველთვის ოდნავ გადარეულია, არ მეთანხმებით?
მიმაჩნია, რომ შემოქმედებითი ადამიანები ხშირად გიჟებში ერევათ. მაგალითად, როდესაც მსახიობობა გადავწყვიტე , ვისკონსინში მდებარე პატარა ქალაქიდან ნიუ–იორკში გადავედი. შორეულ 1970-იან წლებში ეს ერთი ქაოსური, საშიში, კრიმინალური ქალაქი იყო, სადაც არ არსებობდა ხსნის იმედი. ეკონომიკური კოლაფსი, ძარცვა, თავდასხმა... – ეს ყველაფერი სოფლელი ბიჭისთვის ახალი იყო. თანაც არც ფული მქონდა, არც კავშირები. ერთ ცუდ სამეზობლოში დავსახლდი და მაშინვე დავიწყე იმპროვიზაცია – წარმოვიდგენდი ხოლმე, რომ მკაცრი და უხეში ტიპი ვიყავი, ქუჩაში გამართულ ჩხუბში ვმონაწილეობდი. ჩემს რომელიმე მეგობარს იმ დროს რომ ვენახე, ნამდვილად იფიქრებდა, რომ შევიშალე. შეიძლება ასეც იყო. ამ სამყაროში ყველაფერი შედარებითია, არა?

გადასაღებ მოედანზე მიყვარს ადამიანების დახმარება, იდეის შემადგენელ ნაწილად ყოფნა, რეჟისორის მითითებების შესრულება... ეს მავსებს, როგორც მსახიობს და როგორც ადამიანს

...ძველი ეპოქის წმინდა ტექსტები დიდ სიბრძნეს და ინფორმაციას შეიცავს ცხოვრებისა და წარსულის, ჩვენი მემკვიდრეობისა და წინაპრების, აზროვნების წესის შესახებ...“

რას ფიქრობთ იმ შეხედულებაზე, რომ გენიოსებს ღმერთი ბადებს?
მოდი, ჯერ ჩემს მოსაზრებას გეტყვით რელიგიის შესახებ. მიმაჩნია, რომ წმინდა წერილი დედამიწაზე ერთ–ერთი ყველაზე ბრძნული წიგნია, თუმცა მისი ჩემეული აღქმა უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე რელიგიური. ძველი წმინდა ტექსტები დიდ სიბრძნეს და ინფორმაციას შეიცავს ცხოვრებისა და წარსულის, ჩვენი მემკვიდრეობისა და წინაპრების, აზროვნების წესის შესახებ. იქ ბევრ პრაქტიკულ რჩევას აღმოაჩენთ და ცხოვრების აზრსაც კი იპოვით. მქონდა შესაძლებლობა, ვან გოგი, ძალიან ღვთისმოშიში ადამიანი, მეთამაშა. ის ღარიბ–ღატაკი იყო, მკაფიოდ აცნობიერებდა, რომ ხელოვნებით თავის გატანას ვერ შეძლებდა, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც აგრძელებდა ხატვას რწმენით, რომ ეს მისი მოწოდება იყო და ამით ღმერთის ნებას ასრულებდა. მას სჯეროდა, რომ თესავდა მარცვალს, რათა მომავალ თაობებს მოსავალი მოემკათ; სჯეროდა, რომ მისი ხელოვნება მისი ცხოვრებიდან წასვლის შემდეგ დაფასდებოდა. ასეც მოხდა. მას შეშლილადაც მიიჩნევდნენ, თუმცა ეს შეშლილი ადამიანი მკაფიოდ აცნობიერებდა თავის ადგილს ამ სამყაროში. წერილების საფუძველზე ექიმთან მისი რამდენიმე დიალოგი აღადგინეს. ეს უკანასკნელი ვან გოგს ეკითხებოდა: „რატომ ხატავთ?“ – და ვან გოგი პასუხობდა: „რათა ფიქრი შევწყვიტო“.

მსახიობი რომ არ გამხდარიყავით, მხატვარი იქნებოდით, ასეა?
მიყვარს ხელოვნება, ეს ჩემთვის მარადისობასთან მიახლოების საშუალებაა. მხატვრობა იგივეა, რაც მედიტაცია. იმ დროს, როდესაც ჩემი გონება ითიშება, ინტუიცია, ფანტაზია და წარმოსახვა აქტიურდება. ხატვა მრავალი წლის წინათ დავიწყე, 1980–იან წლებში, უილიამ ფრინკინის ფილმის „ცხოვრება



CREDITS LA BIENNIALE DI VENEZIA / G. ZUCCHIATTI

*მე იტალიელი ვარ იმ გაგებით, **რომ მიყვარს საკვებზე ფიქრი და საუბარი, აპენინის ნახევარკუნძულის ნებისმიერი სხვა მცხოვრების მსგავსად***

ჩვენი პერსონაჟები სუსტები და ჰუმანურები არიან. ეს თანამედროვე ვესტერნია და ჩვენ უკვე აღარ ვართ კოვბოები

და სიკვდილი ლოს ანჯელესში“ გადაღების დროს. ძალიან გატაცებული ვიყავი ხელოვნებით, ხატვით და მოგვიანებით – მონუმენტური ფერწერით. ადამიანს ზეთის საღებავებით ხატვისთვის დრო და სახელოსნო სჭირდება. ბევრს ვმოგზაურობ. სანამ ესკიზებს ვაკეთებდი, პიროვნული კრიზისი დამეწყო. საკუთარ თავს ვეკითხებოდი: რა უნდა ვუყო ამდენ ტილოს? არასოდეს მქონია იმის ამბიცია, რომ ჩემი ნამუშევრები გამომეფინა ან გამეყიდა. შემეძლო ჩემი საუკეთესო ნახატები მეგობრებისთვის მეჩუქებინა. შემდეგ ნაკლებად წარმატებული ნამუშევრების გადაღებვა დავიწყე მესამე და მეოთხე ფენითაც კი. ბოლოს გადავწყვიტე, შემესვენა.

ფილმის „მარადისობის კარიბჭესთან“ გადაღებისას ხატვა ისევ დაიწყეთ...
ეს ჯულიანის დახმარებით მოხდა. ის არა მხოლოდ ნიჭიერი რეჟისორი, არამედ ცნობილი მხატვარიცაა. ეს ის დრო იყო, როცა მივხვდი, რომ ხელოვნებაში ახალბედა ვიყავი. ყველაფერს ერთ კადრში ვხედავდი, ობიექტის საერთო ფორმაზე ვკონცენტრირდებოდი, მაგრამ ჯულიანმა პირდაპირი მნიშვნელობით თვალი ამიხილა. ერთხელ პლანერზე ვმუშაობდით – მე ხეს ვხატავდი, ჯულიანმა დაინახა ჩემი ხატვის

არ ჯობია, ოცნების ნაცვლად რამე სასარგებლოს კეთება დავიწყოთ?!

მეთოდები და იმწამსვე ჩაერია: „ხე დაივიწყე! იფიქრე მის ფერებზე, ამ ლამაზ ყვითელ ტონებზე. შეხედე, რა ბევრია! ზოგი ნაცრისფერია, ზოგი კი ლურჯი და წითელი. ამაზე იმუშავე!“ მან მიჩვენა, თუ როგორ აღმექვა ხე განსხვავებულ რაკურსში, როგორ შემექმნა მისი ნაწილები და დეტალები, როგორ – ფორმა და ზედაპირი, მაშინ როცა ადრე აქცენტს მხოლოდ რეალური საგნის ასლის შექმნაზე ვაკეთებდი.

– ჩანს, რომ ერთნაირად ადვილად შეგიძლიათ მონაწილეობა ფართომასშტაბიანი სტუდიური ნახატების და მცირებიუჯეტიანი დამოუკიდებელი პროექტების შექმნაში. ამას როგორ ახერხებთ?
ფულის გულისთვის არასდროს მიმუშავია. თამაშისას ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მხარეა. სანამ როლის შესრულებაზე შემოთავაზებას დავთანხმდები, აუცილებლად ვკითხულობ, თუ ვინ ხელმძღვანელობს პროექტს. მყავს ჩემი საყვარელი რეჟისორები, რომლებსაც ყოველთვის მივყვები ფილმის ბიუჯეტის და მაყურებლების შეფასებების მიუხედავად. მათ შორის არიან აბელ ფერარა, ჯულიან შნაბელი, პოლ შრედერი. მიყვარს მათთან ერთად დროის გატარება, ისინი შთამაგონებენ. ამას გარდა, ცნობილ რეჟისორებთან თანამშრომლობა ფილმისთვის უდავოდ სასარგებლოა.

დროთა განმავლობაში თქვენი შეხედულებები კინოზე და მსახიობის ხელოვნებაზე შეიცვალა?
დაბერების არასოდეს მეშინოდა. ყოველთვის ვეთაყვანებოდი უფროსი ასაკის მსახიობებს, მაშინაც კი, როდესაც ახალგაზრდა ვიყავი და კარიერას ვიწყებდი. კამერის წინ მათი მოძრაობის მანერა რაღაც განსაკუთრებულ სილამაზესა და სიბრძნეს ასხივებს. ვფიქრობ, რომ ამას მეც საკმაოდ მალე მივაღწევ. უკვე ნამდვილად დადგა ამის დრო, თუ ჩემს ასაკს გავითვალისწინებთ. გადასაღებ მოედანზე მიყვარს ადამიანების დახმარება, იდეის შემადგენელ ნაწილად ყოფნა, რეჟისორის მითითებების შესრულება... ეს მავსებს, როგორც მსახიობს და როგორც ადამიანს.

– ფიზიკურ ფორმას როგორ ინარჩუნებთ?
როდესაც 50 წელი შემისრულდა, ჟურნალისტებმა უცნაური შეკითხვების დასმა დამიწყეს, მაგალითად, ასეთის: „ხომ არ გეშინიათ სამუშაოს დაკარგვისა?“ – მე კი ყოველთვის ვპასუხობდი, რომ არა, არ მეშინოდა, რადგან ასაკის მატებასთან ერთად მსახიობის თამაში სულ უფრო ბრძნული ხდება, ის კამერის წინ დახვეწილად თამაშობს. თითქმის 25 წელია იოგათი ვარ დაკავებული. ეს მარჯვედ და მოხდენილად მოძრაობაში მეხმარება.

– ხშირად გხედავენ იტალიაში, თავისუფლად საუბრობთ იტალიურად... რა გიზიდავთ იქ?
მე იტალიელი ვარ იმ გაგებით, რომ მიყვარს საკვებზე ფიქრი და საუბარი აპენინის ნახევარკუნძულის ნებისმიერი სხვა მცხოვრების მსგავსად. საუზმის დროს სადილზე ვფიქრობ, ხოლო სადილის დროს – ვახშამზე. ჩემი საყვარელი საჭმელია პასტა, ამიტომ პირველი, რასაც ვაკეთებ სამოგზაუროდ წასვლის დროს, არის ის, რომ ისეთ რესტორანს ვეძებ, რომელიც ამ კერძითაა განთქმული. მაგალითად, რომში პასტას საუკეთესოდ ამზადებენ რესტორან „და ნინოში“, ხოლო სიცილიაზე, რაგუსაში რესტორან „ტრე კოლის“ ვსტუმრობ ხოლმე. ამას გარდა, ჩემი მეუღლე იტალიელია, რომელმაც დიდ იტალიურ ოჯახთან დამაკავშირა – სწორედ აქედან გამიჩნდა ამ ენაზე საუბრის სურვილი. როგორც წესი, ბევრი თავისუფალი დრო არასოდეს მაქვს, ამიტომ იტალიურს ფრანკო ბატიატოს სიმღერების მოსმენით დავეუფლე.

– ბედისწერის გჯერათ?
ცრუმორწმუნე არ ვარ, სიზმრების არ მჯერა და არც ოცნებებში დავფრინავ. ვფიქრობ, რომ ყველა ამ ცნობილ ციტატას იმაზე, რომ ადამიანი თავის ოცნებას უნდა მიჰყვეს, შეცდომაში შევყავართ და დროს გვაკარგვინებს. არ ჯობია, ოცნების ნაცვლად რამე სასარგებლოს კეთება დავიწყოთ?! ასე რომ იქცეოდნენ ადამიანები, ნაკლები ფსიქიკური პრობლემები ექნებოდათ.

ვესტერნი არის ამერიკული კულტურული მემკვიდრეობა, ამერიკული ოცნების სიმბოლო, რომელმაც ადამიანთა ცნობიერებაში დაამკვიდრა შეხედულება, რომ ცხოვრებაში აბსოლუტურად ყველას აქვს შანსი

CREDITS LA BIENNIALE DI VENEZIA / G. ZUCCHIATTI

მსახიობ მარიონ კოტიარის საიდუმლოს ფარდა ეხდება

ფრანგმა მსახიობმა და მომღერალმა მარიონ კოტიარმა გრანდიოზულ წარმატებას მიაღწია როგორც ევროპაში, ისე ჰოლივუდში. იგი ფართოდ არის ცნობილი ედიტ პიაფის განსახიერებით ფილმში „ცხოვრება ვარდისფერ ფერებში“. ამ როლმა მსახიობს ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო - „ოსკარი“ მოუტანა.
მას შემდეგ მარიონმა უამრავ ფილმში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, „ბნელ რაინდში“ და „დასაწყისში“.
კოტიარს ხშირად ნახავთ წითელ ხალიჩაზე თავის პარტნიორ გიიომ კანესთან ერთად, რომელიც მსახიობი და რეჟისორია. ჰოლივუდში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატების მიუხედავად მარიონ კოტიარი საფრანგეთში დაბრუნდა, სადაც თავის პარტნიორთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობს, ჰოლივუდისთვის დამახასიათებელი მუდმივი ყურადღების ადგილისგან, მისი თანმხლები სკანდალებისა და ჯორებისგან შორს.

თავისი ეკრანული სახეების უმეტესობის შექმნის პროცესში იგი უარს ამბობს მაკიაჟის გამოყენებაზე და ამის ნაცვლად მოკრძალებულ, საშუალო, მუშათა კლასის ქალებს განასახიერებს. რეალურ ცხოვრებაში მარიონ კოტიარი გაცილებით უფრო უდარდელი ადამიანი ჩანს, ვიდრე მისი პერსონაჟები არიან მსახიობის ყველაზე დასამახსოვრებელ ფილმებში - „ჟანგი და ძვალი“ და „ორი დღე და ერთი ღამე“. დღეს იგი კინოინდუსტრიაში თავისი ადგილის კიდევ უფრო გამყარებას აგრძელებს და ერთმანეთისგან განსხვავებულ როლებს ასრულებს - ოპერის დივადან დაწყებული (ლეო კარაქსის ფილმში „ანეტი“), მსახიობით დამთავრებული (არნო დესპლეშენის ფილმში „და - ძმა“). წელს იგი კლეოპატრას განასახიერებს გიიომ კანეს ფილმში „ასტერიქსი და ობელიქსი: შუა სამეფო“. მისი პერსონაჟები ძლიერი და თავისუფალი სულით გამოირჩევიან და გვაჩვენებენ, რომ მისი სცენური სახეებიდან ყოველთვის შეიძლება რაღაცის სწავლა.

ფრანგი კუტურიე და მზა ტანსაცმლის დიზაინერი

რატომ გიწოდებენ „ფრანგ სირინოზს“?
ეს მეტსახელი ჟან–პოლ გოტიეს კაბის გამო შემარქვეს, რომელიც ოკეანით და წყალქვეშა სამყაროთი იყო შთაგონებული. კაბა ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოების ცერემონიაზე მეცვა იმ წელს, როდესაც „ოსკარი“ მივიღე ედიტ პიაფის განსახიერებისთვის ფილმში „ცხოვრება ვარდისფერ ფერებში“. მას შემდეგ ეს მეტსახელი შემომრჩა, მაგრამ წლების განმავლობაში თითქმის დავიწყებული იყო. ნაკლებად მაინტერესებს, ადამიანები როგორ აღმიქვამენ. უზარმაზარი განსხვავებაა ჩემს სამსახიობო კარიერას, სცენურ პერსონაჟებსა და იმ სახეებს შორის, რომლებსაც ჩემ შესახებ მედია ქმნის. ჩემს პირად ცხოვრებას არცერთ მათგანთან არანაირი კავშირი არ აქვს. კარიერის დასაწყისში საერთოდ არ მინდოდა, რაიმე შეხება მქონოდა მოდასთან, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ მოდაც ხელოვნებაა, რომელსაც ხელოვანი ადამიანი ქმნის უამრავი შემოქმედებითი ძიების შედეგად. ამის მიუხედავად დიზაინერების ის კაბები, რომლებიც წითელ ხალიჩაზე მაცვია ხოლმე, ჩემთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჩემი კინოპერსონაჟების უმეტესობა სრულიად განსხვავებულია – მათი ცხოვრება ტანჯვით და პრობლემებითაა სავსე. ჟურნალის გარეკანზე გამოსახული დივას როლში ჩემი თავი ნაკლებად წარმომიდგენია. მირჩევნია ცოცხალი, ნამდვილი ადამიანი ვიყო, რომელიც იტანჯება. კინო კონტრასტების სამყაროა და ის სწორედ ამის გამო მიყვარს!

როგორია ისეთი რთული პერსონაჟების განსახიერებისთვის დამახასიათებელი ნიუანსები, როგორებიც არიან: მონიკა, ევა, სტეფანია ან სანდრა – თუ გავითვალისწინებთ იმ მძიმე პირობებს, როგორშიც ისინი ცხოვრობდნენ?
ყველაზე მეტ სირთულეს ფსიქოლოგიური ბალანსის პოვნა წარმოადგენს, რომელიც ისეთი პერსონაჟების განსახიერებისთვის არის საჭირო, როგორებიც არიან, მაგალითად: ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული ახალგაზრდა ქალი ფილმში „ჟანგი და ძვალი“, ან ახალგაზრდა დედა ფილმში „ორი დღე და ერთი ღამე“, ან იმიგრანტი, რომელიც სამსახურს კარგავს, რაც მას აიძულებს, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი გახდეს. ფილმში „ისმაელის აჩრდილები“ ახალგაზრდა ქალი განვასახიერე, რომელიც დროის მოცემულ მომენტში ცხოვრობს, არასოდეს წინასწარ

ბევრი რეჟისორი ამბობს, რომ ძალიან მამაკაცური პიროვნება მაქვს, რაც შესაძლებლობას მაძლევს, რთული და კომპლექსური ქალი პერსონაჟები განვასახიერო

არაფერს გეგმავს და ცხოვრებას ისეთს იღებს, როგორიც არის. თუ მას მამაკაცებთან ღამის გათევა სურს, ამას აკეთებს, თუ რკინიგზის სადგურთან ჩაივლის და მოგზაურობაზე დაიწყებს ფიქრს, მაშინვე მატარებელში ჯდება, თავს ინდოეთში ამოყოფს, თხოვდება კიდეც იმის მიუხედავად, რომ პირველ ქმარს ჯერ არ გაშორებია. ჩემ მიერ განსახიერებული ქალები შესაძლოა ექსცენტრიკულები იყვნენ და დღევანდელი დღით ცხოვრობდნენ.

ბევრი რეჟისორი ამბობს, რომ ძალიან მამაკაცური პიროვნება მაქვს, რაც შესაძლებლობას მაძლევს, რთული და კომპლექსური ქალი პერსონაჟები განვასახიერო ან ისეთები, რომლებიც საკუთარი წარსულის მძიმე ტვირთის ქვეშ იტანჯებიან, როდესაც თავიანთ თავში უნდა იპოვონ ძალა და ცხოვრებით ტკბობა ისწავლონ. მახსოვს, როდესაც ოდიარმა წამყვანი როლი შემომთავაზა ფილმში „ჟანგი და ძვალი“, ფიქრობდა, რომ მე ვიყავი ერთ–ერთი იმ რამდენიმე ფრანგი მსახიობი ქალიდან, რომელიც „ეკრანზე მაკიაჟის გარეშე გამოჩენას

დრამატული ფილმი, რომლის რეჟისორია არნო დესპლეშენი

გაბედავდა“. როდესაც სცენარს ვკითხულობ, როგორც წესი, პერსონაჟის გარეგნულ მხარეს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, უფრო მეტად მისი შინაგანი სამყარო მაინტერესებს. რაც უფრო კომპლექსურია ეს სამყარო, მით უფრო საინტერესოა ამა თუ იმ პერსონაჟის განსახიერება.

თქვენი ერთ–ერთი ბოლო როლი იყო ანეტის პერსონაჟი ლეოს კარაქსის ამავე სახელწოდების მიუზიკლში. ამ რეჟისორსა და მის ხასიათზე ბევრი ჭორი დადის. როგორ დათანხმდით მასთან მუშაობაზე?
მე მას სკოლის ბოლო კლასებში სწავლის დროიდან მოყოლებული ვაკვირდებოდი, როდესაც ვნახე მისი ფილმი „შეყვარებულები ახალი ხიდიდან“ ჯულიეტ ბინოშის მონაწილეობით. სწორედ მაშინ დაიწყო მასმედიაში სტატიების გამოქვეყნება მისი საშინელი ხასიათის შესახებ, იმაზე, თუ როგორ გაფლანგა მან თავისი ქონება ფილმი დაბანდებით, რომელიც სრულიად წარუმატებელი აღმოჩნდა. თუმცა ამით მას საკუთარი თავის მაქსიმალურად გამოხატვა სურდა. ასეთი ხალხი მიზიდავს, მსურს, მეტი გავიგო მათზე, მათ უნიკალურ ხედვაზე და მათი პიროვნების

ორიგინალში ფილმის სახელწოდებაა Les Amants du Pont-Neuf

პოპულარობა არასოდეს მაღელვებდა, „ოსკარის“ ჰილდოს მიღების შემდეგაც კი

რებუსები ამოვხსნა. ამიტომ, როდესაც ანეტის როლი შემომთავაზეს, ამან ამაღელვა და დამაინტრიგა. მეორე მხრივ, კარაქსი სულაც არ ჩანდა უცნაური ან შეშლილი ადამიანი. მან ის ბავშვი მომაგონა, რომელსაც ანცობა უყვარს...

მსახიობობა რატომ გადაწყვიტეთ?
ყოველთვის საკმაოდ მორცხვი ბავშვი ვიყავი და მერჩივნა, ჩემს ზღაპრულ სამყაროში მეცხოვრა. ჩემი მიამიტობის გამო ხშირად დამცინოდნენ. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ჩემ გარშემო ყველა კეთილი, ზრდილობიანი და სამართლიანი უნდა ყოფილიყო. წლებთან ერთად რეალობის აღქმა ვისწავლე და ადამიანებთან ურთიერთობების დამყარება საკმაოდ გამიჭირდა. მსახიობის პროფესია კი ძალიან დამეხმარა ჩემთან შეხებაში მყოფი ადამიანების გრძნობებისა და ქცევების გაგებაში, მათთან კომუნიკაციის პროცესში სწორი მიდგომის მოძებნაში.
არსებობს სხვა მიზეზებიც, რომელთა გამოც მსახიობობა ავირჩიე. აი, ერთ–ერთი მათგანი: ყოველ წელს ადამიანები დასასვენებლად ერთსა და იმავე ადგილზე წასვლას ამჯობინებენ – იქ ხომ ყველაფერი ნაცნობი და მშვიდია. ისინი არ ეცნობიან ახალ ადგილებს, საკუთარ თავს. კომფორტის ზონაში დარჩენა არ არის საჩემო საქმე – მე ახალი ადგილების მონახულება, გამოწვევებისა და წინააღმდეგობების პირისპირ დადგომა მირჩევნია. კარაქსის ფილმი წინააღმდეგობრივ მხარეებს ემყარება, მარადიულ ბრძოლას სინათლესა და სიბნელეს შორის. მიყვარს ადამიანის სულის მრუმე, დაფარულ კუნჭულებში ჩასვლა, დისკომფორტის განცდა. ისეთი როლების განსახიერებას შევძლებ, რომლებიც ადამიანად ყოფნის განსხვავებული ემოციური ასპექტების შესწავლის შესაძლებლობას მომცემენ. სწორედ ამიტომ გავხდი მსახიობი – ადამიანის ფსიქოლოგიაში ჩასაღრმავებლად. სამსახიობო კარიერა ჩემთვის საიდუმლოებებისთვის ფარდის ახდის და საკუთარი თავის აღმოჩენის მუდმივი პროცესია.

რა გასწავლეს იმ ქალებმა, რომლებიც განასახიერეთ?

როდესაც სცენარს ვკითხულობ, როგორც წესი, პერსონაჟის გარეგნულ იერს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. უფრო მისი შინაგანი სამყარო მაინტერესებს

გერმანელ-ფრანგი მსახიობი ქალი (1938 - 1982), რომელიც გერმანიაში და შემდეგ საფრანგეთში გადაღებულ რამდენიმე მხატვრულ ფილმში მონაწილეობდა

ვერ ვიტყოდი, რომ ყოველი პერსონაჟი, რომელსაც ვთამაშობ, რამეს მასწავლის.
რა შეიძლება მასწავლოს გამოგონილმა პერსონაჟმა ან ბოევიკის გმირმა?! მაგრამ სამსახიობო უნარების თვალსაზრისით ამ პერსონაჟების თამაში გაცილებით უფრო ძნელია, რადგან რეალურ ცხოვრებაში მათ ანალოგი არ ჰყავთ. ჩემთვის ბევრად ადვილი იყო პოლონელი მსუბუქი ყოფაქცევის ქალის განსახიერება ფილმში „იმიგრანტი“, ვიდრე მირანდასი ფილმში „ბნელი რაინდი“, თუმცა არსებობს ის რაღაც, რაც ჩემმა პერსონაჟებმა მასწავლეს – მივხვდი, რომ ცხოვრება სრულიად მოულოდნელად, გაუფრთხილებლად დაგვატეხს ხოლმე თავზე სირთულეებს. ცხოვრება უნდა მივიღოთ ისეთი, როგორიც არის.

საიდან იღებთ შთაგონებას, მისაბაძი ადამიანი თუ გყავთ?
ძალიან მიყვარს რომი შნაიდერი. მას აქვს გამონათქვამები, რომლებიც ჩემი სულის სიმებს არხევს. ერთხელ მან თქვა, რომ სურდა, მთელი ცხოვრება ესწავლა, რათა საკუთარი თავი შეეცნო. ეს ჩემი მიზანიცაა. მიყვარს მისი ფილმები... და აი ახლა მისი კიდევ ერთი გამონათქვამი მახსენდება – რომ პერსონაჟის განსახიერების, სულ მცირე, 50 ხერხი არსებობს, მაგრამ ყველაზე უფრო ნამდვილი ხერხი ის არის, რომლისკენაც დასაწყისში შენი საკუთარი მეექვსე გრძნობა წაგიყვანს. ზოგჯერ ჩემს თავს მას ვადარებ, მასში საკუთარ თავს აღვიქვამ. რომის მსგავსად მეც მსახიობების ოჯახიდან ვარ და თამაშიც ახალგაზრდა ასაკიდან დავიწყე.

ჰოლივუდში ბევრ ფილმში ითამაშეთ. ოდესმე გიფიქრიათ აშშ – ში საცხოვრებლად გადასვლაზე?
მიყვარს ნიუ-იორკი. ამ ქალაქმა დიდი გავლენა მოახდინა ჩემს კარიერაზე. აქ პირველად რომ ჩამოვედი ინგლისურის შესასწავლად, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, მეორედ კი მაშინ ვესტუმრე, როდესაც როლი შემომთავაზეს ფილმში „ცხრა“ (Nine). ამ ქალაქში არქიტექტურა და ბუნება ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. მანჰეტენზე სეირნობისას ოკეანიდან მონაბერ მსუბუქ ნიავს ვგრძნობ, მისი პარკების ყვავილების სურნელს. მიყვარს საზღვარგარეთ ფილმებში გადაღება, რადგან როდესაც უცხო ქვეყანაში ვმუშაობ, კონცენტრაციისთვის საკმარისი დრო მაქვს. შესაძლოა, ამას ხელს უწყობს სასტუმროს ნომრის „უსახურობა“, სადაც ჩემს საკუთარ პატარა სამყაროს ვქმნი და სამსახიობო ხელოვნებაში ვვარჯიშობ.

მუშაობის დასრულების შემდეგ სახლში ვბრუნდები და მხოლოდ ჩემს პარტნიორსა და შვილებზე გადამაქვს ყურადღება. საფრანგეთიდან წასვლას არ ვაპირებ, რადგან ძალიან მომენატრება. ამას გარდა, ფრანგი

რომანტიკული მუსიკალური დრამა, რომლის რეჟისორია რობ მარშალი, ხოლო სცენარის ავტორები არიან მაიკლ ტოლკინი და ენტონი მინგელა

მოდა ხელოვნებას ჰგავს, რომელსაც ხელოვანი მრავალი შემოქმედებითი ძიების შედეგად ქმნის

მსახიობი ქალის სამსახიობო კარიერას ამერიკულ კინოში თავისი გარკვეული ზღვარი აქვს. ჩემთვის აქამდე შემოთავაზებული როლები ჯერჯერობით საკმაოდ ლიმიტირებულია, მაგალითად, პოლონელი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, რომელიც ინგლისურად ძლივს ლაპარაკობს.

თქვენს შვილებს როგორი რეაქცია აქვთ იმაზე, რომ მათი დედა ბევრს მოგზაურობს და მათი მშობლები ასეთი ცნობილები არიან? ისევ ცდილობთ მშობლისთვის დამახასიათებელ დანაშაულის შეგრძნებასთან გამკლავებას?
ცნობილი მშობლები თავიანთი შვილებისთვის შეიძლება საშიშები იყვნენ, განსაკუთრებით, თუ შთამომავლების ხარჯზე ცდილობენ საკუთარი დაუცველობის შეგრძნებების კომპენსირებას. ეს მშობლებს საკმაოდ ხშირად ემართებათ მაშინ, როდესაც შვილები საკუთარი თავის ნარცისისტულ გაგრძელებად მიაჩნიათ. საბედნიეროდ, ყველა ცნობილი ადამიანი ასე არ ფიქრობს. ერწყმის ერთმანეთს. სამყაროში ყველა დედას, ამა თუ იმ ხარისხით, აქვს დანაშაულის შეგრძნება შვილების მიმართ. ახლა წარსულს ჩაბარდა ის წარმოდგენა, რომ ყველა დედა, რომელიც მუშაობს, ცუდი მშობელია. შეიძლება ისე ჩანდეს, რომ მსახიობებს ოჯახის მთლიანობის შენარჩუნება უფრო მეტად უჭირთ, რადგან ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში არიან, თუმცა იმავე პრობლემის წინაშე ნებისმიერი პროფესიის მშობლები შეიძლება აღმოჩნდნენ.
რა თქმა უნდა, მსახიობი ქალის პრობლემების მიზეზი სხვა რამეა. ყველა ქალს როდი აქვს პრივილეგია, ითამაშოს ლედი მაკბეტი, ხელებიდან სისხლი ჩამოიბანოს, შემდეგ კი სახლში დაბრუნდეს საკვები პროდუქტებით სავსე ჩანთებით და დაიძახოს:

ცნობილი მშობლები თავიანთი შვილებისთვის შეიძლება საშიშები იყვნენ, განსაკუთრებით, თუ შთამომავლების ხარჯზე ცდილობენ საკუთარი დაუცველობის შეგრძნებების კომპენსირებას

„სადილობის დროა!“
ჩვენს შემთხვევაში საჭიროა განსხვავებული – გადართვის უნარი გქონდეს. რამდენიმე სახის მსახიობი ქალი არსებობს: ზოგიერთი მუშაობის დროს მთლიანად იცლება და შემდეგ თავის ემოციებს ვერ უმკლავდება, ხოლო სხვები კი გადართვას მაშინვე ახერხებენ, როგორც კი საკუთარი სახლის კარის ზღურბლს გადააბიჯებენ. ვფიქრობ, ეს სანახევროდ უკვე შევძელი. ის არასწორი წარმოდგენა, რომ მომუშავე დედა ცუდი მშობელია, ახლა უკვე ყავლგასულია.

საკუთარ პოპულარობაზე რა აზრის ხართ?
პოპულარობა არასოდეს მაღელვებდა, „ოსკარის“ ჯილდოს მიღების შემდეგაც კი. მიხარია, რომ ჩემი ნამუშევარი დააფასეს, მაგრამ აღიარებას კმაყოფილება მხოლოდ გარკვეული დროით მოაქვს. შემდეგ ფილმზე უკვე გავიწყდება და ყველაფერი თავიდან იწყება: მთელი ის ტანჯვა, რომელიც გადაღების პროცესს ახლავს თან, საკუთარი თავის მიმართ ეჭვები, განცდები იმის გამო, შეძლებ თუ არა როლის თამაშს... თითქოს აღიარება არც კი გქონია.

ლუდი მაკბეტი - შექსპირის ტრაგედია „მაკბეტის“ მთავარი პერსონაჟი (1603 - 1607)

ალბათ, უმჯობესია აღიარებასა და პირად მიღწევებზე ვისაუბროთ, ვიდრე პოპულარობაზე. აღიარება მსახიობისთვის პათოლოგიას ჰგავს – ყველგან და ყოველთვის აწუხებს. მთელი სამუშაო, რომელსაც მსახიობი ატარებს, აღიარების მოპოვებას ისახავს მიზნად, მაგრამ ეს იმ პიროვნების ბუნებრივი ადამიანური მოთხოვნილებაა, რომელსაც თავისი სამუშაო ძალიან უყვარს, ასე არაა?!

რას ნიშნავს თქვენთვის პარიზში ცხოვრება?
მიყვარს უხილავად ყოფნა. პარიზელები საკუთარი ცხოვრებით არიან დაკავებულნი და დროს ცნობილი ადამიანების დევნაში არ ხარჯავენ. ამ ქალაქს განსაკუთრებული ენერგია აქვს. მაგალითად, თუ გსურს გაღიარონ, გაღიარებენ, მაგრამ ამის გამო არავინ შეგაწუხებს, თუმცა თუ ამის საპირისპირო გსურს, ვერავინ შეგამჩნევს. ადამიანები იმაზე უფრო მეტად გულმავიწყები არიან, ვიდრე წარმოგვიდგენია, განსაკუთრებით დღევანდელ დღეს, როდესაც ყველა თავის ტელეფონზეა მიჯაჭვული და თავს იშვიათად სწევს ზემოთ. ამას გარდა, ჩემი ყოველდღიური ჩაცმულობა ჩემი ეკრანული პერსონაჟების გარეგნული იერისგან ძალიან განსხვავდება. ყვითელმა პრესამ ჩემი იმიჯი გააზვიადა და გარკვეული ქედმაღლობა და გულცივობა მომაწერა. ასეთ დახასიათებაში საკუთარ თავს ვერ ვცნობ. საკმაოდ ხშირად მასმედია ისეთ რამეს ამბობს, რასაც რეალობასთან არაფერი აქვს საერთო.

რა სამუშაოს აირჩევდით, მსახიობი რომ არ გამხდარიყავით?
როდესაც ჩემს ცხოვრებაზე ვფიქრობ, ღრმა მადლიერების გრძნობა მეუფლება. მსახიობად ყოფნა ბუნებრივ მოცემულობად არ უნდა ჩათვალო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იმ მცირე რაოდენობით ნიჭიერ, შრომისმოყვარე პროფესიონალებზე ფიქრობ, რომლებსაც რეალურად ეძლევათ დიდ ეკრანზე მოხვედრის შესაძლებლობა. მსახიობი რომ არ გავმხდარიყავი, ალბათ, სოციალური მუშაკი ვიქნებოდი და გარემოს დავიცავდი. ამ სფეროში ჩემი ოჯახი ძალიან არის ჩართული. მაგალითად, ყოველთვის ვახარისხებთ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს; პროდუქტის შეძენამდე საგულდაგულოდ ვამოწმებ მის წარმოშობას, იმას, მის შექმნაში ბავშვების შრომა ხომ არ არის გამოყენებული ან ცხოველებზე გამოიცადა თუ არა. რა თქმა უნდა, მარტო მე ვერ შევცვლი სამყაროს, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია და პასუხისმგებლობა თითოეულ ჩვენგანს ეკისრება.



უზარმაზარი განსხვავებაა ჩემს სამსახიობო კარიერას, სცენურ პერსონაჟებსა და იმ სახეებს შორის, რომლებსაც ჩემ შესახებ მედია ქმნის

ავეჯის კომპანია „ინდექსი“

თანამედროვე ცხოვრების სტილის და ინტერიერის დიზაინის სინთეზი

ლიკა კურტანიძე

ბრენდი უკვე თითქმის 10 წელია ქართულ ბაზარზე საკუთარი მომხმარებლის მაჯისცემას ყოველდღიურად უსმენს - ქართულ-იტალიური მულტიბრენდული ავეჯის კომპანია „ინდექსი“ ესთეტიკასა და მარადიულ ელეგანტურობასთან ასოცირდება. მისი მიზანი მომხმარებელზე მაქსიმალურად მორგებული გარემოს შექმნა და შესაბამისი მომსახურების შეთავაზებაა. თუ არ იცით, რა აირჩიოთ, გამოსავალი მარტივია - უბრალოდ, „ინდექსში“ უნდა მიხვიდეთ და ფეხი აუწყოთ მსოფლიო ტრენდებს. კომპანიის შესახებ „ინდექსის“ თანადამფუძნებელი, მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლიკა კურტანიძე გვესაუბრება:

დავიწყოთ ბრენდის ისტორიით: საიდან გაჩნდა იდეა, ერთ სივრცეში მოგექციათ ავეჯი, ინტერიერის და ექსტერიერის აქსესუარები?

„ინდექსი“ ზუსტად 10 წლის წინ გამოჩნდა ქართულ ბაზარზე, ეს არის ქართულ–იტალიური მულტიბრენდული კომპანია, რომელიც საერთაშორისო დონეზე სოლიდური რეპუტაციით სარგებლობს. ჩვენი ბრენდი თანამედროვე ცხოვრების სტილის (Lifestyle) და ინტერიერის დიზაინის სინთეზის შესანიშნავი გამოხატულებაა.
სულ მალე 10 წელი გახდება, რაც INDEX–ი ქართულ ბაზარზე გამოჩნდა თანამედროვე, უმაღლესი ხარისხის საცხოვრებელი და ბიზნესსივრცეების შექმნის მიზნით. ჩვენს სივრცეში ყველაფერია თავმოყრილი – ავეჯით დაწყებული, ინტერიერის და ექსტერიერის აქსესუარებით დამთავრებული. ვფიქრობ, ამ კონკრეტულ მიზანს შესაბამისი პროდუქცია სჭირდება, „ინდექსი“ კი ასეთი პროდუქტის სრულ სპექტრს ხდის ხელმისაწვდომს მომხმარებლისთვის.

ჩვენი მიზანი მომხმარებელზე მაქსიმალურად მორგებული გარემოს შექმნა და შესაბამისი მომსახურების შეთავაზებაა

რა არის ბრენდის ფილოსოფია და მისია?
ჩვენი ბიზნესსაქმიანობა ის სფეროა, რომელიც ყოველდღიურად უდიდეს როლს თამაშობს საზოგადოებისთვის ხარისხიანი და კომფორტული გარემოს შექმნაში.
„ინდექსის“ იდენტობის მთავარი შემადგენელი ნაწილია კონცეფცია, რომელიც ტრადიციასა და ინოვაციებს აერთიანებს.
წლებთან ერთად კომპანიაში სპეციალური „ინდექსის კოდი“ ჩამოვაყალიბეთ, რომელიც დღეს უკვე ყველა კოლექციის მთავარი და განუყოფელი მახასიათებელი გახდა.
ჩვენი მთავარი სტრატეგია „ინდექსის“ განვითარების უწყვეტობის ძირითად პრინციპებშია, რომელიც კომპანიის დნმ–ში ღრმად არის ფესვგადგმული. ის ესთეტიკასა და მარადიულ ელეგანტურობასთან ასოცირდება.

„ინდექსში“ უნდა მოხვიდეთ და ფეხი აუწყოთ მსოფლიო ტრენდებს

ინტერვიუ სოფიო დვალიშვილი **ფოტო** სალი დუნდუა

გამორჩეული ხარისხის და განსაკუთრებული დიზაინის უზრუნველყოფის მიზნით აქტიურად ვთანამშრომლობთ ევროპის ლიდერ მწარმოებელ კომპანიებთან, ასევე, მუდმივად ვურთიერთობთ საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივ დიზაინერებთან. მომხმარებლებს პერმანენტულად ვთავაზობთ და ვაწვდით ინტერიერის კოლექციის განახლებად ტრენდულ და ექსკლუზიურ ნიმუშებს. „ინდექსის“ შოურუმის დათვალიერებისას ადგილზე ავეჯისა და განათების არაერთ All Time Classic და Must-Have ექსპონატს შეხვდებით, რომლებიც მსოფლიოს თანამედროვე ხელოვნების ყველაზე პრესტიჟულ მუზეუმებშია დაცული.
ჩვენი ამოცანაა მომხმარებელს წამყვანი საერთაშორისო ბრენდების საუკეთესო კოლექციებთან ერთად ყველაზე სწრაფი და უნაკლო სერვისი შევთავაზოთ.

სტილსა და ღირებულებებს რაც შეეხება, აქ ყურადღება გადატანილია დეტალებსა და ფორმებზე. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა ასეთი დეტალები მრავლისმეტყველია მინიმალისტურ და დახვეწილ სტილთან ერთად.
კომპანიის მისია, მარტივად რომ ვთქვათ, ბევრი ლამაზი და, ამასთან, კომფორტული სახლის შექმნაა...

კომპანიის მისია, მარტივად რომ ვთქვათ, ბევრი ლამაზი და, ამასთან, კომფორტული სახლის შექმნაა...

რის მიხედვით ირჩევთ წამყვან საერთაშორისო ბრენდებს და ვინ არიან ისინი?
წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე გეტყვით იმას, რომ ინტერიერში ჩვენი კომპანიები INDEX და Linea Italia თანამედროვე სტილს წარმოადგენენ. მოხარულები ვართ, რომ საქართველოში დროსთან ერთად დომინანტი თანამედროვე
სტილი გახდა.
განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო ქართველი მომხმარებლების დახვეწილი გემოვნება, რაც მოტივაციას გვაძლევს, ყოველთვიურად განვაახლოთ კოლექციები და მათი მოთხოვნების შესაბამისი პროდუქცია შევთავაზოთ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ პროცესში INDEX–მა და Linea Italia–მ საქართველოში გარკვეული როლი უკვე შეასრულა.

„ინდექსის“ იდენტობის მთავარი შემადგენელი ნაწილია კონცეფცია, რომელიც ტრადიციასა და ინოვაციებს აერთიანებს

უნაკლო სერვისში რას გულისხმობთ და ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურება რამდენად ამართლებს?
ხარისხიანი მომსახურება ჩვენი კომპანიის ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტია. პოტენციურ და არსებულ მომხმარებლებზე ზრუნვა და მათთვის კონკრეტულ საჭიროებაზე მორგებული პროდუქტების შეთავაზება მნიშვნელოვანი საქმეა. ჩვენი წარმატების საკვანძო ფაქტორი ვადები და ფინანსური დანახარჯით მოპოვებული მაქსიმალური ხარისხია. ეს ყველაფერი დამკვეთის ნდობას განაპირობებს. ერთი ფანჯრის პრინციპი კი მომსახურების პროცესს აადვილებს. „ინდექსში“ მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს არა მხოლოდ ცალკეული ნივთი ინტერიერისთვის, არამედ შესაძლებლობას ვაძლევთ, ჩვენი მეშვეობით სრულად მოაწყონ საცხოვრებელი თუ ბიზნესობიექტი ავეჯით, განათებით და დიზაინის სხვა ელემენტებით, ასევე, ტექნიკური ინსტალაციებით, როგორიცაა: სამზარეულო, სპა, ჭკვიანი სახლი და ა.შ.

სულ მალე 10 წელი გახდება, რაც INDEX-ი ქართულ ბაზარზე გამოჩნდა თანამედროვე, უმაღლესი ხარისხის საცხოვრებელი და ბიზნესსივრცეების შექმნის მიზნით

ხარისხი, ბრენდის მაღალი პასუხისმგებლობა, სრულყოფილებისკენ სწრაფვა მთელი კომპანიის საზრუნავია



გვეამაყება, რომ პროექტების დიზაინერებთან და სარემონტო სამუშაოების მენეჯერებთან აქტიური კოორდინაციით მრავალი წარმატებული, ლამაზი ობიექტი შევქმენით.
ჩვენი მომხმარებლების უმეტესობა შოურუმს მეგობრების რეკომენდაციით სტუმრობს და ახალი მოთხოვნების წარმოქმნის შემდეგ მუდმივად თანამშრომლობენ „ინდექსთან“.

როგორც ვიცი, სპეციალურად გყავთ გამოყოფილი ექსპერტთა გუნდი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა პროცესში. თუ შეიძლება, უფრო დეტალურად აგვიხსენით, რა პროცესებზეა საუბარი?
ჩვენი კომპანიის წარმატება პროფესიონალი გუნდის და მაღალკვალიფიციური თანამშრომლების ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. კომპანიის გული და გონება შემოქმედებით ჯაჭვს აერთიანებს იდეიდან – მის ხორცშესხმამდე. კონკრეტული პროცესი ჩვენთვის შემოქმედებითი წვის ანალოგია – ამ დროს მთავარია მომხმარებელს, მისი სურვილის შესაბამისად, უმაღლესი ხარისხის ინოვაციური პროდუქცია შევთავაზოთ. „ინდექსის“ ექსპერტები მომხმარებელთან ურთიერთობენ, მათ მოთხოვნებსა და სურვილებს ეცნობიან. ეს ურთიერთკავშირის საუკეთესო გზაა, რომლის საშუალებითაც მაქსიმალურად მოკლე ვადებში სასურველი შედეგის მიღებაა შესაძლებელი. ყოველდღიურ პროცესებს საუკეთესო პროფესიონალები მართავენ, მათში ჩართულები არიან პროექტის და პარტნიორობის მენეჯერები, კონსტრუქტორები, ლოჯისტიკის მენეჯერები და ინსტალატორები.
„ინდექსი“ არქიტექტორ–დიზაინერთა იდეებს აცოცხლებს. ჩემი, როგორც კომპანიის თანადამფუძნებლის და მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მთავარი ღირებულება ჩემივე გუნდის პროფესიონალიზმით მიღწეული ნდობაა, ამიტომ მუდმივად ვფიქრობ თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და კომპანიის ზრდაზე.
ხარისხი, ბრენდის მაღალი პასუხისმგებლობა, სრულყოფილებისკენ სწრაფვა მთელი კომპანიის საზრუნავია.

ჩვენი ბიზნესსაქმიანობა ის სფეროა, რომელიც ყოველდღიურად უდიდეს როლს თამაშობს საზოგადოებისთვის ხარისხიანი და კომფორტული გარემოს შექმნაში

როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?
ამ ეტაპზე რამდენიმე ძალიან საინტერესო იდეის განხორციელების პროცესში ვართ, რომლებზეც ჯერ არ ვისაუბრებ. ახლო მომავალში დაგეგმილი გვაქვს ახალი შემოქმედებითი სივრცის გახსნა, სადაც ჩვენს მომხმარებელს ავეჯის და ბრენდების სერიას შევთავაზებთ, რომელიც ავთენტიკური ცხოვრების მშვენიერ სამყაროში გამოგზაურებთ. ჩვენ მოგაწოდებთ ყველაზე თანამედროვე იდეებს საერთაშორისო ტრენდული სცენებიდან.

„კარაპს მედლაინის“

25-წლიანი ისტორიის გრძელდება...

თანამედროვე სტანდარტები, უნიკალური აპარატურა და პროფესიონალი კადრები - სამედიცინო კლინიკა „კარაპს მედლაინი“ უკვე 25-წლიანი ისტორიის მატარებელია. გუნდში, რომელმაც ეს ისტორია წარმატებით გააგრძელა, „კარაპს მედლაინის“ გენერალურ დირექტორს ნინო კუტალაძეს გამორჩეული ადგილი უკავია.
გუნდის ლიდერის პროფესიული და პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებზე, გამოწვევებით სავსე კარიერულ გზასა და ენერგიის მთავარ წყაროზე, რომელიც მის წარმატებულ საქმიანობას განსაზღვრავს, ინტერვიუდან შეიტყობთ.

როდის და როგორ აირჩიეთ პროფესია?
ვიდრე კონკრეტულ პროფესიას ავირჩევდი, ძალიან საინტერესო გზა გავიარე. ბოლო 10 წელია სამედიცინო სფეროში ვმუშაობ, თუმცა განათლებით ექიმი არ ვარ; ამ ეტაპზე შეფილდის უნივერსიტეტში სამედიცინო მენეჯმენტის კუთხით ვიღებ განათლებას და ამ მიმართულებით დამატებითი ხარისხი მექნება. ჩემი ტიპაჟიდან გამომდინარე ყოველთვის ვიცოდი, ცხოვრებაში რა მინდოდა – ჩემი ძლიერი მხარე, რასაც ვთვლი, რომ ყველაზე კარგად გამომდის, ადამიანებთან კომუნიკაცია და ურთიერთობებია. ამიტომ თავიდან დიპლომატიური მიმართულებით წასვლა მინდოდა, თუმცა შემდეგ ისე მოხდა, რომ ჩემი თავი ბევრ განსხვავებულ საქმიანობასა და სფეროში მოვსინჯე. მათ შორის იყო თბილისის დიპლომატიური სოფელი, მთაწმინდის პარკი და სხვა უამრავი კომპანია, რომელმაც დიდი გამოცდილება მომცა და ჩემს განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. წლების შემდეგ სამედიცინო მიმართულება ის სფერო აღმოჩნდა, რომელიც მაბედნიერებს და განსაკუთრებულ სიხარულს მანიჭებს. საოცარი შეგრძნებაა, როდესაც აცნობიერებ, რომ ადამიანებს ზუსტად იმ მომენტში ეხმარები, როდესაც მათ ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ.

თქვენს ოჯახში სამედიცინო მიმართულებით მანამდე ვინმე მუშაობდა?
ჩემი ბებია და ბაბუა მამის მხრიდან ექიმები იყვნენ. კარგად მახსოვს ის გარემო და კლინიკა, როდესაც ბავშვობაში მათთან სამსახურში მივდიოდი, თუმცა სამედიცინო მიმართულებით მუშაობაზე არასდროს მიფიქრია. დღევანდელი გადმოსახედიდან სამედიცინო სფერო ის ადგილი აღმოჩნდა, სადაც წლების განმავლობაში დაგროვილი ჩემი გამოცდილების აკუმულირება მოვახდინე.

საკმაოდ პატარა ასაკიდან დაიწყეთ მუშაობა, როგორია წლების განმავლობაში დაგროვილი თქვენი გამოცდილება?
13 წლის ვიყავი, როდესაც მუშაობა დავიწყე. მეგობრებმა ერთად თინეიჯერებისთვის გადაცემა გავაკეთეთ და სწორედ ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯები ჟურნალისტიკაში, რამაც წლების შემდეგ კამერასთან მუშაობა ძალიან გამიადვილა. საკმაოდ აქტიური ბავშვი და გამორჩეული მოსწავლე ვიყავი.

საოცარი შეგრძნებაა, როდესაც აცნობიერებ, რომ ადამიანებს ზუსტად იმ მომენტში ეხმარები, როდესაც მათ ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ

ინტერვიუ სოფიო დვალიშვილი **ფოტო** სალი დუნდუა

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, „კარაპს მედლაინში“ ექიმებს მშვიდი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობები შევუქმნათ, რათა მაღალი დონის ოპერაციები ჩაატარონ

გვაქვს ჯანსაღი ამბიცია, რომ სამედიცინო მიმართულებით საქართველოში გამორჩეული ადგილი გვიკავია

დავდიოდი მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში, სადაც საბჭოს პრეზიდენტი გახლდით. შემდეგ წლების განმავლობაში პრეზიდენტის სტიპენდიატი ვიყავი, პარალელურად ვწერდი აკადემიური შინაარსის თემებს, მათ შორის ერთ–ერთი „იუნისეფსა“ და ბავშვთა უფლებებზე იყო, რომელმაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯილდო დაიმსახურა. ვფიქრობ, ჩემმა აქტიურმა ბავშვობამ და ადრეულ ასაკში დაგროვილმა გამოცდილებამ ზუსტად ის თვისებები შემძინა, რომლებიც დღეს ჩემს ძლიერ მხარეს წარმოადგენს.

რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ის საქმიანობა, რომელსაც დღეს ემსახურებით?

სამედიცინო სფეროში მუშაობა განსაკუთრებით დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, რადგან პირდაპირ ადამიანთა ჯანმრთელობასთან გვაქვს საქმე. მართალია, „კარაპს მედლაინი“ გეგმური კლინიკაა და ხშირ შემთხვევაში პაციენტები ურგენტულ ნაწილში არ გვაკითხავენ, თუმცა წინასწარ განსაზღვრული ოპერაციების ჩამონათვალს ემოციური ფონი, მღელვარება და ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ახლავს თან. ყოველთვის არსებობს რისკი, რომ ნებისმიერი ოპერაცია შესაძლოა არასასიამოვნო შედეგით დასრულდეს.

სწორედ ამიტომ, ასეთ დროს გუნდის პასუხისმგებლობის საკითხი განსაკუთრებულია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, „კარაპს მედლაინში“ ექიმებს მშვიდი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობები შევუქმნათ, რათა მაღალი დონის ოპერაციები ჩაატარონ. გვაქვს ჯანსაღი ამბიცია, რომ სამედიცინო მიმართულებით საქართველოში გამორჩეული ადგილი გვიკავია. პაციენტების ნდობა, ხარისხი და პროფესიონალიზმი ჩვენი მთავარი პრიორიტეტებია.

დატვირთული გრაფიკი და ოჯახი – როგორ ანაწილებთ დროს?

დატვირთული სამუშაო გრაფიკი ჩემი ცხოვრების თანმდევი ნაწილია. როგორც მოგახსენეთ, 13 წლიდან ვმუშაობ, ერთ–ერთი ჟურნალისთვის სტატიებს ვწერდი და ვთარგმნიდი. საკმაოდ რთული იყო პარალელურ რეჟიმში სწავლა და მუშაობა, თუმცა ჩემთვის ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ცხოვრებისეული რუტინაა და დღემდე ასე გრძელდება.
ჩემი ოჯახი – ეს ის პირადი სივრცე და საყრდენია, რომელსაც ვცდილობ, საკმარისი დრო დავუთმო. წლებთან ერთად გავაცნობიერე, რომ დედის და მეუღლის როლი ქალის ცხოვრებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე პროფესიული ნაწილი. მიხარია, რომ ცხოვრების თითოეულ ეტაპზე, როდესაც საქმე ჩემს პროფესიულ საქმიანობას ეხებოდა, ოჯახის მხრიდან ყოველთვის დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდი.
დრო, რომელსაც ოჯახთან ერთად ვატარებ, განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩემთვის. ყველა ადამიანს სჭირდება რესურსი, საკვები წყარო, დამტენი იმისათვის, რომ სამუშაო გარემოში პროდუქტიული იყოს. ჩემს შემთხვევაში ამ ყველაფერს ის სიყვარული და სითბო მაძლევს, რასაც მეგობრების წრე და ოჯახის წევრები ჰქვია. ჩემთვის ეს ის მთავარი საზრდოა, რომელიც წარმატებული საქმიანობისთვის ენერგიას მმატებს.

„კარაპს მედლაინის“ ისტორია უკვე 25 წელს ითვლის და წლებია, თქვენც ამ ისტორიის ნაწილი ხართ. რამდენად რთულია გაუძღვე და გააგრძელო ისტორია?

გავაგრძელო „კარაპს მედლაინის“ ისტორია – ძალიან რთული და საპასუხისმგებლო მისიაა. მიუხედავად იმისა, რომ მენეჯერობის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება უკვე მქონდა და საკმაოდ მაღალ პოზიციებზეც ვმუშაობდი, როდესაც „კარაპსის“

პაციენტების ნდობა, ხარისხი და პროფესიონალიზმი ჩვენი მთავარი პრიორიტეტებია

გუნდს შემოვუერთდი, ამ ყველაფრის გადმობარება ძალიან რთული აღმოჩნდა. თავდაპირველად ეს ჩვენი ოჯახური ბიზნესი იყო. ასეთ დროს კი პასუხისმგებლობა გაორმაგებულია. საკმაოდ დიდი დრო დამჭირდა იმისათვის, რომ ჯერ გარემო შემესწავლა, გამოცდილება მიმეღო და ამ პროცესის განვითარებისთვის ხელი შემეწყო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქალბატონმა ფერიდე ხიდეშელმა სამედიცინო სფეროში „კარაპს მედლაინის“ დაარსებით ერთგვარი ეპოქა შექმნა.
ჩემთვის ამ გზის გაგრძელება ემოციურადაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ექიმებთან ურთიერთობა, ახალი მიმართულებების დამატება და კლინიკის განვითარება ჩვენი პრიორიტეტებია. 2012 წლიდან ჩვენი კლინიკა „ევექსის ჰოსპიტლებს“ შეუერთდა. დიღომში ცენტრალურ კლინიკას კი 2020 წელს ვაკეში „კარაპს მედლაინის“ ახალი ესთეტიკური კლინიკა შეემატა. ვგეგმავთ გაფართოებას რეგიონული მასშტაბითაც. ჩვენი მომხმარებელი ბრენდის მიმართ ძალიან ლოიალურია, სწორედ ამიტომ გვსურს, ჩვენი სერვისები მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გავხადოთ ყველასთვის და ზუსტად ის სფეროები და მიმართულებები მოვიცვათ, რომლებიც დღეს სამედიცინო სფეროში განსაკუთრებით აქტუალურია.

ყველა ადამიანს სჭირდება რესურსი, საკვები წყარო, დამტენი იმისათვის, რომ სამუშაო გარემოში პროდუქტიული იყოს. ჩემს შემთხვევაში ამ ყველაფერს ის სიყვარული და სითბო მაძლევს, რასაც მეგობრების წრე და ოჯახის წევრები ჰქვია

საქმის სიყვარული და ამ საქმის გულით კეთება, რწმენა იმისა, რომ რასაც აკეთებ, ადამიანებისთვის სიკეთის და სარგებლის მომტანია - ის ძირითადი ფასეულობებია, რომლებიც წარმატების ფორმულად იქცევა

რას თვლით ყველაზე წარმატებულ ნაბიჯად თქვენს ცხოვრებაში?
ჩემს ცხოვრებაში იყვნენ ადამიანები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩემი კარიერის განვითარებაში, რათა სწორ დროს სწორ ადგილას მოვხვედრილიყავი. მათ შორისაა დედაჩემი, რომელიც ყოველთვის სწორ მიმართულებებს და რჩევებს მაძლევდა. მე და ჩემი ძმა დამოუკიდებლად ვიზრდებოდით და ოჯახის მხრიდან ყოველთვის ვგრძნობდით ნდობას და მხარდაჭერას. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი, როდესაც შიმონ პერესთან შეხვედრის შემდეგ „შემამჩნიეს“. მაშინ საღამო მიმყავდა და სრულიად მოულოდნელად ისრაელში აღმოვჩნდი, სადაც სწავლა გავაგრძელე და იქაურ ტელევიზიაშიც დავსაქმდი. ებრაულ–არამეული შევისწავლე და საქართველოში რადიკალურად განსხვავებული ადამიანი დავბრუნდი. ამის შემდეგ იყო „სელფორდ საქართველო“, რომელმაც ჩემს კარიერულ წინსვლაში უდიდესი როლი შეასრულა. მაშინდელმა ხელმძღვანელობამ სასწავლებლად ჯერ ლონდონში გამიშვა, დაბრუნების შემდეგ კი, სულ რაღაც 22 წლის ასაკში, თბილისის დიპლომატიური სოფლის დირექტორობა შემომთავაზა. კომპანია „სელფორდის“ მენეჯმენტის მხრიდან ეს ნაბიჯი ძალზე საპასუხისმგებლო და ერთგვარი რისკიც იყო, მაგრამ,

> სულ ვმუშაობ საკუთარი თავის გაზრდაზე, განვითარებაზე და ვცდილობ, საინტერესოდ გავიარო ის რთული გზა, რომელიც უკეთესი „მე“–ს შეცნობაში მეხმარება და ხელს მიწყობს, საკუთარ თავთან ჰარმონიული ურთიერთობა მქონდეს

როგორც ჩანს, მათ ჩემში ეს ნაპერწკალი, ენერგია, სურვილი და რესურსი დაინახეს, რადგან ასეთი შესაძლებლობა მომცეს, რისთვისაც დღემდე მათი მადლიერი ვარ. ბოლო 8 წელია, „კარაპს მედლაინის“ გუნდს ვხელმძღვანელობ. ხშირად ვხუმრობ, რომ ამდენი წელი ერთ ადგილას არასდროს მიმუშავია. ეს იმ გუნდის დამსახურებაა, რომელიც ჩემ გვერდითაა. ამ ყველაფრის მიუხედავად ვაცნობიერებ იმასაც, რომ ყველაზე დიდი მიღწევა, რაც ცხოვრებაში მაქვს, პირველ რიგში, დედობაა. ამაზე ძვირფასი ცხოვრებაში არაფერი მქონია და, ალბათ, არც არაფერი მექნება.

წარმატების ფორმულა თუ გაქვთ?
ძალიან ბევრ სამსახურში და ბევრ ადამიანთან მიმუშავია, როდესაც ცხოვრებას ამ გადმოსახედიდან ვუყურებ, ვფიქრობ, საქმის სიყვარული და ამ საქმის გულით კეთება, რწმენა იმისა, რომ რასაც აკეთებ, ადამიანებისთვის სიკეთის და სარგებლის მომტანია – ის ძირითადი ფასეულობებია, რომლებიც წარმატების ფორმულად იქცევა. ძლიერ გუნდთან ერთად წარმოუდგენელი წარმატების მიღწევაც კი შესაძლებელი ხდება. თავის დროზე მე განსაკუთრებულმა ადამიანებმა მომცეს ფრთები, რომ ფრენა შემძლებოდა. დღეს ეს ესტაფეტა მოძრავია. მსურს, ჩემ გარშემო ადამიანებს შესაძლებლობა მივცე, ეს ფრთები აღმოაჩინონ და იფრინონ. ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა „კარაპს მედლაინის“ და „ევექსის ჰოსპიტლების“ გუნდია, ვისთან ერთადაც ვმუშაობ და ვისთან ერთადაც წარმატებულ ისტორიას ვაგრძელებ.

რთული პერიოდი თუ გქონიათ ცხოვრებაში და როგორ უმკლავდებით?
რთული პერიოდები მქონია, თუმცა ვფიქრობ, ცხოვრებაში ყველაფრის გადალახვა შესაძლებელია. ძნელია, როდესაც ადამიანს კარგავ, მით უმეტეს, იმ ადამიანს, რომელიც გიყვარს, მაგრამ ამასაც რაღაც უცნაური ძალით უძლებ. ყველა ტკივილს ჩემთვის კონკრეტული სახელი ჰქვია – სესილია, ზუკა, ზუზუ... ამ კონკრეტულ მომენტებში აცნობიერებ, რომ ყველაფერი ფასს კარგავს, გეცვლება ფასეულობები და ღირებულებები, მაგრამ ცხოვრებას მაინც აგრძელებ, ისევ საკუთარი თავისთვის და იმ ადამიანებისთვის, რომელთაც უყვარხარ და უნდათ, რომ ბედნიერი იყო. სულ ვმუშაობ საკუთარი თავის გაზრდაზე, განვითარებაზე და ვცდილობ, საინტერესოდ გავიარო ის რთული გზა, რომელიც უკეთესი „მე“–ს შეცნობაში მეხმარება და ხელს მიწყობს, საკუთარ თავთან ჰარმონიული ურთიერთობა მქონდეს.
დგება მომენტები, როდესაც კონკრეტულ კითხვებზე პასუხები არ მაქვს და უდიდესი უსამართლობის განცდა მიპყრობს, მაგრამ ცხოვრება გრძელდება... და სიბნელის მერე ყოველთვის სინათლე მოდის. სწორედ ამ სინათლის მჯერა!

> როდესაც ინტელექტი ასე მძაფრად იჭრება ჩვენს ცხოვრებაში, მთავარი, რაც გვაკლია, ემოციური ინტელექტია

როგორია თქვენთვის იდეალურად გატარებული თავისუფალი დრო?
ჩემს ცხოვრებაში ჯანსაღი ცხოვრების წესს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დიდ დროს ვუთმობ ვარჯიშს და სხვადასხვა ფიზიკურ აქტივობას. იდეალურად გატარებული თავისუფალი დრო ჩემთვის კარგი მუსიკა, წიგნი, მზე და ზღვაა. ეს ზუსტად ის გარემოა, სადაც დიდ ენერგიას ვპოულობ. ვცდილობ, არსებული თავისუფალი დრო მეგობრების, ოჯახის და საყვარელი ადამიანების გარემოცვაში გავატარო.

გაგვაცანით თქვენი ოჯახი...
მყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი ანგელოზი. მთავარი ფასეულობა, რაც ჩემს შვილებს მსურს გადავცე, უპირველესად, ადამიანობა, სითბო და სიყვარულია. სხვა დანარჩენი, იქნება ეს ცოდნა, სწავლა თუ განვითარება, ცხოვრებას თავისთავად მოაქვს. ანდრიაც და ბარბარეც არაჩვეულებრივი ბავშვები არიან, მეგობრულ გარემოში იზრდებიან. მე და ჩემი მეუღლე ხშირად ვესაუბრებით მათ ამა თუ იმ საჭირო თემებზე, ერთმანეთის რჩევებს ვიზიარებთ და გვიხარია, რომ პროგრესულად მოაზროვნე მომავალი თაობა მოდის. ნებისმიერ საკითხს, პრობლემას თუ სიხარულს ერთობლივი ძალებით ვუმკლავდებით და ვიზიარებთ. ჩემთვის და გიორგისთვის მთავარი ჩვენი შვილების ჯანმრთელობა, მეგობრების და იმ ქვეყნის სიყვარულია, სადაც ცხოვრობენ, რადგან სწორედ ეს არის ის მამოძრავებელი ძალა, რომლის ხელშიც ჩვენი და ჩვენი ქვეყნის მომავალია.

რა არის ის მთავარი პრინციპები და ღირებულებები, რომლებიც გინდათ, რომ შვილებს გადასცეთ?
21–ე საუკუნეში კაცობრიობა ადამიანებზე და ადამიანურ თვისებებზე დგას. იმ რეალობაში, სადაც ხელოვნური ინტელექტი ასე მძაფრად იჭრება ჩვენს ცხოვრებაში, მთავარი, რაც გვაკლია, ემოციური ინტელექტია. ცოდნასთან ერთად ადამიანური ურთიერთობები და ღირებულებები ის უმთავრესი ფუნდამენტია, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში, კომპანია იქნება ეს თუ ოჯახი, წარმატებული საქმიანობის საწინდარია.

> ძლიერ გუნდთან ერთად წარმოუდგენელი წარმატების მიღწევაც კი შესაძლებელი ხდება

BUSINESS SOCAR

„თანამშრომლების მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ რომ ქალბატონები შეადგენენ“

უკვე მრავალი წელია ქალების როლი საქმიან სფეროში დიდი და შეუფასებელია. ქალები ოჯახის გარეთ წარმატებით საქმიანობენ თავიანთი პროფესიით და ყოველდღიურად უდიდესი წვლილი შეაქვთ კერძო თუ საჯარო დაწესებულებების განვითარებაში. კომპანია „სოკარმა“, რომელიც უკვე 15 წელზე მეტია ქართულ ბაზარზე ოპერირებს, ერთ-ერთმა პირველმა ფართოდ გაუხსნა ქალებს კარი და დღეს მისი თანამშრომლების მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ რომ ქალბატონები შეადგენენ. ქალები „სოკარში“ - რუბრიკის სტუმრები არიან ის ქალები, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება ოჯახის პარალელურად კარიერას მიუძღვნეს არა მხოლოდ ნიჯით, არამედ თავდაუზოგავი შრომით და საქმისადმი წარმოუდგენელი თავდადებით.

ინტერვიუ სოფიო დვალიშვილი **ფოტო** სალი დუნდუა

ქეთევან დოლიძე - გზა HR მენეჯერობამდე

„სოკარის“ გუნდის წევრი 2006 წელს გავხდი, როდესაც კომპანია ქართულ ბაზარზე შემოვიდა. მაშინ ეს სულ სამი ოთახისგან შემდგარი პატარა ოფისი იყო, სადაც ათამდე თანამშრომელი მუშაობდა. მეამაყება, რომ დღეს უმსხვილეს ჰოლდინგად ჩამოვყალიბდით, რომლის ანგარიშზეც ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მიღწეულ არაერთ წარმატებასთან ერთად უამრავი მნიშვნელოვანი სოციალური პროექტი და ბევრი მადლიერი ადამიანია. მიხარია, რომ შესაძლებლობა მომეცა, მეც ამ პროცესების უშუალო მონაწილე ვყოფილიყავი.

ჩემთვის წარმატება მიზანდასახულობის, საკუთარი თავის რწმენისა და დაუღალავი შრომის სინთეზია. ბონუსად გამართლებაც თუ დაემატა, უკეთეს შედეგს მივიღებთ. მახსენდება პერიოდი, როდესაც HR მიმართულებაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი და მაგისტრატურაზე ჩავაბარე. ჩემი შვილი მაშინ პირველ კლასში წავიდა. იმ ეტაპზე ორივეს ბევრი სიახლე გვქონდა და ყოველ საღამოს სახლში რომ ვბრუნდებოდი, მე და სანდრო ერთმანეთს ვუზიარებდით დღის ამბებს. მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა და ეს გაზიარება ტრადიციად გვექცა. სანდრო ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარია.

მეამაყება, რომ დღეს უმსხვილეს ჰოლდინგად ჩამოვყალიბდით, რომლის ანგარიშზეც ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მიღწეულ არაერთ წარმატებასთან ერთად უამრავი მნიშვნელოვანი სოციალური პროექტი და ბევრი მადლიერი ადამიანია

ჩემი ცხოვრების დევიზია – არასდროს შევწყვიტო განვითარება! ვფიქრობ, ყველა ადამიანმა უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე, სიახლეებისთვის ფეხის აწყობა მნიშვნელოვანია. თანამშრომლების განვითარება და მათი უნარების სრულყოფა ჩვენი კომპანიის ერთ–ერთი პრიორიტეტია. ყველა ეტაპზე ვგრძნობდი ჩემი კომპანიის და ჩვენი გუნდის მხარდაჭერას, რისთვისაც უზომოდ მადლიერი ვარ.

ყველა წარმატებული ბიზნესის უკან მისი თანამშრომლების გუნდი დგას. ამ თანამშრომლებისათვის პროდუქტიული სივრცის შექმნა, მათი პოტენციალის სრულად გამოვლენა და მოტივირება კი HR სამსახურის მთავარი ამოცანაა, რაც საბოლოოდ ისევ კომპანიის შედეგებზე აისახება. შესაბამისად, როგორც HR სამსახურის ხელმძღვანელს, კარგად მესმის, რამდენად სენსიტიური და საპასუხისმგებლოა თითოეული მიღებული გადაწყვეტილება. ჩემს კარიერულ წარმატებაში ჩემს კომპანიას – „სოკარს“ დიდი წვლილი მიუძღვის და ამ ნდობის გამართლება ასევე დიდი პასუხისმგებლობაა. რჩევები ქალებს: იყვნენ თავდაჯერებულები, გამბედავები, ინიციატივების არ შეეშინდეთ, სჯეროდეთ საკუთარი ძალების და წარმატებისა, მხარი დაუჭირონ და დაეხმარონ ერთმანეთს.

ქეთევან გამყრელიძე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, „სოკარის“ ნავთობპროდუქტების საგამოცდო ლაბორატორიის უფროსი ქიმიკოსი, ხარისხის მენეჯერი

> ჩვენი ლაბორატორია აღჭურვილია ულტრათანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და კვალიფიციური პერსონალით არის დაკომპლექტებული

„სოკარის“ ლაბორატორია საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად არის აკრედიტებული, ყოველწლიურად ვმონაწილეობთ როგორც შიდა ლაბორატორიათაშორის შედარებებში, ისე პროფესიულ ტესტირებებში და ყოველთვის წარმატებული შედეგები გვაქვს. ყველაზე დიდ დროს სამსახურში ვატარებ, თავისუფალ დროს კი მეუღლესთან ერთად ვცდილობ ქალაქგარეთ განტვირთვას.
ჩვენი პროფესია და მუშაობის სფერო საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან სულ უმნიშვნელო შეცდომამ შეიძლება ფატალური შედეგი გამოიწვიოს, ამიტომ მუდამ მობილიზებულები ვართ. „სოკარის“ ლაბორატორიაში ყოველდღიურად ტარდება ანალიზები ბენზინსა და დიზელზე, ადვილად აალებადი და ფეთქებადი პროდუქტია, ამიტომ ყურადღების მოდუნების უფლება არ გვაქვს.
ჩვენი ლაბორატორია ჩვენი მეორე ოჯახია. „სოკარში“ ჩვენი წარმატების საიდუმლო ერთიანობაშია, ყოველთვის ვამხნევებთ და მხარში ვუდგავართ ერთმანეთს, კომპანია კი ჩვენი ყველაზე დიდი გულშემატკივარია.
იყო „სოკარის“ გუნდის წევრი – ეს უდიდესი ჯილდო და საპასუხისმგებლო საქმეა, რომელიც აუცილებლად უნდა გიყვარდეს.
რჩევები ქალებს: ჩემი აზრით, ყველა ქალმა უნდა იმუშაოს. ამ დროს უფრო მეტად მობილიზებული ხარ და საშინაო თუ საგარეო საქმეებს უკეთ ასწრებ.

> მუდმივად ვმუშაობთ კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგებზე საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ

„სოკარში“ პირველად მაშინ მოვხვდი, როდესაც ლაბორატორიის შექმნა დაიგეგმა – კარგად მახსოვს, 2010 წელი იყო. კონკურსის და გასაუბრების შემდეგ კომპანიამ არჩევანი ჩემზე შეაჩერა და ლაბორანტის პოზიციაზე დავიწყე მუშაობა. ფინანსურად ძალიან დიდი მხარდაჭერა გვაქვს კომპანიისგან. ჩვენი ლაბორატორია აღჭურვილია ულტრათანამედროვე მატერიალურ–ტექნიკური ბაზით და კვალიფიციური პერსონალით არის დაკომპლექტებული. მუდმივად ვმუშაობთ კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგებზე საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ.

> „სოკარის“ დიდი გუნდის დამსახურებაა ის, რომ საქმე, რომელსაც დღეს ვემსახურები, თავის დროზე კომპანიაში ძირფესვიანად შევისწავლე

ჯული ფანჯაკიძე, მრავალშვილიანი დედა, ბუღალტერი

> „სოკარიც“ ყოველმხრივ გვიწყობს ხელს თანამშრომლებს წარმატებულ საქმიანობაში, ჩვენს განვითარებაზე ყოველთვიურ რეჟიმში ზრუნავს

კარგად მახსოვს, „სოკარში“ ჩემი პირველი ნაბიჯები 2013 წელს დაიწყო. შეშინებული თვალებით შესულს, თანამშრომლები საოცრად მეგობრულად დამხვდნენ. სწორედ „სოკარის“ დიდი გუნდის დამსახურებაა ის, რომ საქმე, რომელსაც დღეს ვემსახურები, თავის დროზე კომპანიაში ძირფესვიანად შევისწავლე.
საქმის პარალელურად ჩემი ყველაზე დიდი და საპასუხისმგებლო მისია მეუღლესთან ერთად 8 შვილის აღზრდაა. ძალიან მეხმარება ჩემი დედამთილი. დატვირთული გრაფიკი მაქვს, თუმცა შვილებისთვის დროს ყოველთვის ვანაწილებ. ჩემი ოჯახი მაქსიმალურს აკეთებს იმისთვის, რომ ფეხზე მყარად დგომა შევძლო, როგორც საქმიანმა ქალმა.
„სოკარში“ რომ მოვედი წლების წინ, მაშინ მხოლოდ 6 შვილი მყავდა. დეკრეტული შვებულება თავისი ანაზღაურებით – ეს ფუფუნება კი უკვე „სოკარმა“ მომცა, როდესაც შვილები გავაჩინე. უფროსი 22 წლის არის, პატარა კი – 4 წლის.
პირადად ჩემი წარმატების მთავარი გასაღები დედობაშია. როდესაც ქალი ბედნიერია, ის ყველაფერს შეძლებს. კომპანია „სოკარიც“ ყოველმხრივ გვიწყობს ხელს თანამშრომლებს წარმატებულ საქმიანობაში, ჩვენს განვითარებაზე ყოველთვიურ რეჟიმში ზრუნავს და პერიოდულად სხვადასხვა მიმართულებით ტრენინგებს გავდივართ. „სოკარის“ გუნდის წევრობა ჩემთვის მნიშვნელოვანია, ზუსტად ვიცი, რას მოითხოვს ორგანიზაცია ჩემგან და ამ ყველაფერს სწორ მიმართულებას ვაძლევ.
რჩევები ქალებს: ყველა ქალი უნდა იყოს დასაქმებული, მუშაობა არ არის რთული, ოცნებების ასახდენად კი მთავარია გვერდით გყავდეთ ერთგული და საიმედო ადამიანი, რომელიც ყოველთვის მხარს დაგიჭერთ და დაგეხმარებათ.

SOCAR
W
WAY MART

ასტროლოგიური პროგნოზი

(გაზაფხული-ზაფხული)

მოამზადა ასტროლოგმა რამაზ გიგაურმა

ვერძი

ამ პერიოდში პასუხისმგებლობას აქტიურად აიღებთ საკუთარ თავზე და ინიციატივებს გამოიჩენთ. ეს ყოველივე დაგეხმარებათ, ბევრი მიმართულებით მნიშვნელოვნად წაიწიოთ წინ, განვითარდეთ და წარმატებებს მიაღწიოთ. ცვლილებები განსაკუთრებით საქმიან ცხოვრებას, სამსახურსა და კარიერას შეეხება. მოსალოდნელია ახალი შემოსავლის წყაროს გაჩენა ან ფინანსური შემოსავლების გაზრდა, თუმცა მთელი რიგი მიმართულებით მოგიწევთ თავდაჯერებულობის გამოვლენა და ძალის დემონსტრირებაც კი. ამან შესაძლოა კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა გაზარდოს, ამიტომ ტაქტიანი და მომთმენი იყავით როგორც საქმიან, ისე პირად ურთიერთობებში.

ტყუპები

ეს პერიოდი საშუალებას მოგცემთ, ნათელი მოჰფინოთ ბუნდოვან სიტუაციებს, საჭირო ინფორმაცია მოიპოვოთ და არეული ურთიერთობები მოაწესრიგოთ, თუმცა სტაბილურობასა და სიმშვიდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ წარსულთან დაკავშირებულ შფოთვასა და მომავლის შიშს მოერევით. ნუ შეეცდებით ყველაფრის ერთად კეთებას. წარმატებას რაციონალური აზროვნება და პრაქტიკული მოქმედებები მოგიტანთ. ეს განსაკუთრებით ეხება პირად ცხოვრებას, სასიყვარულო ურთიერთობებს, ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებს. დადებითი იქნება სახელოვნებო საკითხების გააქტიურება და პროექტების წამოწყებაც.

ლომი

ეს თქვენთვის საკმაოდ დინამიკური და, ამავდროულად, სასიკეთო პერიოდი იქნება. გაძლიერდება თქვენი ენთუზიაზმი და ამბიციურობა, ამასთანავე, გარშემო მყოფების მხარდაჭერის მოპოვებას შეძლებთ. ეს ყველაფერი დაგეხმარებათ, წარმატებით გაგრძელოთ ადრე დაწყებული პროექტები. არ არის გამორიცხული, ძველი პრობლემებიც მოაგვაროთ. სამსახურსა და კარიერასთან მიმართებაში შეგიძლიათ გარისკოთ კიდეც. ურთიერთობებში ნუ იქნებით ჯიუტი და მეტი მოქნილობა გამოიჩინეთ. რთულ სიტუაციებში კომპრომისებზე წასვლაზეც ნუ იტყვით უარს. ეს შეცდომებსა და მოსალოდნელ გართულებებს აგაცილებთ თავიდან.

კურო

ეს თქვენთვის უმნიშვნელოვანესი პერიოდი იქნება. ასე რომ, სერიოზული მიზნები დაისახეთ, შრომისმოყვარეობა გამოიჩინეთ და მაქსიმალური ძალისხმევა გასწიეთ, რათა წარმატებებს მიაღწიოთ. შეეცადეთ, ენერგია და დრო პრიორიტეტულ საკითხებს დაუთმოთ, ეს მიღწეულ შედეგებს ერთიორად გაზრდის. სასიკეთო ცვლილებები გელით პროფესიულ საქმიანობასთან, სამსახურთან, მოგზაურობასთან, სწავლასთან, უცხოელებთან ურთიერთობასა და, ასევე, ბიზნესთან დაკავშირებით. გამორიცხული არ არის, საცხოვრებელი პირობებიც გაიუმჯობესოთ ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები წარმატებით გადაჭრათ.

კირჩხიბი

მთლიანობაში ეს პერიოდი თქვენთვის კომფორტული იქნება. მოიმატებს თქვენი საქმიანი შეხვედრების, მოლაპარაკებებისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების ალბათობა. მოსალოდნელია, რომ მეგობრების, თანამოაზრეების ან თუნდაც გავლენიანი ადამიანების მხარდაჭერას მოიპოვებთ, რაც საშუალებას მოგცემთ, წარმატებით გააგრძელოთ ადრე დაწყებული საქმეები და თქვენთვის სასურველ პოზიციებს მიაღწიოთ, თუმცა შეეცადეთ, პირადი ცხოვრება უყურადღებოდ არ დაგრჩეთ. ოჯახის წევრებს სიყვარული აგრძნობინეთ და მზრუნველობით მოექეცით, მათ თხოვნებსა და რჩევებს მოუსმინეთ და გაითვალისწინეთ.

ქალწული

ამ პერიოდს მთლიანობაში ენერგიულად და წარმატებულად გაივლით, თუმცა ბუნდოვან და საეჭვო სიტუაციებს მოერიდეთ (ეს განსაკუთრებით სასიყვარულო ურთიერთობებს და ფინანსურ გარიგებებს ეხება). გაგიჩნდებათ შესაძლებლობა, გამოავლინოთ შემოქმედებითი ენერგია, მოიპოვოთ პარტნიორების მხარდაჭერა და ცხოვრებისგან სიამოვნება მიიღოთ. ორგანიზებულობით და სწორად გათვლილი მოქმედებებით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოახერხებთ. ასევე, მოგიწევთ მოგზაურობა, რომელსაც შესაძლოა სულიერი ძიების და საკუთარი თავის შეცნობის მისიაც კი ჰქონდეს.

გაზაფხულის მეორე ნახევრიდან მოვლენები უფრო ნელა განვითარდება. ბევრი პროცესი ორგანიზებულ მიდგომას და დისციპლინას მოითხოვს. აჩქარება და იმპულსურობა შეცდომის დაშვების ალბათობას გაზრდის. მნიშვნელოვანი იქნება 20 აპრილიდან 5 მაისამდე პერიოდი (მზისა და მთვარის დაბნელებების „დერეფანი"). სასურველია, რომ დროის ეს მონაკვეთი წინდახედულად და ფრთხილად გაიაროთ. ერთი შეხედვით ჰარმონიული პერიოდის მიუხედავად ზაფხულისთვის, ასევე, დამახასიათებელი იქნება გარკვეული ცვლილებადობა და არასტაბილურობის განცდა.

სასწორი

ამ პერიოდში ნელ–ნელა შეძლებთ, წარსულის ნეგატიურ გავლენას თავი დააღწიოთ და თუ რთულ მდგომარეობაში იმყოფებით, უდანაკარგოდ გამოხვიდეთ. სირთულეები უკან დარჩება და ახალი პერსპექტივების განვითარებას გაცილებით იოლად შეძლებთ.

სასიკეთოდ განვითარებული მოვლენები დაგეხმარებათ, უფრო გაბედულად წარმოაჩინოთ თქვენი ტალანტი და საინტერესო კავშირებიც დაამყაროთ. ეს განსაკუთრებით ეხება საქმიან ცხოვრებას, სამსახურსა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. არ არის გამორიცხული, საქმიანი ან სასიყვარულო პარტნიორისგან სასიამოვნო სიურპრიზიც მიიღოთ.

მორიელი

დროის ამ პერიოდში სასურველია დაასრულოთ ან დაასტაბილუროთ ბოლო ერთ წელში წამოწყებული საქმეები. შექმნილ სიძნელეებს კარგი ორგანიზატორული უნარის და ოჯახის წევრების დახმარებით წარმატებით გადალახავთ, თუმცა მაქსიმალურად მოერიდეთ მასშტაბური პროექტების „ერთი ამოსუნთქვით" შესრულებას. შეეცადეთ, რომ საკუთარი ენერგია, დრო და ფული ყველაფერზე სწორად გაანაწილოთ. ნუ გარისკავთ და წინდახედულად იმოქმედეთ. ყველაფერი თანდათანობით, ნაწილ–ნაწილ მოაგვარეთ. ასეთი მიდგომით ყველა მიმართულებით ბევრად მეტ წარმატებას მიაღწევთ.

მშვილდოსანი

მოვლენები ერთი შეხედვით აქტიურად და დინამიკურად განვითარდება. მოსალოდნელია ბევრი მოგზაურობა, შეხვედრები და მოლაპარაკებებიც მოგიწიოთ, თუმცა ეს საკუთარ შესაძლებლობებზე გადაჭარბებულ წარმოდგენებს ნუ შეგიქმნით. კონკრეტული მიმართულებით იმოქმედეთ და პრიორიტეტულ საკითხებს დაუთმეთ განსაკუთრებული ყურადღება, ასე თქვენი მოქმედებები უფრო ეფექტიანი იქნება. მთლიანობაში ეს არასტაბილური პერიოდია, ამიტომ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღებას მოერიდეთ და უპირატესობა გუნდურ მუშაობას მიანიჭეთ. თუ საჭირო იქნება, დახმარება ოჯახის წევრებს, პარტნიორებსა და კოლეგებს სთხოვეთ.

თევზები

ამ პერიოდში საშუალება მოგეცემათ, საკუთარ თავზე, საკუთარ პრობლემებსა თუ მიზნებზე უფრო მეტად კონცენტრირებული გახდეთ. გააქტიურდით და საჭირო დროს ინიციატივა გამოიჩინეთ. რთულ სიტუაციებში გაბედულად იმოქმედეთ და რადიკალური გადაწყვეტილების მიღებისაც ნუ შეგეშინდებათ. მოიმატებს სამსახურებრივი ცვლილებების და პროფესიულ საქმიანობაში განვითარების ალბათობა. როგორც ხელმძღვანელობის, ისე თანამშრომლების მიმართ კომუნიკაბელური და გულისხმიერი იყავით. ასე ახალ მხარდამჭერებს მოიპოვებთ და საინტერესო მოკავშირეებს შეიძენთ, ეს ყველაფერი კი წარმატების მიღწევას გაგიადვილებთ.

მე რომ შემეძლოს...

დათო გორგილაძე

მწერალი და ტელეწამყვანი, რომელსაც თხრობის განსაკუთრებული მანერა აქვს, არაერთი მოთხრობის ავტორი და სხვადასხვა ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულია. თვითნაბადი ნიჭით, იუმორით გამორჩეული, ადამიანთა ცხოვრების ისტორიების საუკეთესო მთხრობელი დათო გორგილაძე თავის სურვილებს გვიზიარებს, რომლებსაც, რომ შეეძლოს, აუცილებლად განახორციელებდა.

ფოტო სოფიო დვალიშვილი

საქმეც ეგაა, რომ არ შემიძლია და
რა წუდია, რომ არ შემიძლია!..

რომ შემეძლოს, პოლიტიკოსებს უცბად დავავიწყებდი იმ სიტყვებს, რომლებითაც იოლად ახერხებენ თვალთმაქცობას: „საშშობლო“, ერთიანობა“, „პატრიოტიზმი“, „ნათელი მომავალი“...
ვაჩვენებდი, რა სასაცილოები არიან ჰალსტუხებისა და ძალაუფლების გარეშე, ისევე როგორც ჰალსტუხებითა და ძალაუფლებით.

რომ შემეძლოს, დავკრავდი ფეხს წარსულში და ილია ჭავჭავაძეს გავაფრთხილებდი, რომ გაივლიდა დრო და მისი საქმეების გამგრძელებლად უამრავი ნაძირალა წარმოაჩენდა თავს. გვარ–სახელებსაც ჩამოვუთვლიდი, იქნებ მოეცალა და რომელიმე პუბლიცისტურ წერილში ჩამოეწერა, ამათ არ დაუჯეროთო.

ნაყინი არ იქნებოდა კალორიული.

1121 წელში ამოვყოფდი თავს ვიდეოკამერით, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაგვერკვია, რამდენი ვიყავით ჩვენ და რამდენი – ისინი.

რომ შემეძლოს, ჯეკ ნიკოლსონს კირილე მიმინაშვილის როლს ვათამაშებდი.

დევიდ ბოუვისთან ერთად დავთვრებოდი კარგი ქართული ღვინით, ვიღიღინებდი „სულიკოს“ და ნაბახუსევზე ჭაჭით გავაცოცხლებდი.
რაღა დაავიწყებდა ჩემს თავს?!

ტომ სოიერთან მეგობრობა რომ შემძლებოდა...

რომ შემეძლოს, ყველაფერს მივატოვებდი, ჩავკიდებდი ხელს ნინიასა და რემედიოსს და კუთხე–კუნჭულს არ დავტოვებდით უნახავს. ლამაზ თავგადასავლებს გადავიხდენდით, სასიამოვნოდ გასახსენებელ ფათერაკებში გავეხვეოდით და გავიმდიდრებდით ცხოვრებას...
თუმცა ამას ისედაც ვიზამთ, ეს შეგვიძლია.

დედაჩემის ყოველ გამოტოვებულ ზარს ერთიანად ვუპასუხებდი, კიდევ ერთხელ რომ გამეგო მისი ხმა.

ბავშვები არ დაიჩაგრებოდნენ.

რომ შემეძლოს, ამას ვიზამდი. საქმეც ეგაა, რომ არ შემიძლია და რა ცუდია, რომ არ შემიძლია!..

კარავს | მედლაინი

ხარისხის მიმკვიდრეობა

თბილისი, ლუბლიანას 48

(+995 32) 2516060

CHARLES & KEITH